უგალობენ პოეტები მცხეთას





მცხეთა
თბილისი
2005

შემდგენელი: ვალერიან მამუკელაშვილი,
მხატვარი: ჯახი თოდუა
კონსულტანტი: აკაკი გეწაძე
რედაქტორი: ალექსანდრე დიდებაშვილი,
კორექტორი: ნელი რაშოევი
ამწყობი: ნათელა ტალახაძე
დიზაინერი: ჯახაბერ მაისურაძე

სარედაქციო საბჭო:
ვალერიან მამუკელაშვილი
ალექსანდრე დიდებაშვილი,
აკაკი გეწაძე,
შადიმან შამანაძე,
ვახტანგ ყიფშიძე,
შალვა ხამხაძე,
იოსებ ელგენდარაშვილი.

ღვთის ემბაზის ქალაქი

მცხეთა ქართველი ხალხის სულთსაბრუნი და ფესვთფუძეა, ქართლოსიანთა დვრიტა და საძირკველი, ერის ცრემლი და სიხარული. მცხეთაში ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო, მცხეთიდან განევრცო ენა ქართული, მცხეთის ემბაზში განინათლა ქრისტიანული რწმენა და საუკუნეთა მანძილზე მისი მეაკვნეც იყო და მებაირახტრეც. რვა საუკუნე ემსახურა იბერიას, როგორც დედაქალაქი. ეს იყო დიდებისა და ალმავლობის, ბრძოლისა და შენების დიადი წლები.



უკურებ მცხეთის გარემოს და გახარებს მთის წვერზე შემართული, დროის წინაშე შეურყეველი ჯვრის მონასტერი, უბადლო ოსტატის ქმნილება, მადლმოსილებით ბუმბერაზი სვეტიცხოველი, ვერაგ მტერთა მრავალგზის ნამესრალი ბაგინეთი, ცის ჰორიზონტთან შეერთებული ზედაზენი, მტკვრის და არაგვის ტრფიალის ცოცხალი მოწმე-ანტიოქია. სისხლით გაჟღენთილ მცხეთის მიწას დღეს საუკუდავებო გვირგვინად ადგას იმათი ნამოღვაწარი, ერს საამაყო ძეგლებს რომ უქმნიდნენ, არა თავისი სახელისა და დიდებისათვის, არამედ ქვეყნის მომავლისათვის. მცხეთის ყო-

ველი ჯუთხე-ჯუნჭული ერის გმირობისა და შემართების მქადაგებელია: იქ, დიდგორთან მოიპოვა სახელოვანი გამარჯვება დავით აღმაშენებელმა, აქ, წიწამურთან, დაამარცხა თეიმურაზ პირველმა შაჰბასის ცნობილი სარდალი ალი ყული ხანი. აქ დაიდგა გვირგვინი იბერიის პირველმა მეფე ფარნავაზმა. აქ ბობოქრობდა "ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა" ვახტანგ გორგასალი, აქ, მტკვრისა და არაგვის ნაპირზე, აღიზარდა ფარსმან ქველი, რომლის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ყველაზე ნათელი ფურცლები მცხეთის ისტორიისა. აქ შეიგრძნო მადლი დედაენისა პეტრე იბერიელმა, რომლის სიკეთის მოძღვრებამაც გააკვირვა მაშრიყი და მაღრიბი.

მცხეთამ ჯერ ჯიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰპოვა ალიარება ძველ ფოლკლორში. იგი ხალხურ სიმღერასა და ლეგენდებში აისახა, ახმიანდა და საუკუნეებს გადმოჰყვა, როგორც დედის ნამღერი იავნანა, როგორც სულთათანა ერის სიძლიერისა და ღვთიური მადლმოსილებისა. მერე და მერე იმატა დიდი მცხეთის თაყვანისმცემელთა რიგებმა. მათ შემოქმედებაში იმრავლა ქართველთა სულიერების ამ გულისგულისადმი მიძღვნილმა სიყვარულიანმა სტრიქონებმა: ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ს. გუგუნავა, მ. ლერმონტოვი, ა. დიუმა... მცხეთას უმღერდნენ - როგორც სავანეს, თავისუფლების წყაროს და ქართველის სულიდან აღმოცენებულ მშვენიერებას. ერის გულში ფესვგადგმულმა ტრადიციამ შემდეგ თაობებზეც გადმოინაცვლა: გ. ტაბიძემ, ჯ. გამსახურდიამ, გ. ლეონიძემ, ტ. ტაბიძემ, ლ. ასათიანმა, ს. ჩიქოვანმა, ი. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, ა. მირცხულავამ, ი. ნონეშვილმა, მ. ფოცხიშვილმა, ზ. ბოლქვაძემ და აქ წარმოდგენილმა ავტორებმა მცხეთას უძღვნეს ქებათა ქება და უწმინდეს გრძნობებს მოწიწებით გადასცემენ იმ თაობებს, რომელთაც ქართული სიტყვა უნდა შეიყვარონ სამთავროს ჩუქურთმასავით, ჯვრის გუმბათივით, სვეტიცხოვლის თაღებივით.

ეს წიგნი მეორე, შევსებული გამოცემაა. ის ვუძღვენით იმათ, ვინც რუდუნებით ჰქმნიდა ერის უკვდავ ძეგლებს, ვისაც უყვარს ქართული პოეზია, ხელოვნება, ისტორია. დაე, ეს იყოს საგალობელი ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი შენებისა, ქართული სულიერების ამაღლებისა, თავისუფლებითა და მომავლის იმედით გაჯერებული სიცოცხლისა!

ვალერიან მამუკელაშვილი

ილია ჭავჭავაძე

აჩრდილი

(ნაწყვეტი პოემიდან)

აგერა მცხეთაც - სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;

სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა,
ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;

სად ის ხე ნაძვის მის სურნელისა
ჰყვაოდა ქართვლის წყლულთა კურნებად,
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;

სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით გაბანილი
ქართვლის ტკივილი დაყუჩდებოდა.

აწ ალარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.

ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

1872 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს!
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს - შუბლს განიგრილებს,

ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს:
„არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს!“ -
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, .
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს!

სიმონ გუგუნავა

თამარიანი

(ნაწყვეტი პოემიდან)

მცხეთის ახლო, ღართისკარზედ,
კოშკი სდგას ათასწლეული,
გადმოსცქერის მაღალ მთასა
ამაყად, თავმონგრეული,
ბებრის ციხეს უწოდებენ,
ერთობ არის დიდხნეული,
აღმოსავლეთით ჩაუქრის
არაგვი გიჟმაჟეული.

გალაკტიონ ტაბიძე

მცხეთამდე

თვალწინ იშლება მუქ ხავერდის მთების ზონარი,
როგორც ადგილი, ძველი წარღვნით გადასერილი,
სახეზე ვარდად დაფენია ნაბატონარი,
აგერა მტკვარი - სევდიან მზით გადაფერილი.

მის ნაპირებზე ვესალმები მშვენიერ ბაღებს,
ქალი თავისი ბავშვით მოჩანს, როგორც წერტილი,
კიბეებივით მიდის მტკვარი და კარებს აღებს,
სადაც ტრიალი მინდვრებია გადაფერდილი.

* * *

ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აჰგვი
ფერფლს, თრთვილივით რომ დაჰფარა ჯვარი,
დაიძვრი მარჯვნივ - დაგწევს არაგვი,
გაიწევ მარცხნივ - დაგხვდება მტკვარი.

მოუხვევ - და გზას გადაგიჭრიან
გათხრათა ფშნები, როგორც არხები,
არ მიხვალ - ლალნი თვალებს გიჭრიან,
მიხვალ და - ცოცხლად დაიმარხები.

თუ იტყვი ძველი გზებით დახევას,
შენს აქ მომგზავნელს რას ეუბნები?
თვით მცხეთა შიგნით დაგშლის ნახევარს,
ნახევარს - მცხეთის გარეუბნები.

ზეაიხედავ - სივრცეა ზეცის
ძირს დაიხედავ - რაც გეფიცება,
მკვდარს გვერდზე წვენილს, ხელფეხმოკეცილს
ორმო-სამარხში გაელვიძება!

ხმალს მივარდება მტერთ სამუსვრელად -
მტკვარი მოხვდება ხელთ ბრინჯაოსი
და ცხარე ბრძოლის იქცევა ველად
ველი სამთავროს სასაფლაოსი.

სვეტიცხოვლიდან შეხედავ ტყე-ველს
ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ჭაღში -
და ივერიის როსმე უძლეველთ
გმირთ წინ მიუძღვის თვით პიტიახში.

ახ-მტერი, მტერი! - ის ტყისკენ იხევს,
არმაზის ხევით მისდევს წვალება,
მაგრამ უძლეველს არმაზის ციხეს,
მთაზე მდგომს, როგორ დაემალება?

უზარმაზარი გალავნის კედელს
ის გაეკვრება, შიშისგან მკვდარი,
ახალო მცხეთავ, შენს შეუწყვეტელს
ამღელვარებას ჟღერს ჩემი ქნარი.

მცხეთიდან

სვეტიცხოველში ხვალ იქნება დიდი მცხეთობა,
მაგრამ, შეხედე, სად დამდგარა ძველი დიდება.
ვინ ააშენა იმ სიმაღლეს? რა პოეტობა
შეძლებს გადმოსცეს იმა დღეთა გაბედითება?

ეხლა ვიღაცა გულმოდგინედ იქ გზას აკეთებს,
გამოქვაბული ქალაქები რომ ისევ ნახოს.
ქვევით კი, ქალი ახალგაზრდა, როგორც ნაკვეთებს,
შავით მოსილი, მწუხარებით მიჰყვება ახოს.

ჩვენ გავიარეთ შიომღვიმის ვრცელი ბაქანი,
მტკვარზე შორიდან დავინახეთ, მიდის ტივები,
და ისევ მთები... მეჩეთია ეს თუ საკანი?
თუ მოგონებათ დაკარგული ნეგატივები?

ასულა კორდი, როგორც ქუდი რუსთაველისა,
მე შევაჩვიე კიდეც თვალი აქაურობას,
მატარებელში თვალს რომ ხუჭავ, გრძნობა ველისა,
ასე გგონია, თითქო ისმენ ზღვის ხმაურობას.

ჯვარი

მტკვარს დაჰყურებს მაღლით ჯვარის
მონასტერის სიამაყე,
მოვიარე მთა და ბარი
მაგრამ მსგავსი ვერსად ვნახე.
მხოლოდ მოძღვარს აქ ჰყავს მცველი,
მეომარი და მგოსანი,
და ჩუქურთმა უფრო ძველი,
ვიდრე "ვეფხისტყაოსანი".

გიორგი ლეონიძე



შეხედე ტაძარს სვეტიცხოვლისას,
სადაც იწვება უკვდავი ღვენთი,
მაშინ იწამებ გარე ყოვლისა,
რომ აქ ოდესმე ყოფილა ღმერთი!



დღეს შენს თვალებში მე ჩავიხედე,
აღმდგარა ღმერთი საქართველოში!
გულიდან ჟანგი გადავიხვეტე,
როცა სიბერის განგაშს ველოდი!

მორწმუნე შენი გავხდი პირველი
და ლექსის სანთელს გინთებ თრთოლვითა,
შენი, შენდამი შემომწირველი,
დიდ ოცნებათა სვეტიცხოვლიდან..

მცხეთის მთებში

აქ ძველ კედლების ხმა მომესმოდა,
მამამთავრების ხმა გადასული...
აქ დედაჩემის კოჭობი სდუღდა...
აქ ხმალს ლესავდა მამა მხარგრძელი,
გუთანს უძღოდა გაღიმებული...

მათ მაგარ გულზე მე ვარ გაზრდილი,
სიტყვატკბილი და მაღალხმიანი
აქა მღეროდნენ სტვირის მკვრელები
და მომღერლები სიყვარულისა;
მათი ფერფლიდან მე აღმოვცენდი,
ნაწოვი მათი სიმღერებითა,
ნაძვის წვერივით განათებული.

დღეს ხეობებში ჩემი ლექსი ჰქრის,
მიწით შესვრილი, ტახის ღონისა,
ასამაღლებელს ახლა მე ვიტყვი,
სათქმელს, მიმინოს მოკივილითა, -
აჰა, სამშობლოვ, სიტყვა ქართული!
. . . . . .

სვეტიცხოველი

იყავი კვერთხი, ერს მიუძღვოდი,
მიგდევდა ქართლი, თითქოს ცხვრის ფარა,
და გარდამოხსნა შენი ყეენმა,
ცხენზე თოქალთოდ გადაიფარა!

იყავი კიბე ცად ამავალი,
თავზე გაყარეს ხანძრის ნაცარი,
ქორულ კივილით ჩაგიქროლებდა
კართა დამლეწი სალმანასარი.
სდგეხარ ქვის დროშა
სისხლშეშრობილი,
თითქოს დაეძებ გამქრალ ქალაქებს,
ლაშქარს, ცხოვრებას, შენს გარეშემო
მტრის ფალანგებმა რომ აალაგეს.
იგონებ სევდით წარსულ ქარტეხილს,
არაბ-ხაზართა სისხლით ცხებული,
კვლავ სისხლს დათხეულს, ლუკმას გატეხილს
ითხოვ ტიტანი მოხუცებული.
ერთიღა შეგრჩა თანამდგომელი
ბეითალმანი, - არაგვზე მთვარე...
ძირს კი საძირკველს ზედ ეხეთქება
ახალ ცხოვრების ტალღა მშფოთვარე!

* * *

ალვის შტო იყავ, სარო, ლამაზი,
მოგკვეთეს თურმე, ზეცას წახველი...
სადა ხარ, მტკვარზე მოჭრილო ხეო,
ნუ თუ არ წაგყვა მიწის ნაღველი?
ჩამო, აჰყვავდი... ბრწყინავს მაისი,
ყველა ხეების გამომჩარხველი...

ტიციან ტაბიძე

ახალი მცხეთა

...და როგორც პულსი მომაკვდავ კაცის,
ეს რიტმიც ისე გამოიცვალა.
მე ვუბრუნდები დღეს ახალ თბილისს,
როგორც ფლეიტა გამოხრულ ძვალთა,

დაშრა აქ ვნება ადამიანთა,
ჯვარის მონასტრის გაცივდა მწირი.
მხოლოდ არაგვი მტკვარს ჩახვევია,
პირველ სიყვარულს აქამდე სტირის.

"ოი, არაგვო, არაგვიანო",
მტკვარო ფეხმარდო, მუდამ მქუხარე,
ვარ მოგონების ცეცხლით მწუხარე,
უტახტო, როგორც ის ალექსანდრე,
რომელის სევდაც ამ დიდ ხეობას
ჯერ აქამდისაც ვერ აუღობავს.

და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
ძველ დინასტიად დაგროვდა ფერფლი,
ელექტროს ცეცხლში დგას ჯვრის ტაძარი,
ფანტასტიური და ეიფელი.

ლადო ასათიანი

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

გიორგი ქუჩიშვილი

ჯვრის მონასტერი

ვის უნახავს ძველის ძველი ჯვარის მონასტერი,
რომლის გუმბათს თავს ევლება ნისლი მშვენიერი.
ვის უნახავს ძველის ძველი ჯვარის მონასტერი.
შორი გზიდან ეს ტაძარი ასე მოსჩანს მთაზე
ვით ზღაპრული ციხე-კოშკი დაკიდული ცაზე.
შორი გზიდან ეს ტაძარი ასე მოჩანს მთაზე,
რომ მგზავრის თვალს შეაჩერებს მისი სილამაზე.
იგი დღესაც ისევე სდგას, როგორც იდგა წინათ,
წარსულ დროთა მატიანედ დიდების გვირგვინად.
თურმე უწინ ამ ტაძარში იყო ვინმე ბერი,
თოვლიან მთას ჩამოგავდა მისი თმა და წვერი.

თურმე უწინ ამ ტაძარში იყო ვინმე ბერი
წმინდა მამას უწოდებდა ქრისტიანი ერი.
წმინდა ჯვარის მონასტრიდან მცხეთის მონასტრამდე
ჯაჭვის ხიდი ქანაობდა ბერის წაწყმედამდე.
არაგვი მოხმაურობდა ჯაჭვის ხიდის ქვეშა
გულხვეული მოღელავდა, ეხლებოდა კლდესა.
არაგვი მოხმაურობდა ჯაჭვის ხიდის ქვეშა,
მის ხმაურში მოისმოდა დედა ქართლის კვნესა.
ერთხელ ბერი ჯაჭვის ხიდით მცხეთას გადიოდა,
ხიდქვეშ ქალი ბანაობდა ეშხით მუსიკობდა.
სითეთრით და სილამაზით აფროდიტას სჯობდა.
ტალღა ვნებით ეხვეოდა, ეშხით მუსიკობდა.
თვალი მოჰკრა შიშველ ქალწულს და დაება ბერი
ანგელოზიც არ უნახავს ასე მშვენიერი,
ვით ეს ქალი მოლივლივე, ქალი ტანშიშველი.
თეთრ გულმკერდზე უფეთქავდა ორი სეფისკვერი.
გაუშლელი ორი კვირტი, ორივ ხორბლისფერი.
ბერი ვნებით ჩააშტერდა წამწყმედ ძუძუებში,
ჩაწყდა ჯაჭვი, ჩაიღუპა არაგვის ზვირთებში.
და მას შემდეგ სიყრუეა ჯვარის მონასტერში,
ღამურები დაკიდულან საცეცხლურად ჭერში.
აღარავინ აღარ სწირავს დღეს ამ მონასტერში.
და ისპობა ყოველივე დრო და ჟამის მტვერში,
მხოლოდ რჩება ეს ლეგენდა უკვდავ ქართველ ერში.

სიმონ ჩიქოვანი

ძველი მცხეთა

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი,
შევეთვისე, გულით დავიფურცლე,
შრიალებენ ვარდები და დროშანი.

პირველ ქართველს აქ დაუკრავს ბარი,
მოხვევია ვენახი და ასული.
აქვე მზრდიდა გამრჯე წინაპარი,
ჟანგიანი, ხავსიანი წარსული.

მეც ავანთე მომღერალი ცეცხლი,
პაპამ პეშვით მომიტანა ღადარი,
სად გამქრალა კერა დანაკვერცხლი,
პირველქმნილი ჩემი კვამლი სად არი?

მოიძებნეთ, არ გახრწნილა ნეშტი,
გამოცოცხლდა სვეტიცხოვლის მირონით,
ტერფი დაგვრჩა ქვებზე ანაბეჭდი,
არმაზიდან ირმებივით ვყვიროდით.

კერა გვენთო დაბლობში და მთაში,
გრძელი ჟამი გამოვცურეთ მხარულით.
სამარეში სუნთქავს პიტიახში,
მიწით მესმის იარაღის ჟღარუნი.

ქარიშხალში მეც გადავრჩი ერთი,
როგორც ქვაზე გამოთლილი ყურძენი.
მცხეთა არის ჩემი დედულეთი,
არ დამჭკნარა მისი ვაზის ფურცელი.

არ დამშრალა მოჩხუბარი მტკვარი,
საქართველოს მთების ცრემლი მცირედი,
მე ვარ მისი ძველი მეგობარი,
არმაზიდან მოყვირალი ირემი.

ფიქრი სერაფიტაზე

მცხეთის ღამე გახლართულა სუროში,
ქვას ატყვია ძველი დროის ჭვარტლი.
სერაფიტა წევს გარანდულ კუბოში,
მისი თმებით მორთულია ქართლი.

მაგონდება ნაძვის ხე და მაყვალი,
ვაზის რტოზე დაფრქვეული მადლი.
ფერფლად ქმნილი სერაფიტა მაღალი,
უდედნოდ წევს მისი ტურფა ლანდი.

ლანდი არის ანარეკლი ტანადი,
არ დაიფშვნას, არ დაკარგოთ ნეშტი.
კუბოდ ენთო სილამაზე მარადი
და კვამლივით ირხეოდა ეშხი.

ლანდი არის უკვდავების ნუგეში,
ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი,
სერაფიტა წევს გარანდულ კუბოში
და წარსული შეგვინახა თბილი.

ამაოა, - დაგვჩურჩულებს, - ამაო! -
თუმც გავაპე ჭვარტლიანი ღამე.
წამოდექი, ქვაზე ქარი ქანაობს,
მე მამღერე, ან მიმღერე რამე.

ქართლში ყოფნა აღარ არის ამაო,
ვაზი შენებრ ეტმასნება ჭიგოს.
ჯვარი, როგორც გადაშლილი მარაო,
შენი თმებით გაცისკრული იყოს!

მართლა გვითხარ სიტურფეზე იგავი,
არმაზის და ძველი მცხეთის ნერგო:
სამარეშიც შენ ლამაზი იყავი,
და მშვენებით უკვდავება გერგო.

ამოხვედი, მიმიწვიე, მისუფრე,
ჩვენამდისინ მოაღწიე ლანდით.
ამოხვედი, როგორც ცისკრის სიტურფე
და ამოგყვა შენ არმაზის მადლი.

შენ მშვენება ვერ დაფარე სამარით,
ჩვენი იჭვიც სიზმარივით ახდა.
სილამაზე, სერაფიტას სადარი,
არსად არი, ივერიის გარდა.

საგალობელი

მშვენიერო რტოვ არმაზის!
მოვლე მცხეთა და ქინძარი.
შენ ცხადი ხარ თუ სიზმარი!
თუ მძინარეს მოგისწარი|?

ვინ გიწოდა სერაფიტი!
სად ხარ, გვამცნე ხვაშიადი!
ჟამი გასჭერ, გადმოფრინდი,
სუროს კაბით აშრიალდი!

არმაზი და საფურცლია
შენი ეშხით მორწყე თურმე.
კუბოდ ცეცხლი დაგიცლია,
გულის ფერფლი დაგვიბრუნე..

რა ხმა გქონდა, რა ფხიანი,
მოგვითხრე და დაგვაჯერე.
შენი სული ცხრაფრთიანი
კუბოში ვით გააჩერე!

რა გზა შეგხვდა, რა გრიგალი,
რას ვგალობდით, რა ვიყავით!
ტურფავ, შენი ნაფიქრალი
როგორც ლუკმა გამიყავი.

დიდი მცხეთა და არმაზი
ქინძარი და საფურცლია,

შენ დაგეძებ, სილამაზევ,
გული მღერით დამიცლია.

ქვაზე როგორ აღბეჭდილხარ,
სული შენი რად დაიმშა!
ქვაზე მწოლი სიმღერა ხარ,
არ გაცივდე, არ დაიფშვნა!

ჩემი გული არ გათელო,
აღსდექ, თმებით აშრიალდი!
შენ ხარ ძველი საქართველო
და იმ ძველის ხვაშიადი!

ბროწეულები პიტიახშების სამარეზე

ბროწეულმა ფესვით კუბო გაარღვია,
საფლავს ჩასწვდა და იპოვა სამაჯური,
სერაფიტის ფერფლი თითქო დაარხია,
სამაჯურში ფესვი გაჰყო დამანჭული.

როგორ გასჭრა ან გაბურღა ლოდის სიღრმე,
დაფერფლა და სანუკვარ ტანს ჩაეხლართა,
სამარეში თუ იპოვა ქვეყნის სიყრმე,
თუ ამ ფერფლის მოფერება გაეხარდა.

აიშოლტა და ნაყოფი გამოფინა,
ფერფლში ჰპოვა სამაჯური დანისლული,
მოწეული ბროწეული რა ყოფილა,
ჩამავალ მზით დაჭრილი და დაისრული!

არ სწვევია შებინდება კაეშანად,
ქალწულის ფერფლს, როგორც ყვავილს გაუფრთხილდა,
დაისივით გაწითლდა და გაიშალა
და რტოებზე სილამაზე აუფრინდა.

ქისის მსგავსი ცხარე ხილი გამოკვეთა
ამოწუწნა ნესტით სავსე საფლავები,
მოგონებით თბილი ფესვი გამოკვება
და ნაყოფში ჩაილაგა ვარსკვლავები.

შენს ქისაში ვარსკვლავები მოჭრილია,
თუ ცრემლები გამოგიკრავს, სანატრელო,
შენი ჩრდილი, მითხარ მაინც, რა ჩრდილია,
შენს რტოებში გალობს ძველი საქართველო.

შენ მოჰყევ, თუ შენ გამოგყვა სერაფიტი,
მისი ფერფლი იპოვე და ჩაგვაბარე,
მოწეულო ბროწეულო, გადმოფრინდი,
შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.

ალიო მირცხულავა

მთვარე მცხეთაში

ტალღათ ქუხილში იელვებს მტკვარი,
გაჩნდება მცხეთის სახე მუქისა,
პომპეის ხიდთან ბანაობს მთვარე,
წყალში გაშლია თმები შუქისა.

გრიგოლ აბაშიძე

აფროდიტე ქართულ პანთეონში

"...ამან მოიყვანა ცოლი ბერძენთა ასული ლილოთეთისა, სახელით სეფელია. და მან მოიტანა თანაკერპი, სახელით აფროდიტოს და აღმართა თავსა მცხეთისასა".

"მოქცევაი ქართლისაი".

1

ამო და მშვიდი იყო ამინდი,
სახლნი ბაღნარში მომწყვდეულები,
შუქმოდებულნი ქართულ კრამიტით
ჰყვაოდნენ, როგორც ბროწეულები.

ხეობას მტკვარი მოსდევდა ზანტად,
არაგვი სწრაფად როგორც შურდული,
აშლილი ფუტკრის სკასავით ჩანდა
მცხეთა გალავნებშემოზღუდული.

და აკვირვებდა ალბათ კიპრიდას
გრგვინვა, ჭექა და ქუხილი მეხთა,
როცა არმაზის მაღალ კიბიდან
ქართველთა ღმერთებს პირისპირ შეხვდა.

დაყუდებულებს მთაზე კლდეებად,
ენთოთ ცეცხლი და მსხვერპლი ელაგათ,
სპილენძის კაცი იდგა ვეება
და ოქრო ეცვა ჯაჭვის პერანგად.

თვალები ზურგით ესხა საოცარს.
მზე დახურვოდა თავზე ზარადად,
ელვის ხმლით ადგა თავზე სალოცავს
და მრისხანებით მნახველს ზარავდა.

მარცხნივ და მარჯვნივ ცეცხლისთავება
ღმერთები იდგნენ გაიმ და გაცი,
ძველთა ქართველთა ორი ღვთაება,
ორი ბრწყინვალე ლითონის კაცი.

ბოლავდა ყველგან, ყველა მაღლობთან
სამსხვერპლო ყრმათა სისხლდასადენი,
აქ, თვით არმაზი მზესთან სახლობდა,
იქ, ზედაზენზე იდგა ზადენი.

და ქალღმერთს ფეხქვეშ ემხო მთა-ბარი,
ყველგან გასცქერდა, როგორც ავგური,
იყო ზმანება, იყო ზღაპარი,
საქართველოში ღმერთთა სადგური...

2

და ეთაყვანენ ალბათ კიპრიდას
კერპები, მსგავსნი ლომთა და ვეფხვთა,
როცა არმაზის მაღალ კიბიდან
ქართველთა ღმერთებს პირისპირ შეხვდა.

ბუმბერაზთ გავდნენ ღმერთნი იბერთა,
ბუნებაც იყო ბუმბერაზული,
ამოირბინა მწყობრი კიბეთა
და ძირს დაეცა მუხლზე ასული.

ბერძენთა მეფის ნაზი ასული,
ახლა დედოფლად ქართლში ხმობილი,
ახლა ქართულად ნაწნავდაწნული,
ფეხს უკოცნიდა ძირს დამხობილი.

მხურვალე იყო ვით ნაღვერდალი
არმაზის მიწა, - ვით მზის სადგური
და ბედნიერი იყო ღმერთქალი,
ვით დედოფალი მისი მსახური.

და ბედნიერი იყვნენ ორთავე,
ორნივ მწყემსთაებრ ფეხშიშველები,
ერთი - იბერთა ქვეყნის მოთავით,
ერთიც - იბერთა ღმერთის მშვენებით.

ხილვა არმაზზე

ამ მთაზე შენი ხილვის იმედით
ამომაფრინა წამით არწივმა,
ცაში ვეკიდე ვით ჰანიმედი
და მომარწევდა ოქროს ქარწვიმა.

შენი ჩვენება, თუ შენი ჩრდილი,
მზის სხივზე უფრო ფრთამალი მდევდა,
დავეშვი, დაღლილს მწყუროდა ძილი,
არ მაძინებდა არმაზის სევდა.

განწირულივით არწივი ჰყეფდა,
მე ვეგდე კლანჭქვეშ მხრებდაბღუჯული,
მიწისძვრას გავდა ზრიალი კერპთა,
ნიავის ქროლვას - ნინოს ჩურჩული.

და ორი რწმენა, როგორც ორი მზე,
შენს რწმენას კიდევ მიათკეცებდა,
იქ, საქართველოს ღმერთთა ოლიმპზე
ჩემი გულისთქმა შენ დაგეძებდა.

ვგრძნობდი ულონო, ცეცხლის სვეტები
მსხვერპლად შეწირულს, როგორ მედება,
ვიფერფლებოდი შენი ვედრებით,
შენ არ გესმოდა ჩემი ვედრება.

და როცა ფერფლი დავრჩი მცირედი,
შენს კერპთან მსურდა ლოცვის მოსწრება...
ცაში ვეკიდე ვით ჰანიმედი
და მიმაფრენდა შენზე ოცნება.

ძევახ პიტიახშს

შენ აქ ახლო ხარ, არ ხარ ზღაპარი,
გეძებ, გეძახი - სად ხარ, ძევახო!
ჩვენ სიკვდილისთვის ვართ თანაბარნი,
შენს აჩრდილს მინდა ხელი შევახო.

ნეტავი მოგწვდეს ჩემი ქართული,
ქარივით ახლო გამომირბინო,
გშვენოდეს რაში მკერდმოხატული,
წელზე ხმალი და ცერზე მიმინო!

მაგრამ შენ ცხენზე ველარ შეჯდები,
ვაგლახ, ვერ ვნახო ქროლვა გიჟური!
თითებდამდნარი ჰყრია ბეჭდები
და აღარ ისმის ოხვრა მიჯნურის!

სამაჯურთ სცივათ, უნაზეს ხელთა
მაჯების ფეთქვა თუ აგონდებათ,
და ყელსაბამი მტვრად ქცეულ ყელთან
მიმობნეულა იაგუნდებად.

მაგრამ ამ ქამარს, ამ ოქროს ბეჭდებს,
იქნებ პატრონის შერჩათ ნაკვთები,
ნაკვალევს ეგებ ამაოდ ეძებ,
რომ ნახო ალბათ ზედ დააკვდები.

იქნებ ძვირფასის გესმის ძახილი
ღონეც აღარ გაქვს, რომ დაიგმინო...
ჟანგს დარჩენია შენი მახვილი,
სხვას შეჩვევია შენი მიმინო!

და არც გულია, არც სიმაგრეა,
წლებს რომ არ წაჰყვეს მტვრად და ნაჟურად,
შენც ვიდრე მიწამ მტვერში გაგრია,
ჯერ იქნებ ტრფობამ გაგანადგურა.

შენც დაგიწეწა ქარმა აფრები...
მარადისობის შავბნელ წიაღში,
ჩვენ სიყვარულით ვართ თანაბრები -
მეფე, პოეტი და პიტიახში.

ირაკლი აბაშიძე

მცხეთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?
მე დაგანახვებ არმაზის მხარეს -
კედლებს, ნანგრევებს, მკვდარ ნაქალაქევს,

სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს
სძინავთ - ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.
და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,
და ჩვენს წინ როგორც მეორედ მოსვლა,
აღსდგნენ არმაზის სარკოფაგები.
ჩვენ აღტაცებით დავცქერით განძებს,
აკლდამის ქვებში მარჯვედ ჩასმულებს.
საოცარ თვლებით მოჭედილ თასებს,
საოცარ თვლებით ნაჭედ სასმურებს,
სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,
კვლავ ცოცხლებს, რაღაც უცნობ წამალით...
თუმცა ამაოდ ვეძებდით ჩონჩხებს -
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც,
და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს,
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი
რომ არც სიზმარი არის ყოველი,
რომ იქნებ მათაც მიწიდან ახლა
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.
ჩვენ კი დღეს სწორედ, ჩვენ კი დღეს სწორედ,
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს,
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს მათგან მოწოდებულებს.
არა, არ წაგყვეს. არ წაგყვეს ჯავრი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ, დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!

მოკლული არაგველის სიტყვა

როდესაც კრწანისს ნაომარს, ნაჯეგს
მზე გაუნათებს ნაპირს, -
მკვდრეთით აღვდგები და ისევ დავჭექ
ჩვენი დიდების საყვირს.
მახვილით ხელში, მკერდსისხლიანი
გავეშურები მცხეთას,
სადაც ერეკლეს კაეშნიანი
სდარაჯობს ქართლის დედა.
მივალ და ვკადრებ: სინათლევ თვალთა,
ჩვენო ტანჯულო დედავ,
გადამაფარე ეგ შენი კალთა -
მე ამის თხოვნას ვბედავ.
ო, მე იქ მომკლეს, სადაც სამასი,
შენი დაეცა შვილი,
მეც მათთან ერთად შენ რძე შემასვი,
ნანა მიმღერე ტკბილი.
მე არაერთხელ მოვმკვდარვარ ასე,
სხვაგან და სულ სხვა დროში:
დიდი თამარის ბრძანების ხმაზე
ჩვენ მივდიოდით ომში.
ის, ფეხშიშველი, ეკლიან გზაზე
წინ მიგვიძღოდა დროშით...
მკვდრეთით აღვმდგარვარ, რომ სიყვარულით
კიდევ მოგაპყრო თვალი,

არ ინაცრება ეს ჩემი გული
და არ ჟანგდება ხმალი.
რაც ნაისრალი მკერდს დასჩენია
სულს ნეტარებას ჰგვრიდა,
მე არასოდეს შემირცხვენია
შენი სახელი წმიდა.
იხილე ჩემი სახე და მკერდი -
გულში რომ შვება გაჩნდეს.
ვერ ნახავ, თუნდაც ჭრილობა ერთი
ზურგში დარტყმული მაჩნდეს.
აქ წამოვედი, რომ კვლავ მენახე,
შენთან მოვბედე მცხეთას.
ისევ გვინათებს ეგ შენი სახე,
ჩვენო უკვდავო დედავ.
და როცა კრწანისს ნაომარს, ნაჯეგს
მზე გაუნათებს ნაპირს, -
ისევ აღვდგები და ისევ დავჭექ
ჩვენი დიდების საყვირს.

შალვა აფხაიძე

* * *

მოვსულვარ... ვდგავარ,
შენი შუადღის მზით დამსკდარ კართან,
მესმის გუგუნი
სისხლით დატბორილ შენს ღრმა ნაპრალთა
თითქოს შუქს მაფენს ათი სანთელი
ნაზ სერაფიტას ლამაზთა ხელთა.
მაყრიან ჩრდილებს ციურნი რტონი
შენ ცხოველ ხეთა;
ო, მცხეთა, მცხეთა -
დიდო სავანე
ხანგრძლივ ზეიმთა, სიმწუხარეთა.
მე მავსებს სითბო შენს გმირთა მკლავთა,
მე მავსებს ძალა შენს უკვდავ ფერთა,
შენს ძველ დარაჯთა - წარმართულ ღმერთთა
მაღალ ზედაზნის, არმაზის მთების.

მოვსულვარ შენთან
მოგონებათა მღელვარე ფრთებით,
შენი ცის მადლი ჩემს სულში წვეთავს.

სავანევ ლხინთა, სიმწუხარეთა,
სიმწვანევ ყველა
კურთხეულ ხეთა,
შენა ხარ სახე საუკუნეთა
ნათელთა, ბნელთა, -
ცრემლი, გალობა, გულთა მათ მწველთა
და დიდი ძეგლი შემოქმედ ხელთა,
ო, მცხეთა, მცხეთა...

კარლო კალაძე

"ბებრის ციხე"

"შენი გამტეხი, გულო, ვინ არის?!
მაგრამ გესმოდეს მაინც შენ ჩემი:
ლაღი ზვირთცემა რაა მდინარის,
თუ ბებრის ციხედ კლდეს არ შერჩები!

ამ სოფლის მკვიდრი შვილი არა ხარ?!
აჰა, ამ სოფლის წარსული დიდი -
დაურბევიათ იგი კარდაკარ,
აღარც გზა უჩანს და აღარც ხიდი.

მოსისხლე ხევდახევ შემოსულა
და ახლა ნაკუწ-ნაკუწ ჯაგებთან
ჩახერგილია ქვით ხეკორძულა -
ერთ დროს, რომ ღობე-ყორეს აგებდა.

აქ შეეჯახა ფარ-ხმალს ფარ-ხმალი,
ჩაკირეს მიწის წიაღში მსხვერპლი;
თავს ადგას მუხა ტოტებგამხმარი -
აცვივა მხრებზე თავისი ფერფლი!

მაგრამ თუ სამას კომლიდან სამი
გადურჩა სიკვდილს, გულით ფიცხელით
კერას აღანთებს სიცოცხლის წამი,
რომ კვლავ განთიადს დახვდეს სიმღერით...

და ამით გვაცმნობს ჩვენს გადარჩენას,
ეს უკვე ძველი საქართველოა...
და თუ ზე აღსდგა აქ ათასჯერაც -
ათასჯერ უფრო სასახელოა!

თავზე დაგვექცა ჭერი, ბებერო? -
იდექ, ვით ციხე მკერდგანგრეული,
ღრუბლების ცაში გამჩერებელო -
მტერს არ დანებდე, არ ხარ ჩვეული!

შერჩი ბექთარად გულს, ნეკნის ძვალო,
ბედს შეუტიე, ბედს გაუწყერი,
შენ არ შეგფერის ფერი იცვალო,
თუმცა განსაცდელს უკვე უცქერი.

ციხის ქვა-ლოდიც მიგაჩნდეს გმირად,
სიკეთით შენი დღე დაილოცე, -
ისევე, როგორც არაგვის პირად,
დგას ბებრის ციხე მტკვარზე, რიონზე.

ჯავრი კი, ჯავრი ჰკლავს სიყვარულსაც,
და სამძიმარი თქვა - აუგია!
გულო, უბრძანე კვლავაც ამ ხელებს,
რა ცივი რკინა გინდა გავღუნო...
შენ ხომ სიცოცხლის ჟინი გამღერებს,
მკერდს მომწყვდეულო გულო, ავგულო!..“

დავით გაჩეჩილაძე

სალამური

მცხეთაში, ერთ სამარხში, ნახეს მწყემსი ბიჭის თავისქალა და სალამური.

ჰეი, ფრთხილად ფერფლს ფეხი არ დააბიჯოთ...
გამარჯობა, შენ მცხეთელო მწყემსის ბიჭო!
ქვის კუბოში მზე ჩადგა და აღარ ბნელა,
სიჩუმეა, თავს დაგნათის ზეცა ლურჯი
და ვგრძნობ, თითქოს დაფუსფუსებს სალამურში
შენი სევდა, ჩუმად, როგორც ჭიანჭველა.

განა მართლა მწყემსი იყავ თმახუჭუჭა...
ახმიანდი ქართლის მიწა ერთი მუჭა,
დასძარ სიო და შეჰბერე სალამურსა
და კომბალით კვლავ გაივლის ლანდი შენი
და კვლავ შრიალს დაიწყებენ ხევში ხენი.
სად შენ ფარას მტკვრის ელვარე წყალი უსვამს.

ჩაჰბერე და, შემოსილი ვეფხვის ქურქით,
ხელმოჩრდილვით ცას გახედავს ასპარუგი,
აღსდგებიან ძველ ციხეთა ნანგრევები;
შორს დარეკავს ზანზალაკი ქარავანთა
და დაისით შეწითლებულ გალავანთან
ღრუბლებივით თავს ასწევენ აქლემები...

ამთქნარებენ, აქ თავდება მიწა იქნებ...
მთის მაღლობზე ელვასავით ხმალს რომ იქნევს,

არმაზია, წმინდა კვამლი შენისლული.
აი, მცხეთა, ქართლის ფუძე, ქართლის დედა...
რას მოსთქვამდა მის ხავსიან მკლავზე ნეტავ
ჩქერი მტკვრისა თუ მშფოთვარე ქართლის სული?

ან შენ, ბიჭო, სად ვიდოდი ჩუმ ოცნებით,
სად შემოგხვდნენ მტრის მრისხანე შუბოსნები?
აქ ხომ ყველგან მებრძოლ გმირთა ნაღმუვლია...
ცა მცხეთისა რამდენ ისარს გაუბზარავს.
იმ ღრეებზე მიხეთქებულ რამდენ ფარას
ზღვის ქაფიან ზვირთებივით გადუვლია?

ხომ იბრძოდი? ხომ გიყვარდა ჩვენი ზეცა?
აბჯრის ნაცვლად შენ სინათლე ტანზე გეცვა,
მზის სხივები, გადმოსული მაღალ ციდან.
შენ კვდებოდი, და წყვდიადში ლოცვის ხმებით
გულცივ არმაზს მოქანცული ქურუმები
გარს უვლიდნენ ჩირაღდნების ბარბაცითა.

შენ კვდებოდი, და ბალახში დანამული,
იქნებ ძაღლმა მოგიტანა სალამური,
თვალწინ დაჯდა მოწყენილი ღამის ბინდად;
რომ შთაბერე, კვლავ აინთო ზეცა ლურჯი
და ტკივილით ათრთოლებულ სალამურში
უცოდველი შენი სული ამოფრინდა.

ამოფრინდა და ბუჩქნარში ჩიტის ხმებთან
ვარდისფერმა განთიადმა შეიერთა;
ჰო, ეს მოხდა უთვალავი წლების წინათ,
მაგრამ, ბიჭო, შენ სიწმინდეს, შეუბღალავს,
იმ შენს გრძნობებს, ვით თოვლის ქვეშ მინდვრის ბალახს,
აქ მახლობლად უსათუოდ სადმე სძინავთ.

ანა კალანდაძე

შიომღვიმეში

რკინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
სამაგიეროდ, ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ ღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?

ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი

ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი,
მისთვის ღიაა ყოველი კარი,
ყველა სარკმელი მისთვის ღიაა:
- მე გავხსნი ქართვლის სულ ძველ იარას...
ხედავ, ბიძინა და ელიზბარი,
რომ მიჰყვებიან სოფლის ძველ შარას?
- შალვა... სად არის?
- იქ არის შალვაც...
მარჯვე მხედარი და მეომარი...
- მერე... საითკენ მიდიან ახლა?
- სულ სხვა ზრახვა აქვთ მათ, სულ სხვა ზრახვა...
გულში ფარულად ლესავენ მახვილს...
გესმის, თათარი ბატონობს კახეთს... -
ქსნის ძველ ციხეზე... ჩურჩულებს ქარი,

- მოკლეს ბიძინა და ელიზბარი...
- შალვაც?
- ჰო, შალვაც და ქართველები
მათ იკორთაში მიასვენებენ...
- ნათელი იყოს მათი ხსენება
აწი და მარად. აწი და მარად!..
ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი,
გუგუნებს ქარი...

იოსებ ნონეშვილი

პომპეუსის ხიდი

შეაბარბაცეს დედამიწა მკაცრი ბრძოლებით,
შუბების შუქი ანათებდა ქართლის ტრამალებს.
ბევრმა ვაჟკაცმა დაიმკვიდრა გმირის სამარე,
მიწვა მარადის, ქართულ მიწას ნაამბორები.

და როცა გული მოიჯერა სარდალმა ომით,
როცა მცხეთაში ვარდისფერი კარვები დასცეს,
ბრძანება გასცა: "ხიდი გასდეთ მდინარე მტკვარზე,
დაე, გაიგონ ძლიერება უძლეველ რომის!..

დაე, გაიგონ: ყველა გზები რომში მიდიან,
თვით ნათელი მზეც ცაზე რომის ნებით ჰკიდია"...

...გავიდა ჟამი, ჩაიქროლა ეს გზები ყველა...
მტკვარს, საქართველოს მიწა-წყალზე სინათლედ გაშლილს
ახალი ხიდი დასდგომია, ვით ცისარტყელა, -
და მიაქვს ძველი, დავიწყების უძირო ზღვაში.

1940

მცხეთობა

1. რას გუგუნებდნენ ნეტავ ზარები...

სვეტიცხოველის სვეტმაღალ კართან
ვიდექით უხმოდ და მოკრძალებით.
გვეფინა შუქი ფერმიხდილ ალთა
და ნაღვლიანად რეკდნენ ზარები.

რას გუგუნებდნენ ნეტავ ზარები,
ასეთი სევდით და მწუხარებით?..
იქნებ გლოვობდნენ იმ ნეტარ დღეთა,
როცა დიდებით ბრწყინავდა მცხეთა...

როს ნინოწმიდის თვალთა ნათელი
ქართლში ჰფანტავდა ღამეულ უკუნს,
როს წყვილი სანთლით იდგა ქართველი
და ყურს უგდებდა ზარების გუგუნს.

ალბათ ზამთრისპირს მოგისმენიათ,
ვით შრიალებენ ფოთლები მჭკნარი...
რარიგად სწუხან, რარიგ ელიან,
აჰა, სულ მალე ჩამოჰყრით ქარი...

ო, იქნებ, იქნებ იგრძნეს ზარებმაც
მათაც დაჰქროლეს სულ სხვა ქარებმა...
რას გუგუნებდნენ ნეტავ ზარები...

2. ისმოდა ტკბილი ფსალმუნთა ხმები

ისმოდა ტკბილი ფსალმუნთა ხმები,
ნელი ჩურჩული ფერმიხდილ ქალთა
და ბრიალებდნენ, ვით ჩირაღდნები,
შენი თვალები აღსავლის კართან.

მთვარის გვირგვინი არ გედგა თავზე,
ხელში არც ვაზის ჯვარი გეჭირა,
მაგრამ შენს თვალებს, შენს სილამაზეს
ყველა წმინდანი გადაეჩრდილა.

თვით მარიამის მზერა მზიური
იყო ფერმკრთალი, ამქვეყნიური.
და წმინდა ნინოს თეთრი ხელები,
ეჰ, არც კი იყვნენ გასამხელები.

ვფიქრობდი, ალბათ ზეცამ შემოსა,
ან სულის მაცდურ ვარსკვლავად ბრწყინავს...
და არ ვიცოდი - შენზე მელოცა
თუ დამეჩოქა ღვთისმშობლის წინა.

...ტკბილად მესმოდა ფსალმუნთა ხმები,
ნელი ჩურჩული ფერმიხდილ ქალთა.
და ბრიალებდნენ, ვით ჩირაღდნები,
შენი თვალები აღსავლის კართან.

3. არმაზი

ჩვენ მცხეთის ბებერ ბჭესთან ვიდექით,
შორით მოსჩანდნენ ციხე-დარბაზნი
და სვეტიცხოველს ნიშნისმიგებით
გადმოჰყურებდა ძველი არმაზი.

ფიქრი რამ აწვა ჩვენს მღელვარ გულებს,
გამოუცნობი, ვით ბედისწერა.
მწუხრში ქვებივით სულგანაბულებს
თითქოს გვესმოდა არმაზის ენა.

თითქოს მოჰქონდა ჩურჩული მისი
ნიავს, შევარდნის ფრთასავით გაშლილს:
"რა ნაღვლიანი გუგუნი ისმის,
სვეტიხოველო, მაგ ზართა ხმაში.

იყო დრო, ცისკენ აღმართე ბჭენი,
შენი დიდების გამომსახველი.
ასე დაიმსხვრა ტაძარი ჩემი.
ასე დაეცა ჩემი სახელი.

მაგრამ თუ ჩემთვის შავად გათენდა,
დღეს აღარც შენ გაქვს ძველი იერი.
თურმე ამაყი სული ქართველთა
ყოფილა ყველა ღმერთზე ძლიერი"...

...ჩვენ ისევ მცხეთის ბჭესთან ვიდექით,
შავად მოსჩანდნენ ციხე-დარბაზნი
და სვეტიცხოველს ნიშნისმიგებით
გადმოჰყურებდა ძველი არმაზი.

❀ მუხრან მაჭავარიანი

1.
საქართველოა თბილისი თუმცა,
თუმცა კი არა...
რას ჰქვია "თუმცა!"
მაინც, რატომღაც
აქვს ეშხი სულ სხვა! -
საქართველოის სადღეგრძელოს
მცხეთაში თქმულსა.
წარსულის დიდის
არს ბუნდოვნად
ალმდგენი მკვდრეთით
მცხეთა!
უკუჰყრის წარსულს
მატარებლის
კივილი მკვეთრი -
ელდა!

2.
ხმას ვახტანგისას
ინახავს სივრცე,
მიწა - ვახტანგის ცხედარს.
ცა არც ერთ ქალაქს
არ შვენის ისე,
ვითარცა
მცხეთას.

წარსული კარგი!
ძალიან დიდიც!
აუგი ვინ თქვა!
მაგრამ ერთს ვიტყვი,
პირდაპირ ვიტყვი:
გაწი-გამოწი! -
დღეს რაც ხარ! -
ის ხარ!

საქართველო და...
უსვეტიცხოვლო?!

სვეტიცხოველი
ნუთუ მართლა არ იყო ერთდროს?!
" - ჰე, ღმერთო, - ერთო!" -
ნუთუ მართლა არ ყოლერდა ერთდროს?!
მემატიანეს ვენდოთ?!

საქართველო და, -
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, -
უალავერდო?!

საქართველოა,
რა საქართველო?!
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

არყოფილს ერთდროს
არ ასცდება არყოფნა თუკი! -
ვით ბრძანებს ანი,
ლაპარაკობს როგორც მარდუკი.
ერთხელ რომ იდგა, -
იხელახლებს იმგვარი დრო და...
სადღაა შენი
ალავერდი,
გელათი,
შოთა!...
სვეტიცხოველი
ნუთუ აღარ იქნება როსმე?!
" - ჰე, ღმერთო, - ერთო!" -
ნუთუ აღარ იყღერებს როსმე?!
არყოფნის ნუთუ
არყოფილი მართლაა მოძმე?!
ეს რომ ასეა,
მზეა ნუთუ ამისი მოწმე?!

საქართველო და, -
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, -
უალავერდო?!

საქართველოა,
რა საქართველო?!
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

ოთარ ჭელიძე

ტაძარი მტკვარში

ძალა ძრავადქცეულ ცხენთა
როცა ავტომობილს დაძრავს,
უცბად დამანახვებს მცხეთა
მტკვარში სვეტიცხოვლის ტაძარს.

წყალში იძირება თითქოს,
ხელებს მოსახვევად მიშვერს,
ჩემგან შეუძლებელს ითხოვს,
სხეულს ამზეურებს შიშველს,

ჩემკენ გამოაფრენს მერცხალს,
მიხმობს: მომეხვიე, ჩემო!
შევძლებ ჯოჯოხეთში შესვლას
მისი შეჭირვების გამო,

მაგრამ განდგომილად, ცალკე
ვიცდი შორიახლოს მდგარი,
ვხედავ, უპოვნია სარკედ
ქალწულ სვეტიცხოველს მტკვარი.

და შიგ ანარეკლად ელავს
და რეკს სიზმარეულ ზარებს
ეგებ გევედრება შველას?
ეგებ გვენაზება მგზავრებს?

ეგებ გვეგებება ყალბად?
არა, დავუჯეროთ დღეგრძელს...
ჩვენში - ქართველებში, ალბათ,
ახალ არსაკიძეს ეძებს.

ალბათ ახლომახლო, სადღაც
მოჩანს დიდოსტატის კვალი,
რადგან უკვდავების ფასად
აღარ იკვეთება მკლავი.

ძალა ძრავადქცეულ ცხენთა
როცა ავტომობილს დაძრავს,
უცბად დამანახვებს მცხეთა
მტკვარში სვეტიცხოვლის ტაძარს.

ჯანსულ ჩარკვიანი

მცხეთა

"მაგრამ შეხედე, სად დამდგარა ძველი დიდება"

უძველესო, შენი ცოდვის
საგანძურით ვივსები,
მოდის ციდან, ციდან მოდის,
მშობლიური ნისლები.

სულის ცრემლს ცვლის სული წმინდა -
რიდითა და ღირსებით,
მოცახცახე ფრთებით ზიდე,
ფერთა სითბო მზისებრი,
პატიებას შენთან ვეძებ
მხოლოდ შენ თუ მიშველი,
მცხეთა, მცხეთა,
ოქროს ვერძებს
თვალში უკრთით გიშერი.

ვაზისფერი საღამო

არმაზო, ნეტა შენს სილამაზეს,
არმაზო, ნეტა შენს სიდიადეს!..
პირველად ვნახე შავი ავაზა
და ჩემი შორი მთები ვინატრე.
პირველად ვნახე შენი საღამო,
ასე მაღალი და გულზვიადი,
რომ გადამრიე და რომ დამღალე,
არმაზო, ნეტა შენს სიდიადეს!

სევდა

შენ მცხეთის ჯვარზე
დრტვინავ და ოხრავ
და ეჯახები ანანურს შუბლით.
არა მგონია, რომ ისევ მოხვალ

სიცოცხლესავით პატარა შუბით.
არა მგონია, რომ ისევ მეტყვი
გახმაურებულ ფიქრსა და სევდას.
რადგანაც შენი ცხოველი სვეტი
სიცოცხლესავით თვალებში მედგა...
რადგანაც შენი ცხოველი სვეტი
მთვარისკენ მიდის და მზისკენ მიდის,
და არაგვს მიაქვს პატარა სევდა...
და არაგვს მიაქვს პატარა ხიდი.

ჩემი ცხოვრების ნათელო ჯავრო

მრევლო და ჯარო,
მრევლო და ჯარო,
გადაგდებულო
ციხევ და კარო,
ჩემი ცხოვრების
ნათელო ჯავრო -
შენ, მცხეთის ჯვარო,
შენ, მცხეთის ჯვარო,
იმიტომ მიმძიმს,
იმიტომ ვწვალობ,
იმიტომ ვიბრძვი,
იმიტომ ვჩქარობ.
ჩემი დღეების
ჩამქრალო კვარო -
შენ მცხეთის ჯვარო,
შენ, მცხეთის ჯვარო,

რომ არ გახუნდე
ნაცრისფერ მზეზე,
სიცოცხლის ცეცხლო
და თანამგზავრო,
წვიმს ქართლის გზებზე,
წვიმს ქართლის გზებზე,
და გულზე მაწვიმს
მეც, მცხეთის ჯვარო.

ელაპარაკე ვარსკვლავებს

"ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ"

ეს რა მზესავით მთვარეა ცაზე,
ზედაზნის დიდი მთვარე გვეძახის,
ცაზე ვარსკვლავად კიაფობს აზრი
და ახალშენი მღერის ვენახი.

ელაპარაკე ვარსკვლავებს, ღმერთებს,
მისთვის, რომ ძვირად ფასობს ილია,
შენი ხმა სულში თოვლივით წვეთავს,
შენი ჭირიმე, რა დროს ძილია.

ელაპარაკე ვარსკვლავებს, ღმერთებს,
ზედაზნის დიდი მთვარე გვეძახის,
რომ მარად ენთოს,
რომ მარად ენთოს
ვენახში მზე და მზეზე ვენახი.

მცხეთის ვიწროებში

. სულ მთლად ფესვებში წასვლიათ ძალა,
ტანად ჯუჯანი
სხვა ტევრების მესამედია.
დახლაკნილები
ვერც შრიალით გეტყვიან სალამს,
ველარც თავდახრით მესალმებიან.
მცხეთის ხევნარო,
ქარიშხალი გცემდათ ისეთი,
სულ გამოშრიტა თქვენი წვენი
სიმწრის ოფლივით.
კი არ იდექით,
თავწახრილნი პირქვე იწექით,
ქვას ქვაზე ჰკრავდით
ზედ ქვრივივით გადაფოფრილი.
აქ იყრებოდა ყველა ლაშქრის
გზაჯვარედინი.
არმაზისაკენ კარი თქვენთან გადაჰკეტია.
დაგიკაწრიათ მურვან-ყრუ და
ჯელალედინი, -
კალთების გლეჯას დაჩვეულხართ მას აქეთია!..
თავგანწირულნი
ხალხთან ერთად თავ-პირს ახოკდით
მოძალადეებს და უკეთურებს...
გამიგონია ბავშვობაში, მაგრად ჩაკეტვის
ნაცვლად ამბობდნენ:
“ ერთი, კარი დაუმცხეთურე!“

ასე დაგჩემდათ.
მტკვარგაღმიდან სვეტიცხოველი
მტერს თვალში ერჭო,
მაინც ვერვინ ისაკუთრებდა;
ისე მოგხრიათ სახსარი და წვერი ყოველი -
ზედ დაჰკანკალებთ
მაგ ხმელ მკერდზე მისახუტებლად.
და ახლაც,
დევის ღრჯოლებივით ჩასაფრებულნი,
მზად ხართ დალეწოთ
მტერი, აღარ გააჭაჭანოთ...
რაღად გჭირდებათ ეგ დაძაბვა,
გაშალე გული,
წელიც,
მკლავებიც,
ბაგნითურო მწვანე ჯავშანნო.
მთებო, კლდოვანო-ფოთლოვანო, თქვენ გეთაყვანეთ,
ჩასაფრებულნო დევის ღრჯოლებად,
რის ფოთლოვანი!
დაძაბულხართ როგორც ფირალნი
ყველა მომხდურთან
და ორგულთან შესაბრძოლებლად.

მცხეთის ნეკროპოლი

რომელი ხარ, წვივმაღალო რაინდო,
მერიდება, გაძრცვილ ძვლებზე დაგყურებ,
ხარბმა მიწამ ეს განძიღა დაინდო:
ციცქნა ღილი და კუფხალი საყურე.

გრილ სიღრმეში ჭურჭლის ყური კიაფობს,
ბარის წევრთან ზოგან ოქრო ინთება,
გვსურს წარსულის საიდუმლო გვიამბონ
ათას წლობით დამარხულმა ნივთებმა.

დაცლილ სკების ნაყარ ფუტკარს მაგონებს
ჯეელობა თხრილებში რომ მუშაობს,
ეძებს, ნაშთი მამა-პაპათ ნაქონი
შთამომავლებს თვალწინ გადაუშალოს.

თბილი ქარი ჩემს ძახილსაც მიარხევს
თავახდილი ქვა-ყუთების ბადეში,
გლოვად არა, სეირისთვის გიახელ
მე პატარა, მეოცნებე ბადიში.

გმირი იყავ, თუ სათოკედ იწოდე?
წუთისოფლის მტერი ხარ, თუ მოყვარე...
ვინ რა იცის, რა წყურვილით იწვოდი,
და წადილი პირთამდე ვერ მოჰყარე.

დახე, ბოლოს მაინც არა გერგო რა,
ქვრივი დაგრჩა - მიწას რომ მიგაბარეს?
წვიმის წვეთი ცოლის ცრემლი გეგონა,
კმაყოფილი უღიმოდი სამარეს...

ის სადღა წევს, ცხადად რომ ვერ გაბედა
დაეტირე მდულარ ცრემლთა იარით,
ჩაინაცრა წაკიდებულ აბედად
გულის ტოლი, გულის თანაზიარი!

ვცდები! სულ სხვა ბედი გქონდა იქნება,
მე კი გკადრე ჩვენებური ცოდვები;
გამიტყუეს დასაწვავმა ფიქრებმა.
შენს სამკვიდროს ველარსაით ვშორდები:

ბევრგან შევხვდი წარსულ დროის გასაღებს,
ქვის ჩუქურთმა ვნახე გაუხუნარი,
მივიწყებულ პოემების ნასახით,
თან სიცოცხლის დაუშრეტი უნარით.

გაიქროლეს ქალდაველმა მხედრებმა,
დარჩათ დაშნის სიფრიფანა პირები,
ზედ აჩნია მტრად თუ ტრფობის ვედრებად
ყვავილისკენ ყელგაწვდილი ირემი.

გზასაყარზე, უთვლელ ქუსლით ნათელმა
მცხეთამ რამდენ საუკუნეს ინახა
ცხრა-ნაწნავი, მოკაშკაშე ბალთები
ჩახვეულნი ნაირფერის მინანქარს...

თვალი მაინც შენს სამარხს ვერ ელევა,
გმირის მწირი სამკაული მიზიდავს,
წიპწასავით პაწაწინა ღილები,
დაბასმულნი ჟღალ-თიხნარი მიწითა.

აქ, სერებზე, ხშირ, ოქროსფერ ნათესში
ბევრსა ვკრეფდი სოსანს მაღალ ღერიანს,
შენი ღონის ერთი მეათასედი
ქართულ პურის ნატეხშიაც ერია...

და ქარი თუ ჩემს შეძახილს მიარხევს
თავახდილი ქვაყუთების ბადეში,
გლოვად არა, სეირისთვის გიახელ
სულ უმცროსი, მეოცნებე ბადიში.

მიხეილ ქვლივიძე

მცხეთაში

- რა მწვანე მოლია!... მოდი აქ დამიჯექ,
კისერი მეტკინა გუმბათის ყურებით...
შეხედე, იცინის ბებერი კარიბჭე, -
ნუ დავემდურებით,
მოხუცი არ სცდება:
ამ ტაძრის დიდებას
თვალი ვერ გასწვდება!

მოდი, აქ დამიჯექ!.. ნუ ვიტყვით იმაზე, -
ვინ მისცა ამინდებს ამდენი სინაზე,
ან მთაზე მიმინოს
"ჯვარი" ვინ უწოდა,
ან ძველი კედლებით ზეცა ვინ შეღობა...
ბევრია თუ ცოტა, -
ჩვენ ესეც გვეყოფა!

ეს კაცის თვალია- ასეთი უხამსი:
ხეა თუ ციხეა,
ლოდია თუ ხავსი, -
ყველაფერს
დუმილის უფლებას წაართმევს.
შეხედავს,
ჩაიწერს
და სახელს დაარქმევს!

არსაკიძის ეპიტაფია

მონა იყო. ბევრი ჰყავდა მონას მტერი
(მატიანე ამას დაემოწმება).
ხელისგულზე აიშენა მონასტერი -
სამშობლოზე ერთი მუჭა ოცნება.
მონა იყო. შთაგონების მონა იყო.
მტერთა შორის დაეძებდა მოკეთეს...
მას უნდოდა
სამშობლოში მომკვდარიყო,
სამშობლოში
მას მარჯვენა მოჰკვეთეს!

ᲖᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

* * *

როცა მე გარდავიცვალე იდგა აღდგომის სწორი,
ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში - შვილი და ცოლი,
შემიდგნენ არაგველები თავის მგალობლის ცხედარს,
ფარებზე გადამაწვინეს და წამასვენეს მცხეთას.
- საით, ბიჭებო, - გავძახე...
მითხრეს უფლისა ნებით,
იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით...
მე ჩავუარე ბავშვობას,- ბურთს თამაშობდა მინდვრად,
ადგა და გამომეკიდა, ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.
გადავუფრინე ციხეებს,
მთლად საქართველოს სერებს,
ისე იყავით, კარგებო, როგორც გხატეთ და გწერეთ...
რა კარგი იყავ, სიცოცხლევ, ვერ მოგიყირჭე ქებით,
მტრებიც კი მყავდნენ კარგები, არათუ მარტო ძმები,
მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, ველარ გიხილავ ხვალე,
ფალავნების და მგოსნების სტუმართმოყვარე მხარე.
სულმა დავლოცე ცოლ-შვილი და პატიებაც ვთხოვე
ჩემი ცხოვრების სიხარულთ,
ჩემ ჯვარს და სვეტიცხოველს.
როცა მე გარდავიცვალე, იქ დავიბადე მყისვე,
ჩემი გვარის და სახელის ვიღაც ატირდა ისევ,
იტირე ჩემო პატარავ,
გამახარე და მტანჯე,
ტირილით უთხარ მადლობა ჩვენს მარადიულ გამჩენს.



* * *

სვეტიცხოველს თუ ააგებ -
უფლისათვის ტარიგია;
დაგიჭერენ, მკლავს მოგჭრიან, -
რატომ კარგი აგიგია.
არა ერთხელ შეესწრები
ცის გახსნას და მისტერიას,
მაგრამ თვალებს დაგივსებენ -
რატომ ღვთისთვის გიცქერია.
სიმართლისთვის ოქროპირობ,
საქმეს აქებ საარაკოს,
მაინც ენას ამოგგლეჯენ -
რატომ ტყუილს ლაპარაკობ.
მაფშალიად იწოდები
მთელ კოლხეთს და იბერიას,
აგრემც ყელსა გამოგჭრიან
რატომ კარგად გიმღერია.



მცხეთაში

მზე გამაძღარი გლეხკაცივით მთლად გაზარმაცდა,
შუბს დაებჯინა და ჯიუტად დადგა არმაზთან.

ზურგზე ხორაგით, მოლბერტებით და ანკესებით
დავხეტიალობთ... წვიმითა და მზით ვიკემსებით.

ხევში ჩავედით და მივწექით ბიბინა მოლზე.
სადღაც პაწია ხეკაკუნა სწავლობდა "მორზეს".

მდინარის პირად ამოვიდა ვეება კაცი,
მხარზე გაედო (როგორც ჩანდა შორიდან) ვარცლი.

კაცი ზევიდან მოდიოდა, ხოლო ქვევიდან
პატარა ბიჭი ლომა ხარებს მიიდენიდა.

უცებ ხარები, ბრგე ხარები (ო, საოცრება!)
იმ კაცს როგორც კი გაუსწორდნენ, იქცნენ მოზვრებად.

ვარცლი კი არა, თურმე დევკაცს ნავი მოჰქონდა,
ნავი მოჰქონდა... ნავი ვარცლად ჩანდა ოღონდაც...

მერე მოზვრები, კუდბაწარა და შავხალება,
ნელ-ნელა ისევ გაიზარდნენ, იქცნენ ხარებად.

- ერიჰაა, ამას ვისა ვხედავ, შენა ხარ, კაცო?
მაშ, გამარჯობათ! - მოგვებულა მისი როხროხი,
თითქოს ფესვებით ამოთხრილი დაფშვნეს გოროხი.

ნავი ჩამოდგა, მოიხადა პატარა ქუდი,
რაღა პატარა, - ზორბა იყო ვით ყვავის ბუდე!

...ნავის მთრეველი დევის ჩრდილი გაწვა მამონტად,
თითქოს მამონტმა ლეგენდიდან გადმოაბოტა.

თითქოს დღე იყო იდუმალი, დღე რამ გრძნეული,
პრეისტორიულ ჟამთასვლიდან ამოხეული.

გზაზე მანქანის გრძელი ჩრდილი წამოიშხვართა
და მწევარივით გაინაბა დევის ჭიშკართან.

მანქანის კარი გაიღო და ვილაცამ რიხით
მკერდზე ყოჩივით აიტატა ვეება ტიკი.

- აბა, მიიღე, ძია სანდრო, სტუმრად მოდიან,
აჰანდე, "გრემიც" გამომართვი", სამი ბოთლია.

- აი, იცოცხლე, ქორწილებში მენახე მუდამ,
სტუმარიც, ღმერთმა აგაშენა, ეგეთი უნდა!

მაინც ვინ არის, მითხარ, ბიჭო, ვინ სტუმარია?
- აბა, მე რავი, ძია სანდრო, ბევრნი არიან.

ერთი რუსია, სულ იცინის, ზორბა კაცია,
ტანზე საზღვაო კაპიტანის ფორმა აცვია.

დიდს და პატარას ხელს გვართმევდა სულ სათითაოდ,
სვეტიცხოველის, კანდელაკის ნახვა გვინდაო,
ფრთხილად იყავი, ძია სანდრო, არ გეჭიდაოს.

. . .
მასპინძლობაში წილი იდო ყველა ასაკმა,
ვინც მოიხელთა ძია სანდრომ, ყველა დასაქმა.

- აბა, მოდითო, სულისმოთქმას აღარ აცლიდა...
ზოგი საცერით გამორბოდა, ზოგი ვარცლითა.

შეიქნა ერთი ფაციფუცი, აყალმაყალი,
მიჰქონდ-მოჰქონდა შამფურები, ჩაფი, მაყალი,

სახინკლე ქვაბი - მუზარადი ბაყბაყდევისა,
არც ჯიხვის ყანწი, არც ჭინჭილა არ დაევიწყათ.

და როცა შუკა
გააშიშვლა მანქანის შუქმა, -
ლიფსიტასავით ასხმარტალდა პატარა შუკა.

ფარების შუქმა აუქშია ხეებს ჩრდილები,
ფოთოლდაფოთლილ ჩიტებივით ჩათვლემილები.

დახლიწა ღამე ყანასავით და გამოჩალა,
საყდრის კრამიტი გამობობღდა ვით კიბორჩხალა.

ლანდებმა მცხეთა გადატოპეს და გადასერეს,
შუქი თევზივით ჩუმად ხევდა ჩრდილის ფაცერებს.

შუქმა გადაჰკრა სვეტიცხოვლის გუმბათს ზემოდან
(მორწმუნეს, ალბათ, ანგელოსი ეგონებოდა).

და ქონგურები ბუებივით გაფუყულები
ძირს ეცემოდნენ გალავნიდან მოთიბულები.

რკინის ჭიშკართან აიზღარბა ჩრდილი ორღობის,
გასხლტა კუნელი, აფართხალდა თითქოს ხოხობი.

ახალმოსულებს სურნელება მოჰყვათ დეკასი,
დაწინაურდა, მიეგება სტუმრებს დევკაცი.

- აი, ეს მესმის! - იძახოდა წითურთმიანი, -
ასეთი უნდა იყოს ყველა ადამიანი!

- ზარემბო, აქეთ - დაიძახა გაოცებულმა, -
- შეხე, ილია მურომეცი გაცოცხლებულა!

ეს ხელისგული კი არა და ლომის ტორია!
ეს ტორი ქმნიდა ქართულ ტაძრებს და ისტორიას!

ბეჭებია თუ სვეტიცხოვლის გალავანია,
ანდა ვკითხულობ ქართულ ზღაპარს ყარამანიანს?..

- "გთხოვთ... გაიცანით, ბატონებო, შურკა ზარემბო!
ნომრის ჩვენება ცირკის ვარსკვლავს არ ეზარება...

ცირკის ჟონგლერი, პიანისტი და აკრობატი!"
(ახლაღა მივხვდი - ნასვამები იყვნენ ცოტათი).

ზურგზე მოეგდო თავდაყირა თეთრი გიტარა,
წვიმაში თოფს რომ ატარებენ, სწორედ იმგვარად.

მომიახლოვდა, გამიღიმა და მორიდებით
გამომიწოდა მათრახივით გრძელი თითები.

და რასა ვხედავ, როგორც ჭინჭილა
ხელში სიმინდის მოხარშული ტარო მიჭირავს!

წამიც და დამფრთხალ მცხეთელებში ატყდა ხარხარი,
მაგრამ ზარემბოს სხვაც ელოდა მსხვერპლი ახალი.

იმ ერთს, ურცხვად რომ ჭიხვინებდა ველურ ულაყად,
ჯიბეებიდან "ბუბლიკები" ამოულაგა.

შურკამ ვისკენაც წაიწია, ყველამ უგანა,
უკანა წინას აქეზებდა, წინა - უკანას.

ბოლოს ვიღაცა გამოუხტა მთლად თითის სიგრძე,
ზარემბომ იმ ღლაპს ორი თითი წაავლო ცხვირზე.

დააცემინა და ბიჭუნას ნესტოებიდან
ხურდა ფულების ჩქერალები გადმოეკიდა.

ბალღებს პირები დაებჩინათ შოშიებივით
და საცოდავ ბიჭს შესცქეროდნენ შეშინებულნი...

თითქოს ყველანი უზარმაზარ ქვევრში ვისხედით -
დევის ბუხუნი იდგა ისეთი.

მაშინ რომ მარტი ყოფილიყო - სინედლე ხეთა,
ალბათ, იმ ხორხოცს მოჰყვებოდა კვირტების ხეთქვა.

და რომ მდგარიყო შემოდგომის მელანქოლია,
გახშირდებოდა ფოთოლცვენა, ასე მგონია.

ზედაზენი

აქ ისეთი სიჩუმეა, ღვთის ისეთი წყალობანი,
არ იქნება არ მოგესმას ანგელოზთა გალობანი,
იმოსება მთა და ბარი ღვთაებრივი მზეთამზითა,
ღვთისმშობელი თავის სამწყსოს გადასცქერის ზედაზნიდან.

მე ვარ ბერი მგალობელი.
მარტო ლოცვა, მარტო სული,
წამებული წმინდანი ვარ,
ფრესკიდან ვარ გადმოსული.

მეძალება, მეუფლება მხოლოდ რწმენა, მხოლოდ შიში,
ცათა გახსნის, ცათა გახსნის, ცათა გახსნის მოლოდინში.

ხუტა ბერულავა

ეპიტაფია სვეტიტცხოვლის აღმშენებლისა

არა მყოლია მეციხოვნენი,
არა ვყოფილვარ მეტის მთხოვნელი,
მე შევქმენ მხოლოდ სვეტიცხოველი!

მარადისობას შეჭიდებული
არვის ვეგონო ძე დიდებულის.
გვარიც არ მქონდა ძველი, ქებული.

არა მწყალობდა ბედი და ღმერთი,
ხან სიხარული დამქონდა მკერდით,
აღვივსებოდი ჟამიჟამ სევდით.

მე თვით უარვყავ ცხოვრება მშვიდი
და მყუდროების სავანე ფლიდი,
ვიდექ: ვძერწავდი, ვჭრიდი და... ვშლიდი.

სიტკბოებისთვის კარი დავხურე,
ხან ვიშიმშილე, ხან ვიმარხულე
და ღვთის სახელით ხალხს ვემსახურე.

ქმნა კეთილისა ყოფილა ჯვარცმა...
რამდენი ლოდი დავლეწე კაცმა!
რამდენჯერ ვიგრძენ მიმწუხრის განცდა!

რაც კი ძალმედვა, არ დავიშურე,
ქვაზე ჩუქურთმა ვაშარიშურე,
იშვა ტაძარი და შავი შური.

როგორ შევჩივლო მშობლიურ ტყე-ველს:
ვისაც მივენდე, ვინც აღვაზევე,
უარმყოფელი გამიხდა მევე.

მანაც დამიგმო ნამოღვაწარი,
ახლა მცხეთაში თქვენს წინ რაც არი,
და მომაყარა თვალში ნაცარი.

თვალებში თვითონ ჰქონია ნისლი,
სიყვარულის წილ ლაჩრული ზიზღი,
ღმერთმა მიაგოს, ღირსია რისიც.

ჰკიოდა შური რისხვით და მდურვით:
- რომ არ გვასვენებ, რად არ გვასვენებ,
რომ აღაშენე, რად აღაშენე?!

და... ხალხის თვალწინ მომჭრეს მარჯვენა!
არცა მეფემ და ქვეყნის გამჩენმა,
არცვინ იჩქარა გადასარჩენად...

ხუროთმოძღვარი რაა უხელოდ? -
ის, რაც მთიბავი არის უცელოდ,
ძმობილი უძმოდ, სოფელი უგზოდ.

ზეცა უმზეოდ, მამა უძეოდ,
სახლი უკაროდ, ქარი უქაროდ,
ეზო უჭიშკროდ, მშვილდი უისროდ.

ძარღვი უსისხლოდ, მთები უნისლოდ,
ნანა უდროოდ, მუხა ურტოოდ,
სატრფო უცრემლოდ (ანდა უჩემოდ!)...

ქვაში ავანთე ფერი ყოველი.
მე დაგიტოვე სვეტიცხოველი
და არ გეგონო მეტის მთხოვნელი:

ხალხო მშობელო, ბრძენო, მაშვრალო,
თუ გსურს ამაყად ფრთები გაშალო,
შვილებს ოცნება უნდა აცალო!

უნდა აცალო ფიქრიც და დარდიც!
მადლი ამქვეყნად შუქივით დადის,
არ დაუკარგო ნამცეცა მადლი!

არაკაცს ნულარ მისცემ არჩევანს.
მაღლა ასწიე ჩემი მარჯვენა,
ბევრი მარჯვენის გადასარჩენად!

იკმარე ჩემი მოჭრილი ხელი,
იყავი შვილთა ერთგულთა მცველი,
თორემ ბასრია სიკვდილის ცელი.

და სინანული იქნება გვიან,
და გმინვა გულის იქნება გვიან,
და სიყვარული იქნება გვიან!

ზაურ ბოლქვაძე

მცხეთა

მცხეთა - ღმერთის ლექსი,
სამარეა თავღია
და შიგ უძველესი
საქართველო მარხია!

ჩაძირულა დროში
გემი - სვეტიცხოველი,
ჩემი ჩუმი ლოცვის,
ჩემი სევდის მქსოველი!..

ისტორიის სიზმრებად
ბინადრობენ მცხეთაში
ზემზიური ნისლები
ჯვრის, არმაზის, ზედაზნის!..

უვლის, ფიცავს, იცავს
ბებერ ხელებს აფარებს
წამებული მიწა
მარადწმინდა საფლავებს!

სხვა დარდები ბორკავენ
ახალ მემატიანეს!..
და მცხეთის მზის ბორბალი
ტრიალებს და ტრიალებს!

ღამე ღამეს უთევს
ჯვრის მონასტრის ნაღვერდალს
და დარაჯობს უთქმელ
მცხეთის ზეცას - ნაღმერთალს!

ღმერთო, ყველა ქართველს
ფიქრი აუცხადე
ხელი მოუმართე,
გული გაუმცხეთე!



ᲛᲪᲮᲔᲗᲐ

ო, მცხეთა... მცხეთა... შენა ხარ დედა
მაღალ ტაძართა, მაღალ ციხეთა.
შენს ქედებს ცეცხლი რომ დააკლდეს ამაყ ქართველთა,
მე მომკლავს ელდა!..

ო, მცხეთა... მცხეთა...
შენი ტაძრებით და ციხეებით,
მხრებზე რომ გაწევს სიმრავლე წელთა,
ქარიშხლიანი მკაცრი დღეების...

შენს მთებზე თვალი შევასწარ მზის სხივს
და ლამაზ მთების ჯადოსნურ ფერთა,
ვით გათოვს ჩემი ქართული სისხლი,
ო, მცხეთა... მცხეთა...

ო, მცხეთა... მცხეთა...
შენი არმაზი და ბაგინეთი
იმგვარად მიყვარს,
შენ რომ ცუდ თვალზე შეგხედოს ღმერთმა,
მე თვითონ ღმერთსაც შევაგინებდი.

ო, მცხეთა... მცხეთა...
სვეტიცხოვლის ლურჯი თავანი
შენ როგორც შუბი გიპყრია ხელთა,
და შენი სული, ქარიშხლებმა რომ ვერ გათელა,
ბრწყინავს ვითარცა მზე თამარის,
ზეცა ქართველთა...

ო, მცხეთა... მცხეთა... შენი ციხის მძიმე ლოდები,
ტანზე რომ ხავსი აუსხიათ წვრილთვალა ჯაჭვად,
იმგვარად მიყვარს, თითქოს ზოგჯერ კიდეც ვღონდები
და ჯადოსნური შენი მთების ფერები მტანჯავს...

ო, მცხეთა... მცხეთა... შენა ხარ დედა
მაღალ ტაძართა, მაღალ ციხეთა.
შენს მიწას ფეხი რომ დააკლდეს ამაყ ქართველთა,
იცოდე, უმალ მე მომკლავს ელდა!..

მორის ფოცხიშვილი

არმაზის ნანგრევებთან

მიხეილ ქიქოძეს

ალბათ ისევ გზამ თუ იცის,
გზა რაა და ბედისწერა, -
შენი სერაფიტა გიცდის,
რადგან მხოლოდ შენი სჯერა!

ჩქარა, თორემ აზრი დაცხრა,
ვაი, მგონი სიმზრად გნახე -
ფრთებჩაჟანგულ ბოქლომს ახლა
კვლავ შენს გარდა ვერვინ აღებს,

იყო! იყო! დარდი იყო!
თითქოს თოვდა უმოწყალოდ...
ისევ გაზაფხული გიხმობს,
ისევ სერაფიტა გალობს!

სადგური მცხეთა

მატარებლების კივილი,
ამო შრიალი ხეთა,
ჩრდილში ჩაფრენილ სხივივით
გაბრწყინებული მცხეთა.

შენი პატარა სადგური -
ჩემი ოცნების აფრა,
პატარა გულის ხმაური,
პატარა ფიქრის დაფა.

დაუწერელი ლექსების
ამლერება და რიდი...
- მატარებელი მოვიდა!
- მატარებელი მიდის!

არმაზის აკლდამის ქვაზე ამოკითხული

ვაი, შენ წუთისოფელო,
დაგცადე ათასფერადა,
შორით დაგიდექ,
შორიდან

არა, არ ღირდი ცქერადა.
ახლოს მოველ და
დამდაგე,
გამხადე დღეთა წერადა,
გავიქეც,
გამომეკიდე,
გზა მომიქციე მტვერადა;
ცეცხლად მეკიდე,
მე კიდევ
დარდი ისედაც მკვერავდა...
ვერ იქნა
გაგსწორებოდი,
ვერ იქნა,
აუჰ, ვერა და...
კლდე იყავ,
კენჭიც არ გქონდა
მოსარყევ-მოსამტვრევადა.

ზმები ზედაზნური მზისა

არაფერი,
ო, სრულიად
არაფერი,
ცა და ისევ
ცა და
ცა...
სადაცაა,
შენი შუქით

გადავქრები,
სადაცაა,
შენი ცეცხლი
გადამწვავს.
გადაჭრილი ვენებივით
თბილი გზები,
მზე და ისევ
მზე და
მზე...
მზეო, ვიცი,
ზედაზენზე
მიმიძღვები,
მზეო, ვიცი,
ისევ ვნახავ
ზედაზენს!
არაფერი,
ო, სრულიად
არაფერი,
ცა და ისევ
ცა და
ცა...
სადაცაა, შენი შუქით
გადავქრები,
სადაცაა,
შენი ცეცხლი
გადამწვავს.

თეთრი ლექსი პომპეუსის ნაცრისფერ ხიდზე

პომპეუსის ნაცრისფერ ხიდზე
თავკისრისტეხით
გადადიან ლეგიონები...
დგას ბაღში მცხეთელი კოლმეურნე,
არაფერს იმჩნევს და,
სასხლავით ხელში,
მსხლის ველურ ჯიშებს თავს დასტრიალებს.
პომპეუსის ხიდზე კი
გადადიან და გადადიან ლეგიონები.
წრიალებენ ქერათმიანი ტურისტები
და კაჟიანი თოფებივით
ატკაცუნებენ,
აპრიალებენ აპარატებს...
პომპეუსის ხიდზე კი
გადადიან და გადადიან ლეგიონები -
ლეგიონები მტკვრის ტალღებისა.
დგას ბაღში მცხეთელი კოლმეურნე
არაფერს იმჩნევს და...
თითებით ფშვნის
ქლიავისა და ვენახის მიწას...
დგას ბაღში მცხეთელი კოლმეურნე და
ღიმილით ისმენს
კეთილი სტუმრების ლამაზ ლაპარაკს -
ხიდი, რომელიც აღაშენეს
ომების მიზნით,
მშვიდობიანმა წყალმა დაფარა.

მცხეთობა

მცხეთობა - საერთო გუგუნი ზართა,
მცხეთობა - ფიცი და
მცხეთობა - აღთქმა!
მცხეთობა - იბერთა მითი და ზღაპარი,
ლაშარის ცეცხლი და
ზედაზნის ღადარი!
პირველი ღმერთკაცის ურო და გრდემლი,
მცხეთობა - სერაფიტას ქალწული ცრემლი!
მცხეთობა - მესიის ცისფერი მახვილი,
მცხეთობა - ღვთისმშობლის რძისფერი ფატა, -
მეფე მირიანის სამწყსო და სახმილი,
ნანა დედოფლის უბიწო ნატვრა!
პირველი სამოთხე - ადამ და ევა, -
საუფლისწულო აკვნების რწევა!
მცხეთობა - მაცხოვრის სპეტაკი კვართი,
ნინოს ნაწნავებით შეკრული ქართლი!
პირველი სიტყვა და პირველი კერპი...
წმინდა სიდონია - პირველი მსხვევრპლი!
შავი კერამიკა - თეთრი სასწაული,
ჯვარი - სვეტიცხოვლის სასწორ-საწყაული!
აჩუქურთმებული ქერი და ჭვავი, -
დიდოსტატ კონსტანტინეს მოჭრილი მკლავი...
მცხეთობა - შრიალი შტომრავალ დღეთა...
ფარ-შუბის ჟღრიალი...
მცხეთობა.. მცხეთა...
დაჭრილი არწივი, დაღლილი ფრენით, -
ჩვენი წიწამური - თვითგვემა ჩვენი...

ტყვიით დახეთქილი ილიას შუბლი, -
სიკვდილ-სიცოცხლე - სირცხვილის ზღურბლი...
სიმართლე, რომელიც ბოლომდე ვერ ვთქვით,
მცხეთობა- სიმართლის აღდგენა
მკვდრეთით!
ისე ვით არმაზის ბილინგვის ახსნა,
მცხეთობა - უნაზეს ყვავილთა
თავსხმა!
მცხეთელი მინდია - კეთილი კვალი,
მცხეთობა - არსენას უსისხლო
ხმალი!
ქართველი დონკიხოტი,
პირველი ფათერაკი...
ბეჭდაუდებელი სანდრო კანდელაკი!
გორგასლიანთა გენი და ჯიში,
ცისკარი - თვალებში,
სინან

დედა-საქართველოს სიყვარული!
მცხეთობა - ლექსი და
მცხეთობა - გალობა,
მცხეთობა - მცხეთელთა ნება და
წყალობა!
არწივის ნაბუდარზე დრო წივის,
მზეობდეს მზე, როგორც მზეობდა, -
ქორწილი!
ქორწილი!
ქორწილი!
ძეობა! ძეობა! ძეობა!
მხრებგადახეხილი მთების გალავანი,
მცხეთობა - ასპარეზი,
მცხეთა - ფალავანი!
შენ რომ ვერ თმობდი და
მე რომ არ მეთმობა, -
მცხეთობა!
მცხეთობა!
მცხეთობა!!!

მცხეთა

ცხრა მთას როდესაც დაერქვა მცხეთა
და საქართველოს გულად აფეთქდა,
გაგიხარია, მრავალს ემცხეთა,
გაგიხარია, ბევრი დაფეთდა.

ბევრგზის უმტვრიეს ციხის ქონგური,
ბევრგზის ურბიეს მიზნის გზა-კვალი.
შემოილეწა ყველა მომხვდური,
შემოიფანტა ყველა მზაკვარი.

ეურჩა მრავალ დრო-ჟამს იარით
და მრისხანებით ღვარად მოვარდნას.
არ დაუხრია დროშა სვიანი
იმ წინაპართა, ძალგულოვანთა.

რა გაიზარდა, - მხრები გაშალა
და არტახებმა შეჰკრა მთებისამ,
მხედარმა შავმა ცხენის ავშარა
ნებას მიუშვა გათენებისას.

აღმოსავლეთით მიმქროლს რა დახვდა -
ტევრი ხოხობთა, ზეცა დილის მზით,
შესდგა მხედარი, მკლავი აღმართა
და... ჩასაძირკვლდა დედა-თბილისი.

როგორც დიდება გარდასულ დღეთა, -
ჩაჩუქურთმული დროის ბორგვაში,
ხელებგაწვდილი მოიწევს მცხეთა,
რომ ჩაეხვიოს ქალაქს გორგასლის.

ოთარ ჭილაძე

* * *

მე სისხლს მიჩქარებს და თავბრუს მახვევს
ეს დიდებული ჯვარი და მცხეთა.
თითქოს პირველად ვიგებ შენს სახელს,
ან ვეთხოვები საყვარელ ცხედარს.

მეც მცემს ამ მთებზე გამსკდარი სეტყვა,
ჩემზეც გადმოდის ამ ცის სიფითრე.
მათი ბრალია, რამეს თუ გეტყვი,
ანდა არ გეტყვი, მაგრამ ვიფიქრებ.

ტარიელ ჯანტურია

* * *

მცხეთიდან დაბრუნებული ვიტალი კორო-
ტიჩის პასუხი ბანალურ შეკითხვაზე: "ნუ, კაკ?"

- მე ვნახე, როგორ შერევია შრეებს შრეები;
ვნახე ჩუქურთმა - შერეული წრეებს წრეები;
ვნახე ძველ წლებში შერეული ახალი წლები;
ვნახე ძველ ძვლებში შერეული ახალი ძვლები;

ვნახე მტკვრის წყალში შერეული არაგვის წყალი;
ვნახე სერაფიტ - შერეული ძვირფას თვლებს თვალი,
და ტაძრის კარნიზს ჩაფრენილი ერთი მარჯვენა,
რომელს მოკვეთა არ უწერია...

თამაზ ჭილაძე

* * *

ჩუ!
ზედაზენზე სუნთქავს ვარსკვლავი,
ვით პაემანზე მოსული ქალი,
ქალი კი არა- დამფრთხალი ჩიტი.

შორს მტკვარი მიდის, როგორც დაღლილი
ჩაძინებული ცხენზე მხედარი.

* * *

ის, რაც არ ითქმის, რასაც მალავენ,
მე გადავწყვიტე ვთქვა და გაგანდოთ,
როგორც უცნობი კაცის სალამი,
ანდა წერილი უმისამართო.
ოღონდ მაცალეთ - თავდავიწყებით
ვწოვო ზედაზნის ღრუბლის ჯიქანი,
ვსვა გაზაფხულის სუნთქვა ფიცხელი
კავკასიონის ბროლის ჭიქებით.
ოღონდ მაცალეთ - იქნებ ამოსკდეს
გულიდან, რასაც დიდხანს ველოდი
და ერთხელ კიდევ, უკანასკნელად
დავთვრე ამ ჩემი საქართველოთი.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ

ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖ

"დგა კაცი ერთი სპილენძისა... და ხელსა მისსა აქვნდა ხმალი ლესული".

("მოქცევაიქართლისაი")

საქართველოს დიდი მეფის
ამბავს ვიტყვი, განა ზღაპარს,
მისი ცხენის ფლოქვის შხეფი
შემხმარი აქვს ტანზე ლაქად.

კაცს, ღმერთსა და მართლა მეფურს
სახეც ჰქონდა ქართველ მეფის,
დიდებულად წვერმოშვებულ
და ულვაშებგადასხეპილს.

კერპი, დროშა, ხმალი, სკიპტრა
გამოძერწა ასო-ასოდ,
არმაზს ქალაქს დაემკვიდრა
და წაჰგვარა ქართლი აზონს.

კაცი იყო ფრიად მარჯვე
და რა ქართლი მოიმტკიცა,
ზედ მოუხტა აზონს, კლარჯეთს, -
ისიც ქართლის იყო მიწა.

დიდი კაცის, დიდი მეფის
ამბავს ვიტყვი, განა ზღაპარს,
მისი ცხენის ფლოქვის შხეფი
ქვებზეც შერჩა იქა-აქა.

რეზო ამაშუკელი

მცხეთა

.

როგორც ღარის ქვეშ შედგმული პეშვი
მე ვეწაფები შენს სილამაზეს,
დიდი ზარებით რეკავენ ჩემში
შენი სამთავრო, შენი არმაზი.

წითელი ფერიო ანთებს ნიავი
მზით გაღვივებულ ძახველის ბარდებს,
მტკვარზე დაბმული ქანაობს ნავი
და გასაშრობად გაშლილი ბადე.

საღამოვდება, ცისფრად მმოსავი
გადგას ცა, ცისგან მომადლებული
და სული ბღავის, ძუძუს ხსოვნისავით,
შენს ღვთიურ განცდას მონატრებული.

გივი გეგეჭკორი

მცხეთა

მან იცის, როდის ჩაგვისახლდა სულში დემონი,
შეუცნობელის ბურუსიდან ვით გამოვედით,
ჟამის სრბოლაში როგორ ჩავებით.
იქ ალექსანდრე მაკედონელის

სტატერებივით გაბნეულები
ბრწყინავენ მზეზე სახურავები...
იქ უსმენს ღამით ზედაზენზე ტურების კივილს და
იქვე
ცხოვრობს იბერიელი,
მისთვის ჟამია უმოძრაო, ვით სირიუსი,
არ დაქცეულან იმპერიები...
ძალაუფლებით გაბრუებული
პიტიახშივით დიდებულია
კლდეზე გართხმული საღამოს ლანდი.
ყოველი ერის ისტორია არის წყვდიადი განათებული
მრავალი შანდლით...
არეულია სახეები და სახელები...
დამარცხებული და უძლეველი...
ვესპასიანე სებასტოსი და პომპეუსი.
დომიციანე.
ადრიანე.
სეპტიმ სევერე.
სტრაბონი.
დოდიუს კასიუსი.
კესარიელი.
და ამიანე მარცელიანე,
და ტაციტუსი.
არშუშა.
ვარსქენ.
ასპარუგ.
ზევახ.
თვლემენ წარსულის ტყვეობაში და
ცხრაკლიტულში.

სასანიდები.
პართელები,
კოტარზ და ოროდ.
და ადრე კიდევ სელევკიდები.
ხალხი სოროდან გამოჰყავს მხოლოდ
თავისუფლების უსაზღვრო წყურვილს
და მაშინ დგება ჟამი დიდების...
კაცი აწმყოშიც წარსულით ცხოვრობს,
და მომავალშიც წარსულით ცხოვრობს,
იგი ამიტომ არის ამაყი,
ქვევრის ნამტვრევი,
შუბის პირები,
ბრინჯაოს სალტე ანდა ამფორა
არის წინაპრის ანდერძნამაგი...
ვით ფეოდალი გარშემორტყმული,
ფერდობზე მხნეობს ციხე ბებერი,
ქონგურებიდან იმზირებიან
ხანგრძლივი მარხვით გაბეზრებულნი
და წვიმის წყალზე მეოცნებენი.
მათ არ იციან,
ეს ნანგრევები რა ნუგეშია მათი შვილისთვის!
ჩამოდის ნისლი.
იწვიმებს ალბათ...
ზაფხულის ღამის თავსაბურავზე
არ გაიბნევა ოქროს კილიტი...
იქით მიიწევს თეთრი ღრუბელი,
სადაც სატახტო არის ყოფილი
და ნისლში ზოგჯერ სვეტიცხოვლის ამოდის ჯვარი
წყალქვეშა გემის პერისკოპივით...

დაფიქრება არმაზთან

ახლა აქ მხოლოდ ვიწრო ხევია,
არმაზის ბილიკს ჩოქვით რომ გასდევს...
რამდენი კერპი დაგვიმსხვრევია
მცხეთის ჯვრისაკენ მიმავალ გზაზე!..
რა ხშირად ვამსხვრევთ დიდებულ კერპებს,
რა ხშირად ხვდებათ ძველ ღმერთებს გვემა!
რა ხშირად ვამსხვრევთ კერპებს, რომ შემდეგ
ახალი ღმერთის უღელი გვედგას.
მე კი მსურს ყველა უღელს გავექცე,
არც ერთ ღმერთს აღარ მივესალამო,
ტანზე ფოთოლთა სიმწვანე მეცვას.
ცა ქუდად მქონდეს, მიწა - ქალამნად.
ყველა გასაჭირს უხმოდ გავუძლო,
შემრჩეს უფლება ფიქრის და სუნთქვის...
მაგრამ რას ნიშნავს უსიყვარულოდ
თავისუფლების ნეტარი წუთი?!

მცხეთური ფიქრები

* * *

ღმერთთა საუფლოა მიდამო მცხეთის.
ჰა, გამოიცვალა რამდენი ღმერთი!
მიწაში მარხია ღმერთები არმაზის,
არმაზის ლამაზი მრავალი დარბაზი...
და ასე - რამდენი დაამხო კერპი,
რათა აღემართა ცხოველი სვეტი.

* * *

ჰა, ცად აზიდული ლოცულობს ჯვარი,
ღრუბლებად ახვევია ათასი ჯავრი.
მაგრამ მის ლოცვას დღეს უსმენს ვიღა,
დგას ჯვარი მხოლოდ მთის ლამაზ ჯილად.

* * *

ღმერთების საუფლოთი ვარ გარემოცული,
ღმერთებთან შერკინებით ზღვა სისხლი ვღვარე...
მე ახლა ადგილის დედაზე ვლოცულობ,
ზეციდან დამცქერის წარმართი მთვარე.

* * *

ვებრძოდი ქაჯებს, ავსულებს, დევებს,
ვებრძოდი ღრუბლებს, მეხსა და ელვას...
მე ვქმნიდი ღმერთებს, ვამხობდი მევე...
რა შემრჩა? მხოლოდ ამაო ღელვა.

* * *

ამქვეყნად თავისი ღმერთი ჰყავს ყველას,
საკუთარ უფალს დავეძებთ მუდამ.
მავანი შესთხოვს ქრისტე-ღმერთს შველას,
მავანი - ალაჰს, მავანი - ბუდას...
მაგრამ, გეთაყვათ, მითხარით ერთი,
ვინმემ ოდესმე იპოვა ღმერთი?
იხილა ღმერთი? ნამდვილი ღმერთი?!

* * *

ადამიანებს არ გვასვენებენ ღმერთები,
არც ღმერთებს ვასვენებთ ადამიანები.
ეჰე, რამდენჯერ დამემსხვრა უკვე
მე ჩემი რწმენის დიდი არმაზი,
მე ჩემი რწმენის მაღალი ჯვარი,
მე ჩემი რწმენის სვეტიცხოველი!

* * *

ოდესღაც გვყავდა თურმე ქართველებს,
ღმერთი ცეცხლისა, მრისხანე ღმერთი,
ის ღმერთი იდგა შიშის კვარცხლბეკზე.
დაიმსხვრა შიში, იმა ღმერთის დაიმსხვრა კერპიც
და ახლა ჩვენ ვკრეფთ იმ შიშის და ღმერთის ნამსხვრევებს.

* * *

ბაგინეთი, ბაგინეთი, მითაჟამის ბაგინეთი.
ქართველები აქ ოდესღაც წარმართ კერპებს ვადიდებდით,
წარმართ ღმერთებს ვადიდებდით.
ვის რისხავდნენ, ვის შველოდნენ,

ვის სწყალობდნენ, ვერ ვიგებდით,
მაინც, მაინც თაყვანს ვცემდით,
ცას ვავსებდით მათი ქებით.

მზე მიწას რომ დაგვიწვავდა, რომ გვეცხოვრა უგვალვობით,
რომ მოეცათ დროზე წვიმა, ღმერთთა ღრუბლებს ვუგალობდით,
ბაგინეთი! აქ ოდესღაც წარმართ ღმერთებს ვადიდებდით
და ახალ ღმერთს ვაგინებდით, ჯვარცმულ ქრისტეს ვაგინებდით...
ვინ გვწყალობდა, ვერ ვიგებდით, ვინ გვრისხავდა, ვერ ვიგებდით.
როცა ქრისტემ გაიმარჯვა წარმართებთან შერკინებით,
მაშინ გული მოვიოხეთ ცეცხლის ღმერთთა შეგინებით.
ქრისტე-ღმერთის სიყვარული გავიყარეთ გულში ხანჯლად,
მერე ქრისტეც მოვინელეთ და სხვა ღმერთი აღარ დაგვრჩა...
ბაგინეთი, ბაგინეთი, უძველესი ბაგინეთი...
ახლაც ვეძებთ, ჭეშმარიტი, რომელია ჩვენი ღმერთი?!

ფარნავაზი

1985 წელს ალმოჩენილმა დავათის და ბრდაძორის სტელებმა გაგვინათეს გზა, რომ ქართულ ანბანსა და მწიგნობრობას საფუძველი ჩაეყარა ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს, მაშასადამე ფარნავაზის მეფობის ჟამს.

ფარნავაზი!
ფარნავაზი!
მეფე - უფლისტოლი კაცი,
მზისებრ სათნო,
მზისებრ მკაცრი,

კომბლის კაცი,
კაცი ვაზის...
იყო მგზავრი წუთისოფლის,
უკვდავების გახდა მგზავრი.

მისი თვალი შურდა არწივს,
მგელსა შურდა მუხლი მისი.
ყველა მზაკვარს,
ყველა მაცილს
ეშინოდა მისი რისხვის.

ფარნავაზი!
ფარნავაზი!
ზეცის აზრი,
მიწის აზრი,
სული - სავსე სილამაზით,
მზის და ღრუბლის სილამაზით.

მზამზარეულ მოწყალებას
არ ელოდა სხვისებრ ციდან,
მტერს და ნადირს თვითონ სდევდა,
თვითონ ხნავდა,
თვითონ მკიდა.

ფარნავაზმა ჯავრად მტრისა
მიწა გადაფარა ვაზით
და სახელი ცეცხლის ისრად
განიტყორცნა ფარნავაზის.

არ უყვარდა ჩრდილში ჯდომა,
არც მოყვასი მოასვენა,
გაუმართლა დიდმა შრომამ,
ამოუდგა მხარში ზენაც,
აკვნისა თუ ბუხრის შუბლი
მზის ჩუქურთმით დაამშვენა
და მამულის უკვდავებად
აღაღადა დედაენა.

- დედაენა იწამეთო,
მიწისშვილნო,
პირველ ღმერთად! -
მთელი ქვეყნის მთა და ბარი
დედაენით შეაერთა:
- ვიდრე ერის ცოცხლობს ენა,
არ გახმება ერის ფესვი!
გიყვარდეთო დედაენა,
ყველა ღმერთზე უღმერთესი!
ენა არის ჩვენი ფარი,
მტკიცე ციხე,
რკალის შუბი,
გმირის დარი
მეომარი...
და შავ მწუხრში არის შუქი.
ხმაა - ჩვენი დედოზარის,
მზეა - ჩვენი კალოს ხვავის,
ტაძარია უჩინარი,
ყველას გულში სალოცავი.

რომ არ ვიქცეთ ცეცხლის ბოლად,
მარად ცისქვეშ დასარჩენად
ერთნაირად უნდა მოვლა
სიცოცხლეს და დედაენას.
ენით მძლეობს ერი მუდამ,
წარღვნასა და ცეცხლის ალში,
ერს თუ ენა დაუმუნჯდა,
გაუქრება სულიც მაშინ.

ენა არ გაქვს?
დანარჩენი
ყველაფერი ზღაპარია.
ენა არ გაქვს?
მიწა შენი
ცარიელი მთა-ბარია.
ქართულ ენას ჩვენი ბედის
უკვდავება აბარია,
აბარია გული დედის,
ერის სული აბარია.

ერთსაც გეტყვით:
სიტყვა ესე
დაიბეჭდოს გულზე ყველამ,
ერის სულს და
ერის ფესვებს
ყოველ დროში უნდა შველა!

თუ ერისთვის დედაენა
სალოცავი ტაძარია,

ენას ხატიც უნდა ჰქონდეს,
ენის ხატი - ან-ბანია.
მოაბნია უხვად თესლი,
თვისი სიბრძნე-ანდამატის,
ყველა ხატზე უხატესი
გაუჩინა ენას ხატი.

დიდი ნატვრა შეისრულა,
საწადელი - ხალხის სიბრძნის,
აჩუქურთმა ერის სული,
გაუჩინა ქართველს წიგნი.
ჩუქურთმები დედაენის
მზის ღიმილით დაამშვენა
და მტევნებად ჩამოჰკიდა
საქართველის სულის ვენახს.

ხალხის სულში ცოცხლობს ხატი
ფარნავაზის დახატული.
მწამს: იაკობ გოგებაშვილს
ფარნავაზის დაჰყვა სული.

ფარნავაზი!
ფარნავაზი!
ერის მამა,
მამა ბრძენი,
იყო კაცი -
დღევანდელი
საქართველოს გადამრჩენიც.

ფარნავაზი!
ფარნავაზი!
ზეცის სული,
მიწის აზრი...
იყო შვილი წუთისოფლის,
უკვდავების გახდა მგზავრი.

1976

მცხეთის ჯვარი

ჯვარო, ცარგვალში ზვიადად მდგარო,
ქვის ზეციურო, მდუმარე ზარო,
მარად გამსხვრევდა მუხთალი მეხი,
დღეს უკვდავების გალობით ხარობ.

გულში გინთია მამულის ბედი,
მამების სისხლი, ცრემლები დედის
და ირეკლება შენს მკერდზე თეთრად
კავკასიონის ჭაღარა ქედი.

აქ გავიგონე გალობა ფერთა,
აქ თითქოს მთებიც გალობენ ერთად...
გალობს არმაზი, არაგვი, მტკვარი,
ძველი მცხეთა და ფესვები ხეთა.

თუმც დაგემტერა ბევრჯერ ღრუბელი,
ცას შეალეწე ელვის უღელი,
ქედმოუხრელი არბევდი დრო-ჟამს,
დრო-ჟამს მოჰყვები გულდაუღლელი.

ჯვარო, დრო-ჟამის ხატო და ხიდო,
მშვიდო ნათელო, იმედო დიდო,
გულსავსევ ლოცვით, მზით და მტრედებით,
დაუბერებელს ერთს გევედრები:
რაც შენ დრო-ჟამის ფიალა შესვი,
რაც შენ ამქვეყნად სინათლე მწყემსე,
იმდენ ხანს ერთი მიცოცხლე ლექსი
და უკვდავებად მეყოფა ესეც!

1964

მცხეთური ფიქრის მირონი

სულს მიცისკროვნებს მცხეთის ცისკარი,
მტკვარიც ლოცულობს მცხეთის ჯვარივით.
სვეტიცხოველი - ზეცის მისანი,
გულმზიან ლოცვებს უხვად არიგებს:
ვინც ჭეშმარიტად იწამებს უფალს,
ვერვინ იხილავს მის სიღარიბეს.
აქ ცის სანთლებად მნათობენ მთებიც
და თვით მზეც რეკავს ოქროს ზარივით:
- კაცნი, რომელნიც უფლის მზით თბებით,
არ ხართ ღარიბნი და არც ყარიბნი.
მადლმოსილია მირონი მცხეთის,
ამ მირონს გვაწვდის არსთა გამრიგე,
მირონს თვით ღმერთის სიკეთე ერთვის,
მთელ ერს დაღუპვის გზას რომ არიდებს.

* * *

მცხეთა, მტკვარი, არაგვი, ტყე-კლდოვანი ქედები.
მცხეთა - ლოცვა მარადი, აქ ღმერთობდნენ ღმერთები.
ღმერთო, გმადლობთ, მცხეთა რომ სულ მლოცველი შექმენი.
მცხეთას არა ედარდოს!... აქ მეფობდნენ მეფენი!
მცხეთის ცაზე თვალად მზის შუქობს სული არმაზის,
ამ შუქს ზოგჯერ ცრემლიც სდის - უკვდავი და ლამაზი.
მცხეთა ჯვარშემართული, ხატი სახელგანთქმული,
ცის მირონით ნათლული - ესეც სული ქართული.

* * *

ქვეყნის სული აქ დგას მთებად შემართული,
მთებს კი აფენს შარავანდედს მთვარის ვერცხლი.
არს მცხეთაში სამუდამოდ შენახული
უძველესი საქართველოს სულის ცეცხლი.

* * *

თქვი, რას დუდუნებ მცხეთაში, მტკვარო?
- აქ ძველებურად ვწუხვარ და ვხარობ.
ისევ დამცქერის წარმართი მთვარე
და ქრისტეს ჯვარიც ცის ტაძრად ჯვარობს.

ეამთა ცვლა ქვეყნად არვის იცოდებს,
გახსნეს აკლდამა მადლად, განა საცოდვილეთად,
და ქრისტეს წინანდელმა სიკვდილ-სიცოცხლემ,
აგერ, ჩვენს დროშიც ამოიხედა.

ღმერთთა სულის საუფლოდ გვიჩანს ძველი მცხეთა:
უფლის სულად სულობდა მცხეთას სული ხეთა.
მისი ღმერთი მზე იყო, მთვარეც ჰყავდა ღმერთად...

ახლა მცხეთაში ცაშიც არის და... მიწაზეც არის ღმერთი.
ამ ღმერთს დარაჯობს მცხეთის ჯვარი და -
სვეტიცხოველი მცხეთის.

ხან მზეს ვაღმერთებთ, ხან მთვარეს,
ზოგჯერაც გულმხნე მუხებს.
მხოლოდ ერთია მართალი
- ზეცა დრო-ჟამს რომ უმხელს:
სდევს შემოდგომას ზამთარი,
მზე არბევს დელგმის ღრუბლებს,
ქვეყანას ღამე აბრმავებს
და დილა თვალებს უხელს.

მცხეთას დავყურებ დღეს ზეციდან უკვე ვერტმფრენით
და მავსებს მცხეთა უნეტარეს ლოცვით, ვედრებით:
- ხალხო, გახსოვდეს, აქ მეფობდნენ ძველად მეფენი,
მეფეთა გულში კი ღმერთობდნენ მუდამ ღმერთები!

არაგვს უამბობს მტკვარი, ვით სძლია ჟამთა რისხვას
და დგას მცხეთაში ჯვარი სადიდებელად ღვთისა.
სვეტიცხოვლის ზარით გვიხმობს გულისთქმა ცისა
და ამ ხმას მთა და ბარი ლოცვის მტევნებად ისხამს.

ქვეყნად მიმოდის ორი ძმა: ერთია - მადლის მთესველი,
მეორე - ცოდვის მთესველი... ორივე თავის დღეს ელის
ერთს ელოდება პირღია კუპრით მდუღარე ქვესკნელი,
მეორე ავა ცარგვალში, რომ გადახვიოს მზეს ხელი.

* * *

სულს ახარებს მთვარიანში
მცხეთის ზეცის დარბაზი.
ვარსკვლავიან ცის ლაჟვარდში
ანგელოზი ნაზად ზის.
როცა მთვარე მცხეთას ვერცხლავს,
ხდება უფრო ლამაზი.
მთვარით ახსენდება მცხეთას
სიზმარ-ცხადი არმაზის...

* * *

უნდა ისმენდეს სული ყოველი
ღვთის საგალობელ ჰიმნად დიადად,
როცა ლოცულობს სვეტიცხოველი,
დედა ქართველთა ეკლესიათა!

* * *

ყველას, ვინც დღეს ჩვენს მიწაზე
მზიურ გულით დადის,
შეეწიოს მცხეთის ჯვრის და
სვეტიცხოვლის მადლი!

შარლოტა კვანტალიანი

* * *

თუ გინდა, ცისკენ გაგექცეს გული,
თუ გინდა, უკეთ შეიცნო თავი,
შენ უნდა მცხეთას ეწვიო ხშირად
და სვეტიცხოველს შეავლო თვალი!

არჩილ სულაკაური

ესე ფარნავაზ

ესე ფარნავაზ იყო პირველი
მეფე, მხედარი და მწიგნობარი,
ქართული ღმერთის პირველმხილველი,
მის სამსხვერპლოზე პირველმწირველი,
ქართული ენის შემამტკბობარი,
უკვდავის დაფნით შემამკობარი -
მეფე, მხედარი და მწიგნობარი.
სიბრძნის მტვირთველი რამ საკვირველი
ესე ფარნავაზ იყო პირველი,
ამან განავრცო სიტყვა ქართული,
დახშულნი დახსნა კარნი ბჭისანი...
სხვა ენა აღარ იზრახებოდა
ქართლში თვინიერ ქართულისაი!

მაგრამ მხედრები...

მცხეთის ჯვარიდან გინახავს
მცხეთა?..
დიდი არმაზი თუ დაგინახავს,
ცოცხლდება ძველი ურარტუ, ხეთა,
იქ ყველაფერი წარსულს ინახავს.

მცხეთის ჯვარიდან გინახავს
მცხეთა?..
ცად აზიდული სიმაღლე ჩვენი,
დიდება ჩვენთა გარდასულ დღეთა,
ქართველო, შენი გზა და საშვენი?!.
აქ გაიქროლეს შავი მერნებით,
ვინ იცის, მზემდე იარეს მერე!
მზეო, შენ კი ხარ,
მაგრამ მხედრები,
მათი ლანდები სად ჩაესვენნენ?!

მცხეთური

გიორგი ლეონიძეს

ღამე არ დაილია,
მოჭახჭახე ვარსკვლავები ენთნენ განთიადამდე;
ჩვენნი წინაპარნი საგურამო, ილია...
გმირთა სავანეზე სიტყვა ვერ გავათავეთ.

მოქშუოდა მტკვარი და ის გაგონებდა,
წელთა დღეთა მილმა ჭაბუკობას შენსას,
პირველ სიყვარულის დაულეველ ღელვას...
მტკვარი ძველებურად ტალღებს აგორებდა!
ახლა შენში ვხედავ ჩემს დაუმცხრალ წინაპარს,
იმ ლურჯ საღამოებს შენს ღიმილში ვხედავ,
წაუხდენელ ეშხს რომ დღესაც გულით ინახავ,
და მეც წაუხდენელი შენთან ძმობას ვბედავ...
ქართლის ბედზე ფიქრით ცეცხლით დაუცლელო,
აბა, შენს ვაჟაცობას სხვა რა დაერქმევა.
ძმაო უფროსო და წინაპარო ჩემო,
ჩვენი მთა და ბარის მეც შენსავით ტყვე ვარ...
მცხეთა, მთაგორები, სიო ნაზი ქნარი,
ტაძარი და ძველთა გახსენება ისევ,
ენთო ჩირაღდნები, ბნელს მივეცით თავი,
ჩვენ თბილისისკენ ზვირთებს გავეკიდეთ...
სადღაც ოლოლები უკიოდნენ ღამეს,
სადღაც მაყრიონი მთის ვიწროებს გასცდა,
ჩვენ ველები დიდი სუნთქვით გადავნამეთ -
დამრჩა იმა ღამის საოცარი განცდა.

ნინო კაბადოკიელის დასიზმრება

ყველა ნინოს

დამესიზმრები მშვენიერი, ვით ანგელოზი,
მცხეთა ქალაქში უცნაური შენი შემოსვლით.

დამშვენებულო ჩემი დის და დედის იერით,
ფერხთ გეგებიან მოყვავილე დეკა, იელი.

ქართვლის მოქცევას ცხელი ბაგით მარცვლავ მარცვლებად,
მთვარე თიბათვის მაღალ შუბლზე კრძალვით გაცხრება.

ნაკვერჩხლებივით ვარსკვლავები მხრებზე გაცვივა,
ნიავ-ქარს თმანი დედოფლური დაუვარცხნია.

ო, ჩემო დაო, ჩემო დედავ, ჩემო ტყვე-ქალო,
ყველა ჭრილობას ლამის წამლად გადაეფარო.

წამოჩოქილა მცხეთის კართან მირიან მეფე,
სწორედ იქ, სადაც ვარდს დამორცხვილს ბულბული შეჰყეფს.

ამოდის მზე და დედოფლურად ლოცულობს ნანა,
ო, ეს ცხოვრება გამოცანა არ არის განა?

მიწას მცხეთისას ნატერფალი ვინ დაამჩნია?!
დილის მზის სხივი სვეტიცხოველს მკერდში გაჩრია.

ქანაობს ქარში არსაკიძის ჯადო-მარჯვენა
სული მისი კი შეივედრა ცაში გამჩენმა.

ყველა ნინოში ცხადად ვხედავ მე ღვთიურ იერს
შენს გაღიმებას, ო, სევდიანს რომ მოჰგავს ძლიერ.

დამწიფებულო ძლიერ ადრე ცრემლის მტევანო,
ქრისტეს რწმენისთვის თვით საფლავში დაუტევარო.

ო, როგორ ბრუნავს წუთისოფლის ეს კამათელი,
შენს საფლავზე კი მარადისი ბრწყინავს სანთელი.

ადრე წასულო, მშვენიერო, შენ, ჩემო ნუნევ
მზეი პირს იბანს და შიგდაშიგ ცრემლებსაც ურევს.

დამესიზმრები მშვენიერი შენი იერით,
ფერხთ გეგებიან მოყვავილე დეკა, იელი.

ენვერ ნიჟარაძე

ხედი ჯვრის მონასტრიდან

აქედან,
რასაც
ანთებული
თვალებით
ვუმზერ,
სხვისი
რომ იყოს,
ალბათ,
შურით
გავსკდები
გულზე.

გრიგოლ ჯულუხიძე

მცხეთა - ფუძე ნათლისა

ჯვარი, როგორც მიმინო
აფრენია მცხეთას...
კვლავ ჟღერს ქართველის ეჟვნები -
ღმერთმა გადმომხედა.

პირჯვარს იწერს შუადღე,
გათანგული ხვატში
რა ნათლები ვყოფილვართ.
რა ნათლები დავრჩით.

ბევრი სხვისთვის გვიგია,
ბევრიც სხვისი ვაქეთ...
დღეს ვის უწვდის მარჯვენას
არსაკიძე აქეთ?

დედის კალთა ვერ იტევს
ორ გულსა და ორ ცას,
მიცავს სვეტიცხოველი
მცხეთის ჯვარი მლოცავს.

მტკივა ქვეყნის ტკივილი,
მწვავს დუმილის ელდა...
მცხეთავ - ფუძევ ნათლისა, -
საქართველოს დედავ!

მცხეთა

ნახა დამხობაც,
აღდგენაც ბევრი,
ხმალიც და ტახტიც
მეფის სვიანის...
მცხეთაა, ძმაო,
ზღაპრული ქვევრი
და შიგ - ქართული
ხმების გრიალი.
თითქოს მოგვებმა
უცხო რამ ჯადო
მოიტანესო
და აქ დამალეს,
სად ქართულ მიწას
დიდება ათოვს
და შუქად
ადგას ნააკლდამარებს.
ბებრის ციხიდან,
ვით ნათლის სვეტი,
ჰანგი სამთავროს
ჩრდილებს გადუვლის,
ამბავი მოაქვს
ჭარმაგი მცხეთის
ამონაკვნესი,
როგორც ფანდურის...
უსასრულობა
დევების ხვრელთა,

ასი ქვახვრელი,
ასი ნაპრალი,
წკვარამ წიაღით
წინაპრის ხედვა
და ყველაფერი
ნაწინაპრალი.
აქ სინამდვილე
შეერთვის ზღაპარს,
ეპოქებს ჭიმავს
სადავეებად,
ჩააცქერდები,
უძირო ნაპრალს,
შიგ საუკუნეს
ლანდავ ვეებას...
იდუმალ ხმები
მოგვესმის მცხეთით,
დილა ბინდია,
თუ მიმწუხრია:
"არ დაკარგულა
არცერთი წვეთი,
ქართველს თუ ოდეს
სისხლი ულვრია!"
მან ჩემს სიმღერას
შემატა ფერი,
მუხლს მოვუყრი და
ლოცვად ვუბრუნებ...
მცხეთა მგონია
ზღაპრული ქვევრი,
სადაც ქართული
ხმები ბუბუნებს...

ჯვარის მონასტერი

დგახარ ესე...
მშვიდად, ხელის უხლებლად,
თუმცა ხელის შეხებაც კი სცადეს...
ვის გაუძლო ფილტვებმა და მუხლებმა,
ასე ციმციმ რომ აგტყორცნა ცამდე!
შენ ხარ ჩვენი საქართველოს მზე-გული,
და ხარ ერთად დაგროვილი ჯავრი,
ვერ გაგთვალეს ეული და გრძნეული,
ავთვალთაგან დაგწერია ჯვარი!

გადაურჩი მეწყერსა და ფათერაკს, -
ფრთებს ისწორებ, ვით არწივის მართვე...
დარჩი, როგორც ფეხადგმული ხატება!
დგახარ, როგორც მეხამრიდი ქართლის!

შემბოჭე და ნება შენი აღსრულდეს...
მონა ვარ და სიტყვას აღარ მაცლი,
და ვართ ასე... ორნივ ფიქრში წასულნი -
შენ - უტყვი და
მე - მეტყველი კაცი!
დრომ და ჟამმა
გდია და ვერ მოგრისხა,
კვლავ გვიყვები ენით უთქმელ ამბავს...
და ნისლებში როცა გხედავ, მგონიხარ,

სუდარაში გახვეული საბა!
შენი ფუძის საკოცნელად მოვსულვარ,
წმინდანივით მეგებები სანთლით,
და მგონია, ხელგაწვდილი ლოცულობს
შენს ფეხებთან დაცემული ქართლი!

თეიმურაზ აბულაძე

* * *

გადაპენტილი ყვავილით - ველი,
გადაბარდნილი ყვავილით - ჭალა.
ისევ მეძახის,
იმ ძალის ხმებით, -
მაცოცხლებელი რომ ჰქვია ძალა.

აყვავებული გორა და სერი,
გაქათქათებულ ღრუბელთა ფარა,-
კვლავ ცხედარივით გამოასვენებს
გულიდან, - რასაც ვარქმევდი ვარამს.

...ატოტებულნი ოქროვან ცისკენ, -
არ მომასვენებს
ჯვარი და მცხეთა...
და დავემხობი ქვითინით ისევ
ჩემთა ვარამთა გაყინულ ცხედარს...

ჯვარი

ეს დღე ჩვენც გვერგო - ათას დღეთაგან,
დღე - განათლული და განწმენდილი.
. . . . . .
მრწემთ, გახელებულთ, წინ დაგვეტაკა
ცად ავარდნილი და ასვეტილი -
ჯვრის მონასტერი, -
ჯვარის სიმშვიდით
და გაკმედილი კარ-მიდამოთი...
და მოგვაქცია ისევ მიწისკენ
მრწემნი, მსწრაფავნი ციურ ქაოსით...
. . . . . .
ადგას ნათელი დამცხრალ ფორიაქს,
ნათელს ხმობს წამიც - წამის მგლოვარი...
და ლურჯ სივრცეებს გადასწოლია
ჯვარი - მძიმე და ჰაეროვანი...

ტაგუ მეგბურიშვილი

იმ ერს რა მოჰკლავს

ამ სიმაღლეზე
ვინ ასწევდა
მოკვეთილ მარჯვენს,
თუ არა ერი -

გონიერი,
გულადი,
გამრჯე.
იმ ერს რა მოჰკლავს,
ფიქრო ჩემო.
იმ ერს
რა მოჰკლავს,
ცამდე მანძილი
სვეტიცხოვლით
ვინც დაამოკლა!

ვაჟა ეგრისელი

სვეტიცხოველი

კოცონებივით ჩაიფერფლნენ
საუკუნენი -
მეფეების და გმირთა მორჩილნი,
სიცოცხლის ყანას -
ჟამის გარდა სხვა ვინ მომკიდა!
და მიხარია -
არსაკიძის მკლავი
მოჭრილი -
ავგაროზივით წარსულმა რომ
მე ჩამომკიდა.

არმაზის სამარხები

ოქროს საწვივებს და სამკაულებს:
ბეჭდებს,
კილიტებს
და სამკლაურებს -
ცა და სინათლე რომ დაანახეს,
იმ დღეებს ალარ ეთქმით
აუგი.
რომ დაფარფატებს აი, ახლა,
მცხეთის სანახებს,
პეპელა არა, სული არის ის -
ასპარუგის.

ზე აიწია ქართლის ცამ

ცხოვრება იყო გაძლება,
სიცოცხლე იყო ზღაპარი...
ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად,
ბნელ ცისქვეშ მამა-პაპანი.
აშენეს ციხე კოშკები,
ათი კი არა, ასიცა,
მაგრამ... იქ - სვეტიცხოველთან,
ზე აიწია ქართლის ცამ.

თენდებოდა მცხეთაში

ბნელში ირწევა მწიფე სამკალი...
ზედაზნის თავზე ცისკარი სწვეთავს;
კიდევ ცოტაც და - იგი ვარსკვლავი
ჩამოანათებს შუაგულ მცხეთას.

ვარდისფერ მკრთომი რიჟრაჟის შხეფი
ცხოველი სვეტის გაღებულ კართან -
უხმობს აჩრდილთა ივერთა მეფეთ,
ივერიისთვის დაღვენთილთ სანთლად...

მოვლენ ისინიც, ნისლნი მდუმარნი,
მამულის ჩვენის რამდენი მწყემსი!
მარად ქართველთა ტომის და გვარის
აწ უკვე მიწად წასული ფესვი.

თუალნო ჩემნო, იხილავ ერთად,
მხოლოდ მზისსადარ ზეციურ ნათელს -
იმ უკვდავ სულთა, პირმშვენიერთა,
რომელთა ვალი სიკვდემდე მმართებს.

...მაგრამ თუ ხედვენ იგი აჩრდილნი
ყოველ მიწიერს - ცოცხალთა დარად?..
ჯვარი უეცრად ცადავარდნილი
რიჟრაჟის კრთომით იხაზვის მკრთალად.

ეზო ტაძრისა იბანვის ნამით,
ემზადვის ცისფრად შლილი ღიღილო...
ცოტაც და წამით - რამ სასწაული,
კაცთ უხილველი, უნდა ვიხილო.

კიდევ ცოტაც და... - იფეთქებს შუქი,
ზე იტივტივებს ცხოველი სვეტი,
ცით ხმა ჩამოვა დაფდაფის, ბუკის,
სულის მიმტაცზე უფრორე მეტი.

მოვლენ წარმართნი თუ ღვთის ცხოვარნი,
მოკვდავთ თვალისთვის სახილველ ძვირი; -
უკვდავი დრამის - "ქართლის ცხოვრების"
ასი მთავარი მოქმედი გმირი.

აჰა, მთიებიც აენთო კვარად.
ბალახს დააჩნდა მზით სავსე ცვარი,
სვეტიცხოველში დარეკა ზარმა
და აიყოლა ათასი ზარი.

მომასკდა შუქი გახსნილი ცისა,
მაბრმავებს უცხო სინათლის ნისლი
და მაინც ვარჩევ: - სხივთ მთიებისას
სცხია ივერთა ამბოხი სისხლი...

ჭიქები ენთნენ მზისფერი ღვინით
და მცხეთის თავზე - წმიდაზე წმიდა,
ცვარზე წკრიალა და ცრემლზე გრილი
წვეთ-წვეთ ჟონავდა რიჟრაჟი ციდან.

ზაურ მოლაშხია

ზედაზნის მთაზე

"ლეგენდის თანახმად, ზედაზნის მთაზე ცხოვრობდა დევი, დარაჯი მცხეთისა; იგი მზის ჩასვლისას დაიჩოქებდა მთაზე და მტკვრიდან წყალს ამოხვრეპდაო".

კ. გამსახურდია

ფხიზელი დევი გაჰყურებს სივრცეს
და თვალით ზომავს უსახო ჩრდილებს.
ციდან ქორივით ეშვება ნისლი
და ღამე მოჰგავს დაგმანულ დილეგს.
ხევში ანაზდად რაღაც ჩქამდება
და უტყვი გრძნობა სხეულში წვეთავს.
მოირხევიან უცხო ლანდები,
თუ დემონები მოდიან მცხეთას.
ზედაზნის მთაზე გნიასი ისმის,
ვინ დაგვილეწოს მამულის კარი!..
გამთენიისას იღვრება სისხლი
და სისხლისფერად ბრწყინდება
მტკვარი.
ცაზე ციმციმებს ნათელი ზეთი
და ვჭვრეტ სინათლეს - მარად ჩაუქრობს.
ამაყი დევი- დარაჯი მცხეთის,
ათვალიერებს თავის საუფლოს.

მცხეთაში

რამ აამაღლა ასე ეს მთები,
რომ ღრუბლებიც კი ველარ სწვდებიან.
ვინ დააშენა ზედ ეს ტაძრები,
გუმბათით ცას რომ ებჯინებიან.

წყალი არ მოქუხს, მაშ რამ დახრამა
ამ მთების მკერდი თუ არა სისხლმა.
ვგრძნობ, ამაგდარმა ჩვენ წინაპარმა
ქართლის სინდისი რა ფასად იხსნა.

აქ ენთო ერის დიდი ბუხარი,
აქ იხსნებოდა ცის შვიდი კარი,
ქარს ჩამოჰქონდა ანგელოზთ ზარი
და ინთებოდა
ცაზე ცისკარი - ცის კელაპტარი.

აქ ლოცულობდა ცამეტი მამა,
ცამ მათი ცრემლით ქვეყანა ნამა,
ნაკურთხი ცისა, ნაყოფი მზისა
ნინოს მოქონდა ჯვარი ვაზისა.

აქ გაიარეს არაგველებმა,
კრწანისთან მისვლა არ აგვიანეს,
არაგველებმა, ხმალშიშველებმა
მცხეთაზე ასვლა დააგვიანეს...
დააგვიანეს...

თუნდ არ შეწყვიტონ ცეცხლის კიდება,
მოხრან, მობუგონ ქვეყნად ყოველი,
ქართული სულის უკვდავ დიდებას
კვლავ იღაღადებს სვეტიცხოველი.

თავზე დამცქერის ციხე ტიალი,
გარს ვუვლი ფრთხილად, ფარულად ვღელავ,
თან მოკრძალების მივლის ერიალი,
ვგრძნობ, წინაპრების საფლავებს ვთელავ.

ან სად იპოვნი აქ მიწის ნამცეცს,
წინაპართ ძვლების ფერფლის გარეშე...
მიწას ვინ ჩივის, ხან ცაც ძირს დასცეს.
გადაიარეს...
გადითარეშეს...

მზე ჩაესვენა, უკვე ბინდია.
ჭალის ქოჩორზე აცეკვდა ქარი.
ვნატრობ, ნეტავი ვიყო მინდია,
შემეხსნა მუნჯი ბუნების კარი.

ეგებ გამეგო არაგვის ბორგვა,
ან დღედაღამე რას გმინავს მტკვარი,
ჰო, მათი ბედი ქართლის ბედს მოგავს:
ზღვა ყლაპავს, მაგრამ არ შრება წყალი.

ლია ჯავჯავაძე

მცხეთის მონატრება

მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა -
ატმის ყვავილით შემკული სვეტი,
მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა,
და არაფერი არ მინდა მეტი.

მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა.
არაგვი, როგორც ცისფერი თრთოლვა,
მე უნდა ვნახო ასეთი მცხეთა,
არაგვი ლურჯი და მწვანე თოვლი.

არაგვი ლურჯი და თოვლი მწვანე,
როგორც სხივები ცისფერი წვიმის,
მერცხლები, სხვაგან რომ აღარ წავლენ,
და მზე, რომელიც მღერის და ტირის.

მოძებნის მზეში უთვალავ ფერებს
და იციმციმებს ცხოველი სვეტი,
მე საქართველოს გავუწვდი ხელებს
და არაფერი არ მინდა მეტი.

თოვლიანი წიწამური

შენ გიმზერ, დაუვიწყარო,
შენს მიჩუმებულ ზარებს,
შენ, ჩემო ტკბილო სიზმარო,
ჩემო სიზმარო მწარევ,

გალუმპული ვარ წვიმებით,
შენი ცრემლები მწვავენ,
მესხეთის კლდიდან თერგამდის
ჩამოთოვლილო მხარევ,
შენ, ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
ო, ჩემო მწარევ, მწარევ,
კვლავ უძველესი ფათურობს,
ზესკნელს უკვდავი ფესვი
და ნაღვლიანი ჩურჩული,
ლელთ ღუნიასი მესმის.
ჩამოჰყვა, სხივი ჩამოჰყვა,
ისევ ჩამოჰყვა თვალებს,
ჩამოვკრავ, ისევ ჩამოვკრავ
შენს მიჩუმებულ ზარებს.

მცხეთა

მტკვრის ბუბუნს მოვყევ შენს კარიბჭესთან.
გზას სასვლელს ჩემსას მზე დაჰფენია,
ეს მყუდროება ტაძართა შენთა,
ვით მოღლილ რაინდს ისე გშვენია.

გარინდულ ფრესკებს ჩურჩულით ვკითხავ,
ქარი დაარხევს დარდების ზეწარს,
მოხატულ ქვებთან ვსაუბრობ დიდხანს,
შენი მოჭრილი მკლავი ამეწვა!

და მაპატიე თუ ცრემლი დამცდა,
და აილეწა გული მგრძნობელი...
თუმც ჟამთა რისხვამ დააბარბაცა, -
დგას ფუძით ძველით სვეტიცხოველი!..

გუშინ ხერთვისით მოვვლე ვარძია,
იქაც მზე იდგა ლაღი, ჩახჩახა!
შენს თბილ უბეში მშვიდად რომ სძინავთ -
იმ წინაპრებთან ვსაუბრობ ახლა.

სულხან აბდალაძე

ჯვარი

სიყვარულს რა გააცივებს,
უფრო მაღალი ვხდები.
მივდივარ,
ჯვარით მაცილებ,
მოვდივარ,
ჯვარით მხვდები.
კვლავ სიხარულად მანთებს,
ეგ გათენება დილის.
ჯვარი ამშვენებს ამ მთებს,
ჯვარი სწერია თბილისს!

დავით მჭედლური

მცხეთა

რა დიდი ყოფილა
ტერფი წინაპრის,
ბარე ჩემი ხუთი

მტკაველია,
აქ რომ უამრავი
სამარეა -
ზოგში ხევსურია,
ზოგში ფშაველია.
აქ რომ უამრავი
წყლები ირევიან -
ზოგი მტკვარია და
ზოგი არაგვია.
აქ რომ მტერის მტვერი
ქვიშას მორევია
ზოგი სპარსელია
ზოგი არაბია.
დგება სერაფიტი,
მიხმობს სერაფიტი
და ხმა ვერ ჩაახშო
ჟამის დინებამაც,
და ეს ყველაფერი...
და ეს ყველაფერი...
და ეს ყველაფერი ჩემი დიდებაა!

სვეტიცხოვლის ეზოში

ცა იმახსოვრებს შორეულ კოცონს,
და გარდასული დღეების სევდას;
ვინც საქართველოს წარსულით ცოცხლობს,
ის საქართველოს მომავალს ხედავს.
ისმის ტკივილი წაქცეულ გულთა
და გაბზარული თაღების ელდა;
ვინც საქართველოს წარსულით სუნთქავს,
ის საქართველოს მომავალს ხედავს.
კვლავ გათენდება ზღაპრული დილა,
კვლავ იელვარებს ბებერი კითხვა...
თუ საქართველო ძილშიაც გტკივა,
იცოცხლებ დიდხანს, ძალიან დიდხანს.





სვეტიცხოველი

აქ ღვთაებრივი ნათელი მეფობს
და მოჩანს კარი მშობლის თვალივით
აქ ისე მიყვარს ბებერი ექო,
როგორც წიქარას - მზე და მარილი.
ჰა, სადაცაა შეირხევა ბერი ქვაკაცა
და ცისარტყელას შემოეჭდობა.

ლალი ჯაფარაშვილი

მცხეთაში თოვლი მოსულა წუხელ

მცხეთაში თოვლი მოსულა წუხელ,
ცა ჩამოსულა ფეხად,
ფიქრს აჰყოლია თეთრი სამთავროს
მონაი ღვთისა მზეხა.

ფიქრს აჰყოლია, მერე უჩუმრად,
ცაში წასულა ქალი
და მაღალ ღმერთთან უსაუბრია
თეთრი, უმთვარო ღამით.

გაწმენდილი და სახენათელი
დილით უხილავს მნათეს,
როცა სამთავროს შავი ქორალი
კრძალვით ანთებდა სანთლებს.

თეთრ სუდარაში გამოხვეული
ყოფილა ამ დროს მცხეთა,
და თოვდა, თურმე, გადაუღებლად.
ცა ჩამოსულა ფეხად.

ლილი ნუცუბიძე

ვინ ვიქნებოდი

რომ არ ყოფილიყო გელათი, ვარძია,
სვეტიცხოველი - საქართველოს
გული მფეთქავი, რომ არ ყოფილიყო
მთაწმინდა, მე ვინ ვიქნებოდი ნეტავი.
რომ არ ყოფილიყო მტკვარი და რიონი,
ანდა არაგვი და ანანური, რომ არ ყოფილიყო
შოთა და ვაჟა, რომ არ ყოფილიყო
გალაკტიონი, მე ვინ ვიქნებოდი, სადაური?

არსაკიძის მონოლოგი

"ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია",
ხმალი რვალის ყალიბისა
ქარქაშში არ ჩამიგია.
ზოგ-ზოგები უქმად ისხდნენ,
მზე იყო თუ ქარაშოტი,
მაღლა-მაღლა გუმბათისკენ
მივიწევდი ხარაჩოთი.
ქვაზე თავი დამიკვლია,
გამჩენს ნათლის სვეტიც ვთხოვე.
არაფერი დამიკლია,
რომ ებრწყინა სვეტიცხოველს.
მტლად დავედე დიად მიზანს,
საქმენი ვქმენ სამამულო,
წელთა სრბოლა ვერას მიზამს
დრო რომ ავასალამურო.
ცისკრის შუქი ედგა თვალებს,
საქართველოს ცა მიქია.
ვარსკვლავები ვერ დავთვალე,
ცდა მრავალგზის წამიგია.
კეთილს ვეძმე და ძალიან
ბოროტს მაჯას ვუდუნებდი.
მცხეთა დიდი ტაძარია -
ნაშენები რუდუნებით.



არ მქონია წამით მოცლა,
რაც მებადა - გამიღია.
მე მარჯვენა მკლავის მოჭრა
თან იარად წამიღია.
მძიმე წლებმა გადიარეს,
ჩავდუღაბდი ბალავარში.
ჩემი სული კვლავ ტრიალებს
სვეტიცხოვლის გალავანში.
მესმის ოხვრა არაგვისა,
(მოსასმენად მწარე კია).
მაცხოვარის ძალა გვიცავს,
ღვაწლი როდი წალეკილა.
...და ემბლემა სანამ გაზრზენთ,
სინანულით იას მაყრით.
უკვდავების შარაგზაზე
მივაბიჯებ სიამაყით.



საიდან სადაო...

ჩვენი წელთაღრიცხვის 141 წელს იტალიაში ვიზიტად მყოფმა იბერთა მეფემ ფარსმანმა ისეთი მხედრული ხელოვნება უჩვენა რომაელებს, რომ აღტაცებულმა იმპერატორმა ანტონიუს-პიუსმა ბრძანა, ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დაედგათ ბელონას ტაძარში.

საიდან სადაო,
მაქვს ცოტა სადაო.
ამხელა მანძილი მერნით გირბენია.
მამაცი მხედარი ყოფილხარ სადაო,
გისახელებია მთელი იბერია.
რომის ცა იგულვე არმაზის ცადაო,
ქართლის კაბადონი დღესაც იმფერია.
თბილმა მასპინძელმა აღლუმში გცადაო,
გაგიოცებია დიდი იმპერია.
ამიტომ ვებრძოლე ამ ლექსის სათაურს,
საუკუნეები ჟამთა კიბენია.
ძეგლი-ქანდაკება დაგიდგეს სადაურს,
შენდამი პატივი ნაღდად გიბევრია.
სამშობლო გწამდაო,
მისი მზე გწვავდაო,
ხმალი და ხანჯალი სისხლით გიფერია.
თვით იმპერატორმა მიგიღო ძმადაო,
უკვდავებისათვის რა დროს სიბერეა.
მტკვარმა და არაგვმა ვაჟკაცად გზარდაო,

ფეხქვეშ ფიანდაზად ვარდი გიფენია.
მამულში დაბრუნდი, შეგხვდებით გზადაო,
მართლაც ძლიერია
შენი იბერია.

ევსტათი მცხეთელი

მწარეზე მწარეა ცხოვრების ფინალი,
უკან დაბრუნება ეწადათ.
გურმობანდაკი მოვიდა ირანით,
ქართლში მოინათლა ევსტათად.
ათას ჭირნახული და ღამენათევი
იშვილა ქართულმა მიწამა.
თითქოსდა თვალებში ჩაუდგა ნათელი
ქრისტიანობა რომ იწამა.
უბრძანეს: დაგმეო, ინანებ ვიდრე,
უნდოდათ სიმტკიცე ეცადათ.
მაგრამ მოგვმსახურებს - მისსავე მკვიდრებს
როდი წარსდგომია ბეცადა.
არა ვყოფილვარო ბედისგან კრული,
მცნება მოიშველა უფლისა,
- და რასაც ამბობდა ევსტათი გულით
მასვე ამტკიცებდა შუბლიცა.
არ შედრკა მესამედ სპარსებთან დავით,
საქმე გვქონიაო ამაყთან.
ქრისტეს რწმენისათვის მოჰკვეთეს თავი,
სულით კი ცათამდის ამაღლდა.

გოგლა ილოცება

არის ჭეშმარიტად დიდი საფასურის
თოთხმეტ ოქტომბრობით თეთრი მცხეთობანი.
ისმის ზარის რეკვა,
დაკვრა დაფა-ზურნის,
სვეტიცხოველი დგას როგორც დედოფალი,
- ხალხო, ბედნიერად ამ დღეს შეგაგებოს,
არა სჭირდებაო გასვლა პლაკატური.
ქალაქს სამზადისი აქვსო საგანგებო,
აქეთ მოისწრაფვის სტუმართ ნაკადული.
მტერმა დღენიადაგ ჭამოს მწარე პური,
გულით კეთილნი ვართ,
არვის ვემტერებით, -
სვეტიცხოვლობაზე ჩამობრძანებული
ძეობს ლეონიძე -
სიძე მცხეთელების.
- სისხლით ქართველი ხარ?
მუდამ გაქართველოს!
მავან-მავანები აქ რას იბერებით.
ღმერთმა გაამრავლოს დედა-საქართველო
სუფთა იმერებით,
სუმთლად იბერებით.
ტრფობა დაამტკიცოს დაე ყველამ საქმით,
ტკბილად გაიაროს გზაი სიბერემდის! -
გოგლა ილოცება თავის ბუხუნა ხმით
პოეტს პასუხობენ ტაშით, სიმღერებით.

რა ასი წელიწადია

“შენ წმინდა, უანგარო კაცი ხარ, ღმერთმა ჰქმნას, საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი“.

ილია წინამძღვრიშვილი

არაგვის ქუჩით მივდივარ,
წალკოტისაკენ ვიჩქარი,
ჯერ ისევ ინდი-ბინდია,
ჯერ არ მიმქრალა ცისკარი,
აქ განისვენებს მინდია,
ფრთხილად შევაღე ჭიშკარი.
დამდგარა ფერთა მორევი,
მაფრთხალა ყინვალ აშარი.
ფონზე ბუმბერაზ გორების
ბრწყინავს ყვავილთა ლაშქარი,
მამულაშვილის გონების
ნაშუქი, ნაკაშკაშარი.
აი, ზღაპრული სამყარო,
თვალი ვერ ძღება ყურებით.
თავი როგორ არ დავხარო,
სუნთქვა შევწყვიტო სრულებით,
როდესაც, ცაო მაღალო,
სულ-ნათელს ეჩურჩულები.
ბაღნარში დავიყვავილე,
შევტრფოდი გარეშემოსა.
ვაშა შენეულ ყვავილებს,
მცხეთა საოცრად შემოსა;

მიმიღე, გულში გავივლე
შენს სამეფოში შემოსვლა.
გშვენოდა ბრძენკაცს ულვაში
გვავსებდა ნიჭის ღალათი.
ვარდ-ყვავილებზე ზრუნვაში
დაშვრი და გაჭაღარავდი.
ქებათა-ქება გულგაშლილ
ბუნების მგოსანს მარადი.
სადაც ია და ვარდია,
ოცნებას სულ იქ ეგულვი.
რა ასი წელიწადია,
დიდი სიცოცხლის მეგზური
სილამაზედ რომ ანთია
უმხურვალესი ეგ გული.
გამხუნებელო მითების,
სწორუპოვარო მხატვარო,
ქართლის მზისა და დიდების
სამშობლოს გარეთ გამტანო,
მაგ მიწიანი თითებით
უკვდავთა რიგში ჩავთვალოთ.
ფუძით არ ამოვიძიროთ,
გვემრავლოს შენისთანაო.
მნათობმა ციდან გიცინოს,
ვარდმა გიქნიოს მარაო,
ბალნარში მშვიდად იძინო,
არაგვმა გითხრას ნანაო.

ვალერიან მამუკელაშვილი

მუდარა ქვისა

მე ქვა ვარ, ცივი და უგრძნობი
სხეულით,
აქ ურმის ჭრიალით და ხოხვით
მოვედი,
ქვიშა ვარ დაკოდილ ქვით
ჩამორღვეული,
საჭრეთლით დაჭრილი, დაღლილი
პოეტი.

მე ქვა ვარ, აქ გუმბათს შევუდექ
საძირკვლად,
არ მოვკვდი. ვცოცხლობ და
სიცოცხლე მწყურია.
ქვა ვარ და ვითვლები ამ ტაძრის
ნაწილად,
ჩამოვდნი, მუხლი კი არ
მომიღუნია.

მე ქვა ვარ... და ცეცხლით ვერ გავხდი ნახშირი,
თუმც მწვავდა ათასი შაჰი და სულთანი,
მე მრავალ დუშმანის ხანჯლით ვარ დაჭრილი
და მაინც ცოცხალი და მაინც მსუნთქავი.

ქვა ვარ და ოსტატის თითების სითბოთი
შემომრჩა სიცოცხლე, ყოფნა და არსება,
მე ქვა ვარ, ხოლო თქვენ ჩუქურთმად მიცნობდით,
მლოცავდით და ლოცვა სიცოცხლით მავსებდა.

მე ქვა ვარ და თანაც სუნთქვა ვარ წარსულის,
თუ გინდათ ოსტატის მარჯვენაც შემარქვით,
ათასი მზე არის ჩემს იქით ჩასული
საფლავის გათხრით და მიწაში ჩამარხვით.

მე ერთი შემოვრჩი, ვერ მომკლა თემურის
ტაძარში დაღვრილმა შხამმა და ნაღველმა,
ჩემს გულში დარტყმული ხანჯალი ველური
გატყდა და მიტომაც მიწამა ქართველმა.

მე ქვა ვარ და მაინც ქვას ნულარ მეძახით,
მიწოდეთ წარსულის განძი და სილურჯე.
გულს მაჩნევია ნაყოფი ვენახის
და, სადაც ვაზია, რა უნდა სიმუნჯეს!

სხივი ვარ ათასი წლების წინ დაღვრილი,
დღეს მაღლა ამწიეს და მზედ დამინახეს,
მე საუკუნეთა მუხლი ვარ დაღლილი,
ყველას გევედრებით, ქვას ნუ დამიძახებთ.

ვედრება

მოველ, დაგიჩოქე, უხმოდ შემოგვედრე,
იქნებ მაპატიო ცოდვა,
დედავ, შენეული თვალით შემომხედე,
ლოცვად ჩამითვალე ხოტბა.
მუხავ ზედაზნისავ, ცვარით დანამულო,
შუბლი გამიგრილე ფოთლით,
წყაროვ, ტირიფების თმებით დახატულო,
წყალი მომაწოდე დოქით.
მინდა სადღეგრძელო ფიცად შემოგბედო,
წვეთი დავაფრქვიო ცრემლად,
გვედრებ შეისმინო თხოვნა, შემომქმედო,
ლექსი დამიტოვო ძეგლად!
მთაო, გაზაფხულის ფარჩით დაფარულო,
ჩრდილი რომ შემოგრჩა ღამის,
ციხევ, ავბედობის ჟამით დაღარულო,
ენა ამოიდგი წამით.
მითხარ, ვინ ჩაგიდგა ძვლები საძირკველად,
გული ვინ დაგადგა ლოდად,
სიტყვა ვინ დატოვა ჩვენდა საფიცებლად
ასე დამდნარი და ცოტა.
ან ძეგლს ვინ შეაბა ღიმი ჩუქურთმებად,
მკლავი ვინ ჩაკირა ქვაში,
ფრესკა ვინ დაჰკიდა ჭერზე შუქურებად,
ფიქრით ვინ აიჭრა ცაში.
მე ამ დაკეჭნილი მთების სადღეგრძელოდ
ერთი შემრჩენია ნატვრა,
ღმერთო, დაიფარე ჩემი საქართველო
მიწას შერჩენილი ზღაპრად.

ყვავილთა ძება

მიხეილ მამულაშვილს

- ედემის ბაღში სტუმრად შემოსულს,
მითხარი ერთი, მოხუცო, კიდევ
ამ ნანგრევებმა მწვანე ფათალო
მხრებზე რიღასთვის გადაიკიდეს,
ან გადამწვარზე, ნამდულარევზე
ვით ამოვიდა მწვანე ღიღილო?
- ასე ყოფილა დასაბამიდან,
სიკვდილს სიცოცხლე ამარცხებს, შვილო!
- ციხის კედლებზე, პიტალო კლდეზე,
მითხარი, ხავსმა ვით გაიხარა?
- ხავსი კი არა, გმირთა ბექთარი
ციხემ სახსოვრად გულს დაიფარა.
- ყაყაჩოს გიშრის წამწამებიანს
რაღასთვის გასდევს ზოლი ფერადი?
- ეგ სისხლი არის! - ქართველ ვაჟკაცებს
შემოაწითლდათ ომში პერანგი.
- ამ ია-იამ ლამაზ ქათიბზე
მითხარ, სიშავე რად დაიხატა?
- ეგ დედა არის! - შვილი მოუკლეს
და შავი კაბა არ გაიხადა.
- ამ ვარდის ბუჩქებს, მიმწუხრის ჟამზე
რატომ ჩამოსდით ცრემლი ცვარობით?
- ვარდი კი არა, ეს ორი ბუჩქი
ეთერია და აბესალომი.
- ყვავილთაც უყვართ გმირთა სავანე,
სვეტიცხოველთან მოვიდნენ მიტომ?!
- ბორბალოს მთიდან ფსოუს ხევამდე

ეს საქართველო ბაღია თვითონ!
- იასამნებთან ხელგადახვევით,
ვაზი რად ხარობს ყვავილთა შორის?
- ქართველ კაცისთვის ვაზია მუდამ
სილამაზის და სიტურფის სწორი.
- ჯვრის მონასტერი განთიადისას
რატომ ჩამოდის ჩრდილებად ბაღში?
- მზის სიცხისაგან ყვავილებს იცავს,
იმიტომ შეჰკრა კამარა ცაში!
- გაზაფხულობით, ყვავილობისას,
ვაზმა რად იცის ცრემლების ფრქვევა?
- ურჯულოთაგან გაკაფვის შემდეგ
ასეთი შერჩა რატომღაც ჩვევა!
- მაშ, ვაზმაც იცის დარდი და სევდა
ცრემლით და მოთქმით შემოძახილი?
- საქართველოში ბალახსაც ახსოვს,
რა მწარე იყო მტერთა მახვილი!
- დარდს და კაეშანს ვარდი რად შვენის?..
ასე რად არის ჩვენი საწუთრო?!
- ო, არა, შვილო, გახსოვდეს მუდამ
სიცოცხლეს უყვარს ყვავილი უფრო!

ბაგინეთო, ბაგინეთო!..

სტუმრად მოველ, მომენატრე, გულზე ჯავრი შემომენთო,
ჩემო ფიქრთა მდინარებავ, ჩემო თბილო ბაგინეთო,
რად გაჩუმდი, რამ დაგიშრო ტკბილ სიტყვათა საგანძური,
რატომ დუმან ეს ლოდები, ცეცხლისაგან ალანძული.

რატომ დაჰქრის დარბაზებში მალემსრბოლი ქარი ურცხვად,
მტკვარი ხომ არ გადალახა რომაელმა პომპეუსმა?
დავდივარ და ცრემლი მახრჩობს, ვეფერები ხელით კედლებს,
ეს რა ჯანღი მოსდებია ფარნავაზის საბრძანებელს.
იქნებ შენაც გაგონდება დრო სიამის, შვინდისფერი,
როცა ციხე-კოშკებით და სრა-სასახლით ბრწყინვალებდი,
ვინ დაადნო გალავნებზე შემომდგარი სპათა რიგი,
სიმუნჯეს და მდუმარებას ასე როგორ შეურიგდი?
რამ წაშალა წარსულ დღეთა მზით გამთბარი გზა და კვალი,
კართან რად არ გვეგებება დურძუკელი დედოფალი.
ვინ ამსხვრია დარბაზების კარ-სარკმელთა დარაბანი,
სად წავიდა შენს გარშემო ძეგლად მდგარი ქარავანი.
რამ შეწყვიტა თვალთა ელვა, მთიდან მზირალ არმაზისა,
სად წავიდა ხმალ ელვარე "კაცი ერთი, სპილენძისა?"
ვინ დაამხო ცეცხლისთავა გაც, გაიმი, კერპად მდგარი,
ვინ გათელა არმაზციხე, ზვიადი და ბობოქარი?
სიკვდილისთვის ვინ გაგწირა, ვინ გაგირჭო გულში დანა,
ნეტავ, რად არ დაენანათ დანანა და აინანა?
შხამი რატომ გადაგასხეს სისხლმწოვარმა გოროზებმა,
ვით ამაღლდა სიკეთეზე ყრუ მურვანის ბოროტება?!
რა უჟმური მოგერია, ჩემი ქვეყნის სააკვნეთო,
გული რატომ ამოგგლიჯეს, ჩემო ტკბილო ბაგინეთო.
მითხარ რამე, მომიყევი მამა-პაპურ ტკბილი ენით,
თორემ მტკვარი მაინც მეტყვის, მტკვარმა იცის ყველაფერი.

ბერსუმ პიტიახშს

არმაზის სამაროვანის არქეოლოგიური გათხრების დროს ნახულ იქნა ვერცხლის ლანგარი ძვლებით, რომლის წარწერაც მიგვანიშნებს, რომ იგი ბერსუმ პიტიახშისაა, მოტანილი სხვა ადგილიდან და დასაფლავებული არმაზში.

თავზე მზე დაგადგა, ცხელი ღადარივით,
ცისკენ ეწეოდა შენ სულს,
დაშნა ჩაგებღუჯა ძვირფას ნადავლივით,
სიკვდილს ნებდებოდი, ბერსუმ!

არმაზს ნატრულობდი მწვანე ფერდობებით,
ცივ წყალს - მტკვრის ნაპირთან შესმულს,
მცხეთა მოგელანდა ფართო დარბაზებით,
დედა მოიკითხე, ბერსუმ!

დაშნას დააწექი მერე გამწარებით,
წვერით ცხელ ქვიშაში შესულს,
"ღმერთო, სადაური, ხედავ, სადა ვკვდები?!"
ესღა ამოღერღე, ბერსუმ!

მიწა ვერ იპოვეს, ქვიშა დაგაყარეს
მწარე წუთისოფლის მეგზურს,
გულზე ქვის მაგივრად სიტყვა დაგაქარგეს,
"აქ არ დაგტოვებთო, ბერსუმ!"

მერე დასალაშქრად ფიცი მოიხმარეს,
მერნებს მიაფრენდნენ მესხურს,
გვამი აღარ იყავ, ძვლებად მოგიტანეს
და აქ დაგასვენეს, ბერსუმ!

მაგ ძვლებს იფიცებდნენ მერე ვაჟკაცები,
ხმალი უცვდებოდა ხევსურს,
მიწას ჩასძახოდნენ ბოლმით, გამწარებით,
"თქვენს ძვლებს დავიცავთო, ბერსუმ!"

ნაზი კილასონია

მარჯვენა

"ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია".

ხალხური

ვინ მოგატყუათ, ვინ დაგაჯერათ -
თითქოს წარმკვეთეს ძირში მარჯვენა?
ვინ მოგატყუათ,
ვინ დაგაჯერათ?
მე არ მეცალა გამოსაჩენად!
არ ვკიჟინებდი ცად და ეწერად,
მოვზიდე ჩემი დიდი მარჯვენა
და ქვას დავარტყი, როგორც ხელწერა!
მე არ მეცალა გამოსაჩენად!
ეს მართალია: ვიყავ უბრალო
და ხეკორძულას წყალი მერჩია.
ჩემთან კაცივით ვლოდა უფალი,

რომ ქვაშიც სული გამომერჩია.
ეს მართალია, ვიყავ უბრალო!
გესმით! გრიალებს დიდი ზარები,
გესმით? წკრიალებს ცხელი ეჟვნები?
ეს მე ვარ მხოლოდ. ნუ მეკრძალებით,
გუმბათებიდან დაბლა ვეშვები.
მე მინდა თქვენთან, მე მინდა თქვენში.
აჰა, აიღეთ ჩემი მარჯვენა,
შიგ ჩემი სისხლის დაბორგავს თქეში,
თქვენ ცრუ ლეგენდას ვინ დაგაჯერათ?
მე ვიყავ თქვენთან, მე ვიყავ თქვენში
ჩემი მიწა-წყლის გამოსაჩენად,
ვარდების თვეში, ფიფქების თვეში
ჰკვეთდა და ჰქმნიდა ჩემი მარჯვენა.
ხარაჩოებზე ვწვებით გულალმა
ცისა და მიწის შუაკაცებად,
და გამოუთქმელ ფერებს ვუნახავთ
ჩვენს შთაგონებას და აღტაცებას.
გულზე გვეხლება ხატპეპელები,
ზოგჯერ ქარია, ზოგჯერ დარია
ხელში ავიყვანთ და ვეფერებით
წითელ დედოფალს - ჭია-მაიას...
და მათგან ვსწავლობთ ხმადაბალ ღიღინს,
როცა მქუხარე ხმები დაგვღლიან,
და წამი რაა - სიცოცხლედ გვიღირს,
შეხედეთ-მეთქი, რა სიმაღლეა!
ზოგჯერ ვეშვებით, როგორც ბავშვები
და ხეკორძულას წყალს ვეწაფებით,
მთვარის შუქჩრდილი გვეთამაშება,

თმებში შრიალებს მთვარის ძაფები.
ზეაწეული მოგვაქვს მარჯვენა,
როგორც დროშა და როგორც სანთელი,
ჩემი მიწა-წყლის გამოსაჩენად
ბევრი რამ დაგვრჩა კიდევ სათქმელი.
და მთავარია - ვიყოთ უბრალო,
ნუ ვიკიჟინებთ ცად და ეწერად.
ქმნილება ჩვენი - ჩვენი უფალი
შემოინახავს ჩვენსავ ხელწერას!

მარიკა ბარათაშვილი

ვედრება

მცხეთის გუმბათი მოჭედილა
ბაჯაღლოებით...
გზას მივუყვებით დიდი რწმენით
და სასოებით.
გზას მივუყვებით მასპინძლისკენ -
წელთა, მრავალთა,
სვეტიცხოვლისკენ, უკვდავების
მაღალ ტაძართან.
აქ ფეხშიშველი მოდიოდა
მეფე თამარი.

ამ სამყოფელში ჩადგა ნინომ
რწმენის სამანი,
ახლაც უთუოდ ბინადრობენ -
არ მეჩვენება,
მათი სულები: წმინდა ნინო,
თამარ, ქეთევან.
შეფარებულნი დიდებული
ღვთისმშობლის კალთას,
მუხლმოდრეკილნი ვდგავართ ახლა
იესოს კვართთან,
სადაც ბინდ-ბუნდში,
საოცარი თავგამეტებით
ფრენენ, იწვიან ოქროსფერი
სანთლის პეპლები.
ო, ღვთისმშობელო, რამდენი გვაქვს
შენთვის სათქმელი!
რამდენს გვავალებს ტვირთმრავალი
დღე-დღევანდელი.
თქვენი ვართ მუდამ მლოცველები
და მოვალენი,
თქვენი ხვედრია ეს მამული -
ღვთიურ ქალების.
მოვსულვართ თხოვნით ერთადერთით
და უმაღლესით:
მოხედე მამულს მრავალტანჯულს,
მტრობით დაგესლილს!
ხედავ, არწივი ძველებურად
ვეღარ არწივობს...
ჰაი თუ ყორნებმა ლუკმა-ლუკმად

დაინაწილონ...
შენ გეკედრები, დედავ ღვთის და
ყველას, წმინდანებს:
გამოგვიდარეთ ჩვენს მამულში,
გამოგვიდარეთ!

ნანა ღვინეფაძე

სერაფიტას მოლანდება

წარსულის გასანათებლად
მცხეთას კოცონი ანთია,
მოგჩვენებიათ არმაზთან
ულამაზესი ქალი? -

ეს სერაფიტა იღვიძებს
ვარსკვლავებს ეთამაშება
და თმას გაიშლის არაგვთან
როგორც ზღაპრული ალი.

თქვენც არაერთხელ გივლიათ
მცხეთა - არმაზის კლდეებში,
და გიძებნიათ იმ ალის, -
ანუ წარსულის კვალი... -

მოგჩვენებიათ სერაფიტა,
დაგსიზმრებიათ მართლა
ეს საოცარი, უიღბლო
და ბედნიერი ქალი!

ის ყოველ ღამე ილვიძებს
და ჩამოჯდება არაგვთან.
თმაგაშლილი და მწუხარე
როგორც დევნილი ალი...

* * *

მცხეთას გავიჭრები,
სამთავროს ვემთხვევი,
გამყვება შენი ჯავრი.
ღამით თბილისისკენ
გამომაცილებს
უხილავ სხივზე
შემდგარი ჯვარი
თუ გამომაცილებს
შენი თვალები,
უფრო შუქიანი,
უფრო ელვარე...
. . . . . .
გავრჩები მტკვარში
სვეტსა და ჯვარს შუა,
სადღაა ჩემი მენავე?

1968

მედეა კახიძე

მოვდივარ ქართულ მიწაზე

სიმზრად კახეთი მესიზმრა,
ვაზებს შორიდან შევტირე,
გამოვყოლილვარ მცხეთის გზას
როგორც მცხეთელი მეტივე.
ქსანი გავცურე თავთხელი,
მოვდივარ, ხმას ფხას ვუსინჯავ,
ხეზე, ვით მთვრალი კახელი,
მღერის ჭრიჭინა გულდინჯად.
მოვდივარ, გზას ვერ ვათავებ
და ზეცა მხრებით მიჭირავს,
პირზე იყუდებს მთა მთვარეს,
ვით ბერიკაცი ჭინჭილას.
მეხრემ, მექოთნემ, მებაღემ
გული იმედით ამივსო,
ფუჩინასავით შევბღავლე
არმაზს, სარკინეთს, მამისონს.
ხან ჩუმ სიმღერას შეგბედავ,
ხან მლოცველივით შეგტირებ...
მოვდივარ, მოვდევ ბებერ მტკვარს
როგორც მცხეთელი მეტივე.

სიმღერა ზედაზნისა და მზისა

1

მზით მოწამლული
მე ვარ ზადენი
და იდუმალი
მთების მძევალი!
მზისფერი მოვწან
ჩიტის ბადენი
და მზით მოვწინწკლე
ჩუმი მზევალა...
მახვილი მქონდა
მზეში ნაწრთობი
და მზე ცვიოდა
გრდემლზე უროდან,
მზეს ვუმღეროდი
მზესთან ვწაწლობდი,
მზესა ვსვამდი და
მაინც მწყუროდა.
მზე იყო მწველი,
იყო ულევი,
მოსხივცისკარე
და თვალმცეცხლია
და შემოდგომა ნაქალწულევი
როცა ქართლის მთებს
შემოეძლია,
როცა გაპენტა

ქარმა ღრუბელი,
როცა დაიძრა
წყალი მარულით,
ო, თავად მზეთა
გადამბუგველი
მიწამ მარგუნა
მე სიყვარული.

2.

ღამით, ზედაზენს
ამოდით ღამით,
მთას შემოდექით,
მზეთა მსგავსებო,
როცა ჩანს მთვარე,
როგორც ზღვის ყურე
და არის ჟამი ზეცის ავსების,
რომ სძინავს მიწას
და წყალსაც სძინავს,
და კურდღლის ძილით
იძინებს ეჭვიც,
როცა ნადირთა
დასტოვეს ბინა
და ისმის
როგორ ეცემა კენჭი.
ღამით, ზედაზენს
ამოდით ღამით,
როცა ტყეების
სუნთქვა ფარული
ისმის სულ ახლოს,
გაკრთობს და წამით

ანელებს ოდნავ
მზეს და სიყვარულს.

3.
საცაა მტკვართან
მივა არაგვი...
ვდგავარ ცხოველი
სვეტების ჩრდილში
ვდგავარ ნატრული
და დღეს არავინ
რომ მოგეფერო
არავინ მიშლის...
ეს არის ჩემი
თავისუფლება
გხედავდე,
გგრძნობდე
ტკივილით,
სრულად,
აჰა, პირისპირ -
შენი უკვდავი
და ჩემი თმენით
დაღლილი სული!
მხოლოდ შენს ფერხთით,
მხოლოდ შენს ფერხთით
მოირღვა ჩემი
საკანი - შიში,
ცხოველი სვეტის
სხივში დგას ღმერთი
და მოკვეთილი
მარჯვენის სხივში...



ᲛᲪᲮᲔᲗᲐ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲛᲣᲙᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ

მცხეთა შემომხვდა, როგორც
დედა - შვილს,
არმაზი - მთვარე ცრემლად
ეკიდა.
მე ამაყი ვარ მხოლოდ
მცხეთაში
და მუდამ მიმძიმს წასვლა
მცხეთიდან.
ამ ტაძრებიან ტაძარს,
უძველესს,
შუმ ღვინოსავით შვენის
სიძველე.
ყოველ გუმბათში ჩემივ
სულს ვეძებ,
ყოველ ნანგრევში ჩემივ
ძირს ვეძებ

და მიცოცხლდება ხსოვნა ისეთი,
რომ სული, როგორც სანთელი, იწვის -
ჯვრის საშენებლად მეც ხომ კირს ვზელდი
სულ რაღაც ათას ხუთასი წლის წინ.
ხუროთმოძღვარიც მახსოვს ამ ტაძრის,
ღვთისმოშიში და ენაუთქმელი.
რა კარგი იყო, რა თვალწარმტაცი
მხოლოდშობილი ის ჩუქურთმები.
აქ წინაპართა დავტოვე ძვლები
და ტაძარქალაქს მოვწყდი კარგახნით,
რადგანაც უფლის მადლით და ნებით
თბილისს ვაგებდი მცხეთის კარნახით.
დღეს ისევ აქ ვარ და ისევ მხნედ ვარ,
მასზე ლოცვად და მისდა მსახურად,
მცხეთა კი - ჩემი მოხუცი დედა -
არ შეგცივდესო, თავშალს მახურავს.



ახლავე უნდა ავიდე მცხეთას

რამ გამახსენა ჩვენი წარსული;
გიორგის ხმალი,
პაატას თავი...
ზოგჯერ დიდება - ცამდე ასული,
ზოგჯერ წუთები - განუკითხავი.
გვაქვს ტკივილებით სავსე წარსული:
გიორგის ხმალი, პაატას თავი.
დღეს სააკაძის უძირო სევდამ
ამდენ ხნის შემდეგ როგორ მომნახა?
ან თვით ერეკლე რად გამახსენდა.
ან ცოტნესაგან რა მინდა ახლა?
რაღაც სხვაგვარად მიღელავს გული
და ვატყობ აღარ ვეკუთვნი ჩემს თავს.
ასე - წარსულით ალმოდებული,
ახლავე უნდა ავიდე მცხეთას.
რადგან კვლავ ისმის იქ სუნთქვა ძველთა,
დღეს სხვაგან ყოფნა არასგზით არ მსურს.
ავალ, თვალებში შევხედავ მცხეთას,
რომ ვესაუბრო ჩვენს ცოცხალ წარსულს.

ბალათერ არაბული

სერაფიტა

ციხის ნაშალზე მტრედი დაფრინდა,
იქნებ შენა ხარ, სევდა არეთა,
ვერ მოგისწარი, ო, სერაფიტა
შენ ჩემი ქნარი შეგიყვარებდა!

ვერ მოგისწარი, დროის კედელი
დგება ჩვენ შორის, როგორც უარი
და მიხმობს შენი მზერა კეთილი,
ასეთი ნაზი და უტყუარი.

მეძახის შორი ლანდი არმაზის
და მზე მეძახის სხივთა არილით,
მზე შემნატვრელი მაგ სილამაზის
და მტკვარის ცრემლი უკვე ჩავლილი.

ვერ მოგისწარი, ნისლით შემოსილ
მთებზე ვდგავარ და გიხმობ ქარებით, -
ო, რომ შემეძლოს შენთან შემოსვლა,
ყველა სატკივარს გაგიქარვებდი...

ციხის ნაშალზე მტრედი დაფრინდა,
იქნებ შენა ხარ, სევდა არეთა,
ვერ მოგისწარი, ო, სერაფიტა,
შენ ჩემი ქნარი შეგიყვარებდა!

ალექსანდრე დიდებაშვილი

დიდთა ზეობისა

დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნის დროს თქმული



დედა-თბილისის დამამშვენებელი,
მობრძანდა დავით აღმაშენებელი.

გადაიხადაო დიდგორის ბრძოლა,
მტრისთვის მოუგვრია შიში და ძრწოლა.

უსაგზლებიაო მოყვრისთვის სითბო,
აზრისთვის - სიცხოვლე, სიტყვისთვის - სიტკბო.

მცხეთიდან ხეივნით მობრძანებულა,
მთაწმინდა უფრორე ამაღლებულა.

ხალხი მონაგარი მუხლს გიყრის, დავით,
დიდთა ზეობისა ხარ სალოცავი!

დიდგორის ომი

დიდგორი დიდი გორია,
ნუთუ არ გაგიგონია?
როგორ არ გაგეგონება, -
გამჭრიახი გაქვს გონება.
მატიანეში წერია,
ქვეყანას ელდა სცემია, -
ურჯულო შემოგვსევია,
სტუმრად კი არა გვწვევია.
დიდგორს შეყრილა ლაშქარი,
ფარ-ხმალით, აბჯარ-ჯავშანით.
თურმე მზესავით ბრწყინავდა
მეფე დავითის ჩაჩქანი.
სანამდე მომხვდურს შებმია
დავითს ეს უბრძანებია:
ან უნდა ვძლიოთ დღეს მტერი,
ვით მამულიშვილთ შეჰფერით,
ან გადაგვჯეგავს, გაგვთელავს,
ერთს არ დაგვტოვებს ქართველად.
ვენახებს აგვიჩეხავენ,
წარბი თუ ოდნავ შევხარეთ.
გადაგვაქცევენ მონებად,
მზე სიკვდილს ჩაეკონება!
დეზი ჰკრეს თურმე ულაყებს,
მთა მოჰყიოდა გულადებს,
ო, რა შეტევა ყოფილა!
ო, რა კვეთება ყოფილა!
ჩვენს ლაშქარს გაუწყვეტია
მტერი, ქვიშაზე მეტია...
მამული გადურჩენია
აღმაშენებლის გენიას.

სვეტიცხოველი

მცხეთა, ჰე, მცხეთა, გულთამპყრობელი...
ხიბლით ავსილა ქალაქი ესე.
ცისკენ მიილტვის სვეტიცხოველი,
რომ ლაჟვარდულად გაბრწყინდეს მზეზე.

მთვარის ქიმივით ჩუქურთმა ღვივის,
ჩუქურთმა სხარტი, მერცხლის ფრთიანი.
გუმბათს ამსხლტარი მთრთოლვარე სხივი
მტკვრის ტალღებს ამსხვრევს ვერცხლის წკრიალით.

ოსტატის სული ელვარებს ქვაში,
აქ მარადისობს წუთისოფელი.
ოცნების აფრებს მძლავრად ვერ გაშლი,
თუ არ გინახავს სვეტიცხოველი!

დროის ქროლვასთან ჭიდილი, შებმა,
თვალისჩინივით დაუთმობელი,
თამამი აზრი, ღველფური გზნება,
გენიის მადლი, - სვეტიცხოველი!

ზედაზენი

აი, სიმაღლე -
მხარგაშლა სივრცის,
თვალი ამ ფერებს ვერასდროს დათმობს...
გათქვირებული ძუძუთა კვიცის
სინატიფე აქვს ჩაფენილ ფერდობს.

მზის ცხელი ფერფლი აცვივა მცხეთას,
გამძაფრებულა გაძლების ჟინი.
ათინათებში გუმბათებს ხედავ
და გულში იტევ კაშკაშა ივნისს.

ხავსიან თათებს დრო სადღაც მალავს,
წინაპრის ნიჭი ქედს როდი იხრის...
აქ მთას უპყრიხარ აწვდილი მაღლა,
აქ საუფლოა მაღალი ფიქრის.

ბებრის ციხე

ბებრის ციხეზე სიჩუმე სუფევს,
არ შეუძლია ციხეს ხმაური,
ზედაზნისაკენ მიმავალ ღრუბლებს
თვალს მიაყოლებს, ვით მოგზაური.

ო, რამდენ ავდარს გაუძლო ხალხმა,
ბევრი დღე ახსოვს ციხეს წყეული...
სამშობლოს ბედზე ლოცულობს გალმა
კაცი, თეთრ სვეტად გადაქცეული.

ჩვენი სიამაყე

უკვდავებასთან ღვთიური რამ ენით
გასაუბრებად ერთი არ იკმარეს...
დააგზნეს ღველფა ჩუქურთმის ბწკარები,
სული მიანდეს ლოდების სიმყარეს.

ლამაზ სამკვიდროს ლაზათი უმატეს,
აღზევებისად რა რწმენა უძღოდათ.
სამკაულებად ჰკიდია გუმბათებს
გაბრწყინებული თვალები უცხოთა.

თვალთა ციმციმში იქნება ერიოს
შურის გაკრთომაც ანაზდად, მერე რა, -
მდაბალთ პოტინი თანა სდევს გენიოსს,
სხივსა ელვარეს ჩრდილი ვერ ერევა.

მდორე მტკვრის სარკე ივსება ცის ფერით,
რომ მზე გუმბათის გვირგვინად არეკლოს
და სიამაყეს - ჩვეული ღირსებით -
უხმო ბგერებად ინახავს სამრეკლო.

სერაფიტას სარკოფაგის მთლელს

**არქეოლოგების გადმოცემით, როდესაც არმაზ-
ში სერაფიტას სარკოფაგი გახსნეს, ქალწულის
სახის ცისფერი მოხაზულობა შემონახული იყო.
ჰაერის ზემოქმედებით პირისახე ჩაინავლა.**

დაუკარგავი ბედის კაცი ხარ
და ჩემს ფიქრებში ცოცხლდები ასე:
გითხრეს...
მწუხარეთ ცრემლი დასცვივდათ,
კვალი დაემჩნა შეფაკლულ ღაწვებს...

ულვთო ამბავმა შეგიძრა მკერდი,
ჩამოიძენძა ტირიფის ტოტი.
ორი დღე-ღამე ტინის ქვას კვეთდი,
გულნაღვლიანი შენს თავთან ბჭობდი.

"ეჰ, ვარდის ფურცელს დაუშრა ნამი...
ვაგლახ, დამზრალა ქალწულის ბაგე...
ხანმოკლე იყო სიცოცხლის წამი...
ასე უდროოდ ღიმილი ჩაქრეს?!"

ზვიად ერისთავს შეაჭკნა ფესვი,
მანდილოსნები თავს ველარ სწევენ...
შენგან ნაძერწი ლოდების ყბებში
სხივაკეცილი მზე ჩაასვენეს.

და მოიტანა ჩვენამდის ქვამა
ულამაზესი ასულის სევდა, -
ამ წუთისოფლის მუდმივი დრამა, -
მზეს ვაბნელებდი,
მზე დამიბნელდა!

თამარ დაუშვილი

* * *

გადაბმული ვარ სულით რითმასთან -
როგორც არმაზი და ბაგინეთი,
როგორც ალვები ცასთან, მიწასთან...
ღვთის მსახურებას მარიდებს ღმერთი...
ალბათ ერთია სიტყვაც და ხატიც
მზეც, ვარსკვლავებიც - შუქის მთოველი,
ვითარც ლოცვა და სულის ფარფატი -
მთაწმინდა,
ჯვარი,
სვეტიცხოველი.

შოთა ხოდაშნელი

ზედაზენზე

... დუმილის სადგური. ტაძარი.
მრუმეა ფრესკების თვალები.
ნივთები სუნთქავენ კანკალით
წარსულის ჩუმ იდუმალების.

კედელს შერჩენია ჯვარცმული.
ძე კაცის გოლგოთას თუ მიდის.

ო, აქ დუმილია - წარსულის,
ო, აქ სიწმინდეა - დუმილის...

აქ საკმეველია დაღვრილი,
გასულა სულ ბოლო მლოცველი.
ტრაპეზზე დაფურცვლით დაღლილი,
ძველი სახარება ოცნების...

შედიხარ, დუმილი ირწევა,
და სანამ არ უნდა იცდიდე,
აქ ხელშესახებად იგრძნობა
სუნთქვა უუძველეს სიწმინდის!

ქართლი

მარადუკვდავი და ბურჯი მართლის,
შრომისმოყვარე, ლაღი და თბილი.
მუხლჩაუხრელი, ნათელი ქართლი,
აგებდა მცხეთას, ძალისს თუ თბილისს!
ქართლელი ერთი მიუშვი ათზე,
დაბადებული მტრისთვის მეხადა.
გულ-ქართლიაო - იტყოდნენ კაცზე
და მისი სახე გულზე ეხატათ.
თუ სხვა კუთხეებს იპყრობდნენ ოდენ,
არ აშინებდა მეფე მირიანს,
მაგრამ თუ ქართლი დაიპყრეს ოდეს,
მაშ, საქართველო დაპყრობილია.
მამულისათვის სამსახურისა
თავის ფორმები რომ ჰქონდათ, მჯერა.
ზოგი ჩაეწნა სურამის ციხეს,

ზოგი კი იქცა თევდორე მღვდელად.
შრომით და ოფლით, ფერფლი, ნაცარი,
იქცა საძირკვლად საგამზრდელოსი...
და იყო ქართლი და ახლაც არი,
კვლავ გულისგული - საქართველოსი.
მამულისათვის თავის დადება,
ყველა ქართველის არის გულისთქმა.
ჰა, მაგალითი ქართველი გლეხის
თავისი მიწის სამსახურისა:
"საწყალი გლეხი ვიყავი
მეში მეცვა და მეხვია,
ასი მამიკლავ მომხდური,
ორასი დამიჩეხია.
არსად არ მითქვამს აქამდე
არც არსად დამიკვეხია..."

ზაალ ებანოიძე

მცხეთაში ნათქვამი

ქართვლის მწიფე დინება
თვალს რომ ესათნოვა
სიტყვის გაღარღილება
გულმა ლექსად მთხოვა.

ვიგრძენ ოდეს ვდგავარ სად,
ბაგეს ჩამოვხსენი:
- არს ქალაქსა ამასა
უფლის სამოსელი.

მაყვლოვანში ქალი
ჯვარზე ილოცვიდა.
სავსე ჰქონდა თვალი
ცრემლით ნინო-წმინდას.

სულ-ამო ხე იდგა
ამ ქალაქში ერთ დროს,
როცა მისი მკვიდრი
წმინდა ნინოს ენდო,

ციდან ხეზე ცეცხლის
სვეტი დაესვენა,
ველარავინ ვერ ცვლის
მერე რჯულს და რწმენას.

"...მუნვე ჰგვია მდელო და
წყალნიც მუნვე დიან..."
ერქვა საქართველო და
საქართველო ჰქვიან.

დღემდე ასე იარა
ჩვენმა ბედისწერამ,
თუმცა გული იარას
მეათასედ კერავს.

მეათასედ, ნამუხთლარ,
ისრებს მკერდით ვიღებთ,
ვადგამთ რწმენის ჩაფხუტად
თავზე ბებერ ციხეს.

ბაგინეთით ასხლეტილ
შუქს იმშვენებს მთები;
საიდუმლოს რას მეტყვი,
ჭიკჭიკში რომ კვდები,

ჩიტო შე ფრთანაცარა,
მართლა ახლომახლო:
- თვალმა იგრძნო რაც არა,
გულმა უნდა ნახოს.

გული ხედავს (ამ ლამაზ
სურათს ავხსნი რიდეს)
მეფეს, ჩვენსას - ფარნავაზს -
ბრძენს და მონადირეს.

მღვიმით ამონათებულ
საბადოებს მთებად,
შაბაშ, მართლაც მათებურ -
ფიქრს და შემართებას.

წიგნის შუქზე მოძებნილ
საქართველოს მომავალს
მტრის ჯინაზე ცოცხლები
ჰაი, ჰაი, რომა ვართ.

ალბათ იმავ ხმალით და
ალბათ იმავ მარჯვენით -
ვთქვი და თვალწინ დამიდგა
საქართველოს გამჩენი,

ვინაც ენა განავრცო
ქართლსა შინა ქართული
გული დღესაც მამაცობს
იმის ჟღერით გართული.

კვლავ იჟღერებს ღვთის ნებით,
ხვალეცა და მერეც,
ამ იმედით ვივსები
და ცას ვუშვერ ხელებს.

ავთანდილ გაფრინდაშვილი

ფიქრი არმაზთან

აქ უფრო თბილა, აქ უფრო მზეა,
რა უნდა გითხრა მე შენ ასეთ დროს,
მე ვარ, შენ ხარ და ის მესამეა,
რომელიც უნდა შემოგავედრო.

მე მოვდიოდი საკუთარ ზღაპრით,
რომელსაც თვითონ ვარქმევდი სახელს,
ვლოცულობ შენი კალთის ქვეშ მდგარი
და შენს წინაშე ყველაფერს ვამხელ,
როგორც დედასთან, რამეთუ მჯერა,
მჯერა, გამიგებ ყოველგვარ ტკივილს.
თმაზე ხელივით დამისვამ ჩეროს
და შენს კალთაში წამიღებს ძილი.
მე მათბობს შენი ბებერი მკერდი,
როდის გიწამე, უკვე არ მახსოვს,
მოვედი შენთან, შენთან მოვედი
და გადამწერე ჯვარი, არმაზო!

მთავარეპისკოპოსი თადეოზი *(მირიან იორამაშვილი)*

* * *

დრო თუ ახალი სიცოცხლით ავსებს,
სულში წარსულის ნაღველიც წვეთავს,
წლები მიემსხვრა ჩუქურთმას ფრთაზე...
რა აღარ ახსოვთ ტაძარს და მცხეთას.

გადუტანია ბევრი ვაება,
გადაიარა ტკივილმა გულზე...
დგას სანატრელი, ვით უკვდავება
და საქართველოს მომავალს უმზერს.

ზედაზენს მთვარე ანათებს



ზედაზენს მთვარე ანათებს
ღრუბელზე გადმომდგარია.
ვინც მიჰყვა სოფლის სიყვარულს,
ახლა სულითაც მკვდარია.

შენ, ჩემო სულო, ლოცვებში
ჟამი-ჟამ გაგიხარია,
სიცოცხლის გზაზე მიმავალს
ნუღარ გეცვლება მხარია.

ღმერთი დიდია, ის გვიხსნის,
მტერო, ნუმც გაგიხარია...
ჯვარს გოლგოთაზე აიტანს,
გასწევს, ვინც კარგი ხარია.

სვეტიცხოველი

საკვირველებავ ცისა და ქვეყნის,
მარად ელვებრი ნათლით მკრთომელო,
უკვდავებასთან განგებით შეყრილს
დიდება გშვენის, მიუწვდომელო.

მარადიულო სიმღერავ სულის,
უხილავ მადლით გვირგვინოსანო...
ნუგეშმცემელად ზეცად წასული
ჰგალობ მაღალთა შინა - "ოსანა".

უფლის კვართი

ალდგომაა, მოაწია ლოცვის ჟამმა,
მაცხოვარი, ჩემს სულსა და გულში მხედი,
ნუგეშს მცემდა, მასველებდა აიაზმა,
ვიდრე სათქმელს, დაუთმენელს გავუმხელდი.

აპრილია, და ვერ მძლავრობს გაზაფხული,
სულში გლოვას - სიხარული ვერ ამეტებს,
უფლის კვართი ტაძრის ძირში დამარხული
მახსოვს ისე, ვით გაცრეცილ პერგამენტებს.

აქ, მცხეთაში ვით მოჰქონდა ელიაზარს,
ვით ჩაუკრავს კვართი მის დას გულში სასოდ,
ვით მოუკლავს კვართმირქმული ელდას საზარს
და ვით უთქვამთ:. "ჟამი მისი მერმე არსო"...

ვიდრე იქვე დამარხავდნენ ქალთან ერთად,
მერმე როცა ის აღთქმული ჟამი დადგა,
სამარეზე ცა და მიწა შეაერთა
საკვირველმა, მოელვარე შარავანდმა.

და მას ჟამსა, კვართს ტაძარი სვეტიცხოვლის
აუშენეს მდინარეთა შესართავთან,
აღავსებდა რწმენის საოცარი ძრწოლა,
ყველა მნახველს, სალოცავებს სხვებს არ ჰგავდა.

აღდგომაა, იცისკარებს მაღიად ცა,
სულს ვაყოლებ სანთლის ალთა მიმორწევას,
სწამთ მლოცველებს, რა ხანია ელიან ზარს,
უკეთეს სვეს - საქართველო მოესწრება.

დილარ ივარდავა

მცხეთა, არმაზი

გაშლილი მუხა. უფსკერო მტკვარი,
გადაწოლილან ჩრდილები ხეთა.
მეფობს სიჩუმე, სიცოცხლის ხალისს
გაჩენის დღიდან მანიჭებს მცხეთა.
აქ, ამ მიწაზე, თითქოს არასდროს
არც ყოფილაო ომის ქარ-ცეცხლი; -
წინაპართ საძვლევ, სევდავ, მარადო,
სიყვარულს ჩვენსას ეშმაც ვერ შეცვლის.
დღესაც უსაზღვრო თრთოლვით და განცდით
სულ კუნჭულ-კუნჭულ მოგინახულე,
არსთა გამრიგე კიდევ თუ მაცლის,
შენზე ვილოცებ და ვიმარხულებ.
თუ დამრჩა რამე, შენთვის დავხარჯავ,

აღვავლენ სიტყვას ხვალის ნათებად;
შენ კი -
სულეთში ჩაძირულ მარჯანს -
გამოფენ ქართლის ბრილიანტებად!

არმაზთან თქმული

განიხვნენ ბჭენი, ღმერთო მაღალო,
კვლავ ზიმზიმებდეს აქ ნინოს ჯვარი -
უსასრულობის ზღაპრული კარი
ათასი ფერის ფრთებით დაღალე.
არმაზში მოველ განძის მხილველი
და თუკი ზეგნებს სიბრტყეზე გავშლი,
აბუბუნდება თვითეულ ქვაში
ჩემი წარსულის ხილვა პირველი.
არმაზში მოველ პატრონი განძის,
მტკვარში გავშალე წარსულის ბადე,
პომპეუსის ხიდს ტალღები არწევს
და ვერ მიმოკლებს მიზნამდე მანძილს.
მიტომც ავაგე ახალი ხიდი,
ხიდი მყარი და მართლაც ლამაზი, -
მთებმოხვეული ჩემი არმაზი
ჰყვება ლეგენდას ბრძენი და მშვიდი.
დღეს ფერთა თქეში ზღვარგადასულა -
ქართლში სიცოცხლე მზისებრ ტრიალებს
და... მოშუშებულ იმ ძველ იარებს,
მაინც მახსენებს ჩემი წარსული.

* * *

არმაზი და ჩემი სერაფიტა,
მზის ბადეში გახლართულა მცხეთა,-
გზა წარსულის -
სულის ფრთა და დვრიტა,
გზა წარსულის -
ლოდებს არსად ხეთქავს.
ჩემი სევდა -
წარმართული მოთქმა,
მოჰქრის მტკვარი -
წინაპართა ცრემლი
და ვითა ვთქვა,
ყველაფერი რომ ვთქვა -
ხომ ვნებაა დაოთხილი რემის.
ხომ ფრთებია
გატყორცნილი ფრთოსნის,
დამსხვრეული ციხის სატევარი;
სიხარული ამ მიწაზე მოსვლის,
ვაზის ფესვი, ლერწი და მტევანი.
ამამღერებს ფიქრი - დარდის ჩქერი
და ეს მიწა ყვავილივით ციდა,
ჩემი ტანჯვა,
ჩემი სისხლის ფერი,
თურმე ღმერთმა მიწყალობა ციდან.
მოვა აწიც გაზაფხულის წვიმა,
ჟამი თრთოლვის,
ჟამი მწვანე ხმების?!
უწვიმებოდ ფშატი გაიწირა,
უწვიმებოდ მარტოსული ვხმები.

არმაზი

მიხეილ ჭიქოძეს

მზეზე გავფინე ბებერი ძვლები,
მზე კი სხეულში შვებად წკრიალებს
და დღეს დავდივართ ამაყი ძმები:
წარსული, [illegible]
მე და...
მემატიანე.
ჩემი სხეული ღელავს და... თბება ...
სულში ჩურჩულებს ფესვები ხეთა
და წმინდა ნინოს შრიალა თმებად
მწვანე ფოთლები ეხვევა მცხეთას.
ჩემი წარსული დღეს მიხარია,
ასე გმირული,
ასე ბედკრული...
და ეს არმაზიც გმირთა ტანია
მათი ძვლებით და ხმებით შეკრული.
და ეს არმაზიც ჩემი სისხლია,
სისხლი, რომელიც ძარღვებში მიჰქრის.
და, თუ ჟამიჟამ მტკვარზე ნისლია -
ეს წინაპართა აღზევდა ფიქრი.
არ დამკარგვია გზები და გეზი,
ისევე ყვირის ჩემი ირემი,
ჟრიალებს მტკვარი -
მიმინო ეჟვნის
და... დამეძებენ მონადირენი.
მომაახლე სიყმაწვილის ექო,
ლაქაშებში მიშრიალე ისლი, -

დუმილი კი მართლაც უკვე მეყო, -
ლანქერების მსხვრევა მკერდში ისმის.
მალე მოვა თვალბრიალა წვიმაც,
მცხეთის ზეცა როდი გაიფიტა,
ისევ მოვა,
მოვა, ვითარც წინათ
და... არმაზთან მელის სერაფიტაც.

* * *

მცხეთასთან არაგვი
არაგვს არა ჰგავს, -
მოგაგონდება დაღლილი მგზავრი, -
თითქოს აქ ციხის კარი ჩარაზეს
და... ჩააჩუმეს ათასი ზარი.

დაოკებია გიჟური სრბოლა,
ისევე წარსულს უმადლის ახლა:
გაახსენდება მთებში რომ ბოლავს, -
იგონებს მკერდზე ზვავების დახლას...

რარიგ მშვიდია, -
არაგვს არა ჰგავს, -
არ შერჩენია სიფიცხის კვალი, -
ასეა, რადგან ქრება არაგვი,
რადგან აქ უკვე ბობოქრობს მტკვარი.

თამარ შაიშმელაშვილი

მცხეთის ჯვარი

წამომეშველა ფიქრების ჯარი,
ვიმშვენებ სივრცეს, როგორც მთამსვლელი,
მზის სიჩუმეში გამოჩნდა ჯვარი
იმ სამყაროში გადასასვლელი...
მომელამუნა ცა და სიგრილე,
ვით სააპრილო ზმანება შენი...
მერე ცრემლებმა მომიგვირილეს
და ტკივილს ნისლის დედოფლად შევრჩი...
გულწრფელი ვიყავ შენთან და ქართან
ძახილით, ფიქრით, ფორიაქებით...
მწუხრის სიჩუმე სიყვარულს რთავდა
მზის ნარცისების ფოლიანტებით.

ია ხასია

* * *

ცხოველი სვეტი გაბრწყინდა მცხეთას
წმინდა ნინომ თუ შემოდგა ფეხი?!
მეფე დიდგული ტყეებში ბორგავს,
აღარ აშინებს სეტყვა და მეხი.

იქ, სასახლეში, სარკმელს დაგმანულს
მიღმა ვისი ხმა სწვდება ზენაარსს?
რა ეხეთქება ქვებად მეფის გულს?
ნანა დედოფლის შეგონებაა...

და ჰა, იქუხა, ჩამოსკდა ზეცა,
მიწას განერთხა ძალა არმაზის.
ჰოი, ნინოს ღმერთს ვინ უხმობს შველად?
ლოცვად დამდგარა მეფე გოროზი...

რაჟამს იხილეთ, ეს ოქროს სკიპტრა
ხის ცხოველ ძელზე რაზომ მცირია,
მაშინ თუ გერგოთ ღვთიური მიტრა,
მეფევ, მირიან.

იულონ ტოლიაშვილი

სერაფიტა

როცა მივალ სვეტიცხოვლის კარიბჭესთან,
ქვის კიბეზე გული ჟღერს და თრთოლვა მიტანს,
ამიხსენი,
ამიხსენი, რად დამჩემდა,
რად დამჩემდა გულისჟღერა, სერაფიტა?

იქნებ, შენი თოვლისფერი მკერდი იწვის,
იქნებ დგეხარ არმაზზე და გემღერება,
გემღერება? - ვინ გაიგოს, ვინ რა იცის.
მე ამოვალ შენთან, ჩემო სერაფიტა,
მე გიწოდებ სვეტიცხოვლის ღმერთს და მშობელს,
ამოვალ და გისახსოვრებ, ამოგიტან
ფრთაგაშლილი
საქართველოს
საგალობელს.

სიმონ ბალახაძე

მცხეთა

აქ ევრიპიდე მწყემსავდა ნახირს,
აქ იდგა ძეგლი ტუტანჰამონის
და შეკრებილი სენაკში ხალხი
აქ უკოცნიდა ხელებს მამონას.
აქ სძულდა მურმანს ქალი ეთერი,
მაგრამ ეტრფოდა ვერთერი ლოტეს
და ქუჩის ქალის - ჰეტერას ტანი
აქ ქმნიდა გრიგის უმძლავრეს ნოტებს.
აქ პომპეუსი ებრძოდა არაგვს,
აქ ჭოტი მხოლოდ ერთხელ კიოდა.
აქ მცხეთას ქრისტეშობამდელ ქალაქს,
კვართზე სულმუდამ სისხლი სდიოდა.

ვლოცულობდი ნინოს თმებით შეკრულ ჯვართან

ვლოცულობდი ნინოს თმებით შეკრულ ჯვართან,
გულის სისხლით დავიცავი გრაალი,
როცა მკლავდნენ, თუმცა მხსნელი არსად ჩანდა,
გადავრჩითო - ჩამძახოდა ქარი.

შემოდგომას შერეოდა ჭალარები...
ვაშენებდი ტაძრებს მოწამეთა,
შვილებს ვზრდიდი იავნანით, სახარებით
და მირონსაც ვადულებდი მცხეთას.

თუ სიცოცხლეც ფოთოლცვენით დამთავრდება,
თუკი წლებსაც წამოსტკივათ წელი,
მოვა ქარი ბობოქარა და თავნება
და მომცელავს წუთისოფლის ცელით.

იქნებ წლებსაც ჭირის ოფლი უწურიათ,
მესაფლავე იქნებ კუბოს ჭედდა,
მაინც ვიტყვი, რომ სიკვდილი უძლურია,
რომ ღმერთია, თვით ღმერთია ჩემთან.

თუმცა ცხრაჯერ ამიჩეხეს ცხრა აპრილი,
ცხრა ჭრილობა ისევ სტკივათ მარტებს...
შინდისფერად შეუღებავს ცას მანდილი,
ზარებს რეკავს თეთრწვერება მნათე.

ცისფრად ვღვრიდი ცისფერ ცრემლებს ღვთის უბეში,
თუმცა დედა მე ვიყავი ვეფხვის,
ჭირთამთმენელს მაინც შემრჩა ცხრა ნუგეში
და ცოცხალი როგორ ხარო - მეტყვი.

ცხრა წყაროსთან აინთება ატმის კვირტი,
ცოდვას განბანს უცოდველი სისხლით,
უკვდავებას გვაზიარებს უფლის კვართი
და მეცხრეჯერ სიკვდილისგან გვიხსნის.

ისევ დიდგორს მივაშურე სულის მკურნალს,
ჩემს წიქარას რქა მოატყდა ცალი,
მერე სისხლად, მერე ოფლად გახვითქულმა,
მაინც შესვა უკვდავების წყალი.

თავსაფრიდან მზეს დალალი ჩამოვარდა,
მაინც ვინ ხარ? - მეკითხება პრინცი,
ერთი მუჭა საქართველოს მიწა ვარ და
ერთ ცივ ლოდზე ამოჭრილი ფიცი!

მანანა ჩიტიშვილი

ქართლი

როცა ქართლში გაზაფხული
აამწვანებს სერს და ყანობს,
ცხელი სისხლი ჩაუდგება
სამაჩაბლოს, სამუხრანოს.
დაშვენდება საულვაშე
დოლის პურს და ქერის თავთავს,
ქსანზე ნისლად აცურდება
წმინდა სული ერისთავთა.
მუხრანს ზემოთ ერთი შინდი
რომ ყვავილობს გამთენია,
ქეთევანის სულის საოხ
ანთებული სანთელია.
მიწას,
ასჯერ გადაბუგულს,
თავზე ადგას სვეტი ნათლის,
პირჯვრის წერით სათქმელია:
ზემო,
ქვემო,
შუა ქართლი.
ქართლო, საქართველოს ძირო,
ქართლო, საქართველოს ფარო,
არც არავინ გაგიტოლო,
ვერც ვერავინ შეგედაროს.
გადავძახი ოთხივ მხარეს,
სადაც მზერა გადამიტანს:
"საქართველო ქართლი არი!"

ცა მიმოწმებს:
"ჭეშმარიტად!"
მეფედ საქართველოისა
არ ითქმოდა არვის ნებით,
თუ სკიპტრას და ოქროს გვირგვინს
მცხეთას შენ არ უკურთხებდი.
უწინ ბევრჯერ ნაწამები,
მაინც მუდამ მთქმელი მართლის,
ერის მჩენი,
გადამრჩენი -
ქართლი,
მშვენიერი ქართლი.
მცხეთას ლოცვად დაგიდგები,
ვიმარტვილებ,
ვიმარხულებ,
თუ ათას წლებს შენ ასეთი
ეშხით გამოიზაფხულებ.
დღეის დღესაც ღვაწლი შენი,
მადლი შენი უდევს დვრიტად...
" - საქართველო ქართლი არი!"
ზეცა ამბობს:
"ჭეშმარიტად!"
მე ვით გეტყვი,
ანდა ქვეყნად
ღვაწლი შენი
ვინ თქვას დათვლით...
დედა საქართველოისა,
გული საქართველოისა,
ქართლი,
საოცარი ქართლი!

ვაჟა ოთარაშვილი

ხეკორძულელის აღსარება

“არ უნდა ჩანდე ოსტატზე მეტი,
ბრძენი იყავ და ჩაგთვალონ შლეგად...“
მე უფლის ნებით ჩუქურთმას ვკვეთდი,
ხეკორძულას წყალს მასმევდა დედა...
“მოეკვეთება ყველას მარჯვენა,
მეფეზე მეტად ვინც იარწივებს!“
მაცხოვრის კვართის გადასარჩენად,
ფარისეველთა ვძლიე ქარ-წვიმებს...
მადლობა, ღმერთო, ჩემი მარჯვენა
ღირსი გახადე ტაძრის კედლისა...
ივერთა რწმენის გადასარჩენად,
ხუროთმოძღვრობა რომ დამეკისრა...

დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,
ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა...
მე წიწამურთან ვეღარ მომკლავენ,
თუ საქართველოს სული გამთელდა...

* * *

შეხვედრა, წასვლა, გზა, შიომღვიმე,
ქარის გუგუნი და თოვლი ტყეში...
ყოჩივარდები... შენ შემომღიმე
და სველი თოვლით აივსე პეშვი...
ტკივილი, ტანჯვა, სიზმარი, ბოდვა
და გაორება გულის წადილის...
მარტის შუადღე, უცებ ჩამოთბა
და გაიცრიცა თოვლის მანდილი...

* * *

ქართული მიწა უბით ატარებს,
წინაპართ სისხლში ნაზიარები...
დიდ იმპერიებს თურმე პატარა
ქვეყნის შვილები აზანზარებენ...
გზის მაჩვენებლებს ქარები ცვლიან,
ჟამი წაიღებს ქარის მოტანილს...
ქართული ცის ფერს მაგონებს ია,
ღმერთო, გვიშველე, დავრჩით ცოტანი!..
მტერიც კი გულით უნდა გიყვარდეს,
ორივე ბეჭზე რომ სუფთად დადო...
მერე საფლავზეც ამომიხაკდე,
დამარცხებულო ბოღმავ და დარდო...
ქართული მიწა უბით ატარეს,
სულშიც სიონის რეკდნენ ზარები...
დიდ იმპერიებს მხოლოდ პატარა
ქვეყნის შვილები აზანზარებენ...
გზის მაჩვენებლებს ქარები ცვლიან,
ხომ არ ილევი, ქართულო გენო?
არაგვის პირას მდელოებს ცვრიანს,
სამშობლოს მიწის დაჰყვება გემო...
რად დაგვავიწყდა მოძმის გატანა?
დაეტყოთ ფრესკებს დანაბზარები...
დიდ იმპერიებს მაინც პატარა
ქვეყნის შვილები აზანზარებენ...

ქსანთან

1. ქსანს ისევ ორთქლი ასდის ლაშებზე,
დაბოლმილია ქსანი მუხრანთან...
ველარა ვხედავ მთიულთ რაშებზე
ქსნის ერისთავმა დუშმანს უხათრა...
2. გზაში ვარ. ტირის თითქმის სარკმელი,
ქსნის ციხეს ცალი მოერღვა მხარე...
წვიმაში ბევრი ჩანს გულსატკენი,
ნეტავ იდგება ეგ ციხე ხვალე?

სოსო ნადირაძე

საუბარი მცხეთასთან

როგორ ტირიან შენი ხევები,
რა ცრემლიანი ალმართებია,
ვხვდები, რომ შენთვის ეგ ნანგრევები,
არც ოცნებაა და არც ფრთებია.

ეგ გალავნები და ციხეები,
დღეს რომ წინაპრებს დამსგავსებიან,
წამომართულან, როგორც დევები
და გიამბობენ ამბავს სევდიანს.

ტარიელ პაპავაძე

სვეტიცხოველს

ათასი წლები გადმოგვყურებს ფართო თაღებით,
გშვენის ელფერი შენ მრავალი გაზაფხულისა,
შემოქარგულო ჩუქურთმებით, ყაისნაღებით,
ხარ დიადემა ათეული საუკუნისა.

როგორ უხდები შენ ძველ მიწას
ქართლოსიანთა,
ცაში აზიდულ გუმბათით და გაშლილი
მხრებით,
როგორ ამაღლებ შენ მოკვდავთა ადამიანთა
და რწმენით, სულით თვით მაღალ ღმერთს ეხმიანები.

დიადო ძეგლო, უკვდავებავ ოსტატის სულის,
შენი მშვენება კაცთა მზერას ცად ეზიდება,
მომნიჭებელო სიმხნევის და სიმშვიდის სრულის,
მარადიული იყოს ქვეყნად შენი დიდება!

გვედრებ...

მტკვრის და არაგვის მისწრაფებათ გზაშესაყარი,
ორივ მდინარის მარტოობის დამდები ზღვარი,
დროის წინაშე შეუპოვარ, ხავსიან კლდეთა
ცხელ ხელისგულზე გადაშლილა ქალაქი მცხეთა.

წინაპართ მჩენო, სიწმიდეთა აკვანო ძველო,
წარსულის ჩვენის საფურცლეო, ამბავთა მცველო,
თვისსა წიაღში უკვდავების აქ შემნახველო,
სულიერების და სიკეთის წყაროვ, თვალსველო,
განსწავლის, ცოდნის სხივთმკრებელო, და კვლავ
მთესველო...
გვედრებ, დაგვლოცე მადლგადმოსვლით სვეტიცხოველში,
გვედრებ, გონება, ზნე დანერგე ჩვენში ყოველში...
ჯვარო მაღალო, აკვართულო გუშაგო წმიდავ,
დედისა ღმრთისა სიყვარული და ლოცვა გვინდა.
უსმინე უფლის მავედრებელთ, ოხებას მისსა,
მრევლს მომავალი მოუვლინე წყალობად ღვთისა...

მტკვრის და არაგვის მისწრაფებათ გზაშესაყარო,
ორივ მდინარის მარტოობის სასრულო ზღვარო,
დროის წინაშე შეუპოვარ, ხავსიან კლდეთა
ცხელ ხელისგულზე გადაშლილო ქალაქო მცხეთავ!

გიორგი ყარაულაშვილი

ვედრება სვეტიცხოველს

ქსილისის მთაზე დამიბი მზე და
ანათებინე ოცნება ქართვლის,
რომ ცხრა აპრილის დარდი და სევდა
აღარ სტკიოდეს მცხეთას და მარტვილს.
შეაგდე მტკვარში აზრი ირიბი
და შიომღვიმის მადლით განათლე,
ბაგინეთის ცას მთვარე მიმიბი
და სერაფიტას სახით ანათე!

ალმანზორ თავაძე

მცხეთაში

აქ უთვალავი აჩრდილი როკავს
გაღებულია წარსულის კარი
და პომპეუსის მეწამულ ტოგას
ცივი შხეფებით ასველებს მტკვარი.

ნოდარ ადეიშვილი



მიხედვა მცხეთისკენ

თუმცა შენ უკვე წარსული გქვია,
მაინც გაზომებ ლამაზ სახელებს...

მერე რა მოხდა, ქარები ქრიან
და სადროშოზე სუროს არხევენ...

რა მოხდა მერე - მარჯვენას მჭრიან -
ცრემლიან თვალებს ვხუჭავ და ვახელ...
და ისევ მოჩანს კარები ღია
და კარებიდან -
ღვთისმშობლის სახე...

სვეტიცხოველი

(ხილვა)

ისე დიდებულად იდგა, მონუსხული ჭვრეტდა ჯვარი,
მხრებზე ათი საუკუნე აწვა როგორც ქვეყნის ჯავრი.
ისე დიდებულად იდგა, ისე,
ისე,
ისე,
ისე,
უცებ შენდა უნებურად აღაპყრობდი ხელებს ცისკენ.
რა დღე იყო!
რომ აღვწერო,
ნეტავ ამის ნიჭი მომცა...
ტაძარს გარეთ,
ტაძარს შიგნით
კოცონივით ენთო ლოცვა.
უზარმაზარ გუმბათს თავზე ჯილასავით ადგა მზეი,
მაგრამ თითქოს
ეს ცხოველი სვეტი იდგა მზეზე ზევით.
ყველაზე და ყველაფერზე მაინც მზე იმარჯვებდა,
მზეში დროშად ფრიალებდა მოკვეთილი მარჯვენა.
ეს არ იყო მოჩვენება, არც სიზმარი ყოფილა -
გავიხედე: ერთად ასი ანგელოზი მოფრინდა.
მოფრინავდა,
მოფრინავდა კიდევ სხვა ასეული,

იდგა თვითონ არსაკიძე უკვდავებად ქცეული
და სახეზე ეფრქვეოდა ანგელოზთა ღიმილი,
გამქრალიყო საქართველოს დიდი
გულისტკივილი.
ეხვეოდა მტკვარს არაგვი, როგორც სატრფო
თავის მიჯნურს
და სიყვარულს წაეშალა ყველა ზღვარი,
ყველა მიჯნა.
იყო წირვა,
იყო ლოცვა.
გუგუნებდა ხმა ქართული,
იდგა დიდი საქართველო სვეტიცხოვლად
აღმართული.



სვეტიცხოველთან

ვალერიან მამუკელაშვილს

"ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის
დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია".

ზემოთ - ჯვარი, ხოლო ქვემოთ
ისე ერთვის მტკვარს არაგვი,
მართლა ისე საგანგებოდ -
ზედმეტია ლაპარაკი.
უნდა იდგე და ყველაფერს
ჩუმად უსინჯავდე გემოს.
ყველაფერი ისეთია,
ვერსად ნახო უკეთესი...
ახლა, .ამ წუთს საქართველოს
ცხელი გულის ცემა მესმის.

ალექსანდრე ტაბატაძე

მცხეთობის შემდეგ

მერე მცხეთობაც
მიიწურა საღამო ჟამზე
და მზე ღრუბლებში გაეხვია
დასალიერთან...

ვახტანგ გორგასლის
შვილიშვილთა შვილებით სავსე
ქალაქი უცებ დაცარიელდა.
ჩვენც გავეშურეთ...
დაღლილობას სულ არ ვნანობდით,
თან მიგვყვებოდა
შემოდგომის სიო გიჟმაჟი
და აღარ გვახსოვს
როგორ მოხდა, ვისი წყალობით -
სერაფიტებთან ვით აღმოვჩნდით,
როგორც სიზმარში.
დედაქალაქის თბილი უბე
გულში გვიკრავდა,
ვერცხლის ქამრებად
ელვარებდნენ სანაპირონი...
წვიმდა, გაქცევა არ მოგვსვლია
არვის ფიქრადაც,
კი არ გვაწვიმდა, -
დაგვდიოდა მცხეთის მირონი.
ლამაზი იყო,
ყველაფერი იყო ლამაზი,
ჩვენს შორის მაშინ
არვინ იყო მეტის მთხოვნელი
და თვალწინ გვედგა
უძველესი მიწა არმაზის
და საქართველოს უკვდავება -
სვეტიცხოველი.

გარეთ კი წვიმდა,
ჟივჟივებდნენ ხეზე ჩიტები
და დასცინოდნენ
წუთისოფლის წარმავალობას,
რადგან იცოდნენ -
ულამაზეს სერაფიტების
ვისმენდით ტიტინს,
ისე, როგორც ღვთიურ გალობას.
მერე დამთავრდა ის დღეც,
როგორც მოკლე სიზმარი
და ცად წასულნი
დავუბრუნდით მიწას ცოდვიანს
და ვერ ვივიწყებთ,
და ვიხსენებთ ყოველ ცისმარე
ცად ამაღლებას,
აღმაფრენას თუ რა სცოდნია.



სვეტიცხოველი ღამით

მთვარიან ღამით უნდა ნახო სვეტიცხოველი,
როდესაც ირგვლივ ყველაფერი ისე მდუმარებს,
რომ აღარ გჯერა სხვა სიმაღლე მიუწვდომელი,
სხვა სიდიადე კიდევ თუ არის.
როცა თვალნათლივ ხედავ უჩინარს,
ამ საოცრების
პირველად ხარ თითქოს მჭვრეტელი
და ხუროთმოძღვარს
ჯერ მოუჭრელ ხელში უჭირავს
ვაზის ჩუქურთმა,
უკვდავება და საჭრეთელი.
როცა შენამდე აღწევს ფიქრი ყოველი კედლის,
როცა სიზმრებში თვლემენ ჩრდილები
და ლილისფერი ზეცის ფონზე
გუმბათი თეთრი
ისე ჩანს, როგორც
უარყოფა ჟამთა დინების.
გუმბათთან ერთად
ცად მივფრინავ, გგონია ზოგჯერ,
სავსე ხარ ფიქრით,
მთვარის შუქით და სილამაზით
და ღრუბლებს შორის გაჭიმულ თოკზე
ახალი მთვარე
ცალ ფეხზე დგას, როგორც ჯამბაზი.

საკრებულო დარია (ჩაკვეტაძე)

მცხეთის ჯვარს

"დიდება, უფალო, ჯვარსა შენსა,
ყოვლადპატიოსანსა და ცხოველსმყოფელსა"!

ლომებრ გამზირალო ქართლის დასალიერს,
ძირძველ ტახტრევანზე თხემად აღმართულო,
ჯვარო, უკვდავების წყაროვ ცახვავრიელ,
მამრედ ამომსკდარო მადლის ანანურო.

მრავალი საიდუმლო ქებად აქვიტკირე,
ქართულ ჩუქურთმაში ლერწმად ჩაფრესკილო,
შენს ქედს მიმსჭვალული ქრისტე დაიტიე,
ბერთა ბეთხაიდავ, მცხეთას განდეგილო.

ჯვარო სიყვარულის კეფა გიჯავშნია,
მტკვარი მირუდუნებს სიბრძნის არაკებად,
შენგნით საუფლომდინ ერთი მისხალია,
ჯვარო აღდგომავ და ჯვარო ამაღლებავ.

ჯვარო დავითიანთ რწმენის ჯავარდენო,
ბეთლემს მოწყვეტილო მთიებ მზეფენილო,
შენ ხარ მატიანე ნინოს საქართველოს,
ჯვარცმულ მაცხოვრისებრ ბევრჯერ შენერწყვილო.

შენში ივანებენ სამთა სუფევანი,
ქართვლის დედასავით კალთამადლიანო,
უხვად გვიწყაროე სულთა კურნებანი,
ჯვარო ქართლოსიანთ ქართლის განთიადო.

ნაბუქოდონოსორს ვერთუ გავუმტერდი,
როცა ცოდვაქმნილი ბრალი დამეკვეთოს,
შენით მესულდგმულოს სასოგაბევრებით,
შენი სიდიადის ჭვრეტად დამეთენოს.

ორბებრ გამზირალო ქართლის დასალიერს,
მცხეთის საბრძანისზე თხემად დაკარგულო,
ღვთისად მიაქცევდე გაღმით გადამთიელს,
ასჯერ მოკლულო და ასჯერ აღჯვარულო.

შენით გამოხსნაა, ძელო სანატრელო,
ქალწულ მარიამის ემბაზ შემურვილო,
ჯვარი გარდასახე ზვარე საქართველოს,
ზეცად აკვართულო ექვსფრთა ქერუბიმო.

ემზარ კვიტაიშვილი

დილა არმაზში

ზმუის ხარი, ირემი, -
მთებმა ამაბღავლესო,
ლოდზე, ციხის ნაშალზე,
რქები უნდა ავლესო.

ვის ყელს, აწვდილს, ვეძახი,
ან მიყვები ვის ნებას;

მეხს არ შევუშინდები,
არც თოფის დამიზნებას.

ამ მზის, ამ ცის უკეთესს
რას შევხედავ, რას იზამ,
გული ამომიბრუნა
სიმწვანემ არმაზისამ.

ყურჩახრილი იები
ვაჰ თუ სისხლით წავლეკო,
შენი წერა არ გავხდე,
მონადირევ შავლეგო.

იტყვის ცრემლებმომდგარი:
ვწყევლი ჩემს გაჩენასო,
ტყვიას - დახლილს ბეჭებზე,
ხანჯალს გულში შენასობს.

მწევარს ვერსად წაუვა,
ვის ბედზეც დაყეფილა...
რასაც, ხედავ სიზმარი,
მოლანდება ყოფილა.

დედის მუცლით ნაშობი,
თქმულა, უნდა გაქრესო,
მთაო, დაშლა მოგელის,
შენც, კლდეო უმაგრესო.

დამანათლა გამჩენმა,
დარდი, ზურგით მეთრია;
სილამაზევ, დაჭკნობა
შენი ძველი ხვედრია.

სვეტიცხოველი

მაღალ გუმბათთა გადასარჩენად
დაგეშილია მძაფრი სურვილი
და მოსხეპილი შენი მარჯვენა
ჩაბღუჯული მაქვს ორლესულივით!..

თითქოს სიცხიანს და ბეჭვანგმირულს
მორიელები მასხდნენ მაჯებზე
და ისე მინდა, რომ შენს მაგივრად
შური ვიძიო შურის გამჩენზე!..

მაგრამ ანაზდად შემომაფეთებს
აისი პირველ სხივებს დამფრთხალებს
და ჭერს მიასრესს ღამის ნაფლეთებს
ელდით ფერმიხდილს და მოფართხალეს.

ღია სარკმლიდან სივრცეს ერთიან
მოირბენს მზერა ნაუცბათევი -
მაღალი ყელით ლაჟვარდს ერთვიან
გადარჩენილნი შურს - გუმბათები!..

ალმოგზნებული აისი მიმზერს
და მზეში მტრედებს გააქვთ ტკარცალი
და შურით დავსილ თვალების ჯიბრზე
კვლავაც მაღლდება ჩემი ტაძარი!..

ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲛᲔᲣᲤᲔ ᲖᲔᲜᲝᲜᲡ

ტაძარს, მზის სხივით ნაშენებს,
გაბადრულს უფლის ნებითა,
ვარსკვლავთა ხომლი ამშვენებს,
ნაძერწი ბროლის ქვებიდან.

შენივთებია მარჯვენა,
ნაკურთხი წმინდა მირონით, -
ცრემლებად დაიხარჯება
არაგვის სანაპირონი...

ზარის ხმა, სივრცის მზვერავი,
მლოცველმა დაიძმობილა,
გადააშენოს ვერავინ,
რაც სიყვარულით შობილა.

ხელს ნულარ მოჭრი, ქართველო,
მოთავეს საქმის კეთილის,
სიწმინდემ გაისანთელოს
და შურს დაესვას წერტილი.

...სინამდვილეც და არაკიც
სულ სტრიქონ-სტრიქონ დალაგდა,
ტაძარს უგალობს არაგვი,
მზემ ჩაიმუხლა არაგვთან.

ძევახ, სიცოცხლეო ჩემო

დრო რითია უხსოვარი,
თუ ჩვენს შორის დღესაც შვენობს
არმაზიდან ალმომსკდარი:
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"
აქ სხვა ფერი ადევს ბალახს,
მოცვსაც ახლავს სულ სხვა გემო,
ქარიც მღერის წარამარა:
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"
ვინ შეაჭრას მწვანე ფრთები,
რა განგებამ შეაჩეროს
სერაფიტას ნაველრები:
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!",
დამსხვრეულა კერპი ყველა
ალარ შერჩათ არცა ჩერო;
მარტო ერთი ზეობს ღმერთი;
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"
რაც ჩვენ ომებს გავუძელით
და აქამდეც ვმძლეთა ვმძლეობთ,
აჰა, მისი თავფურცელი:
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"
თუ ოდესმე დავიკვნესე,
წამლად მარტო სიტყვას ვრჩეობ -
საქართველო არის ესე:
"ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"

ავთანდილ ედიშერაშვილი

ჩემი მცხეთა

მცხეთას ვეკრძალვი,
ქრისტიანთა ოდით საფიცარს,
უფლის დალოცვილს,
ფარნავაზის ნაკურთხ ამ მიწას.
აქ ასვენია
წმინდა კვართი გულთა მზეობის,
ეს სანუკვარი
განძი არის საქართველოსი.
აქ აღავლინა
წმიდა ნინომ ლოცვა ქართული
და განიბნივა
საოცარი მადლი კვართული.
აქ ლივლივებენ
ქვის ფერები ნამწყაზარები,
დილა-საღამოს
გუგუნებენ ტაძართ ზარები.
სად ანგელოზთა
საუფლოა, მორჭმით სხედან იქ,
საქართველოსთვის
ლოცულობენ ქართვლის დედანი!

რაც მთავარია

ჩემი ქართველობით ამაყი ვარ
და ლაღად ვემთხვევი მცხეთის მიწას...

როცა მართალი ვარ და გულწრფელი,
ჩემი წინაპრების ძვლებსა ვფიცავ.

ყველა ქართველი ხომ ასე არის, -
უყვარს ჯიში და თვისი ფესვები,
სახელოვანი მამა-პაპანი
ახსენდება და გული ევსება.

ოდითგან მოგვდგამს მაღალი დონე
სულიერების,
რაც მთავარია,
ქართველისათვის საამაყოა,
ქრისტეს კვართი რომ
ჩვენ გვაბარია.

ოთარ კანდელაკი

მცხეთური საღამო

მინაზებული ციაგი ფერთა
და გამჭვირვალე ცის ლურჯი თაღი
თან მომყვება და ვშორდები მცხეთას,
მომაქვს თბილისში სურნელი ბაღის.
მომაქვს ცოცხალი ვარდ-ყვავილები,
მამულაშვილთა მამულში რგული
და მომაცილებს, შუქთა მილევით,
საღამო თბილი და განაბული.

გახსენება

გიორგი შატბერაშვილის, ვიქტორ გაბესკირიას, ნიკოლოზ კანდელაკის ხსოვნას.

მიმეჩქარება მცხეთისკენ მაშინ,
რომ სვეტიცხოვლის რეკენ ზარები!
თქვენ სათითაოდ დამხვდებით გზაში
და ნაბიჯ-ნაბიჯ დამემგზავრებით...
ჰა, ვრცელი ეზოც, -
თეთრი ყვავილი
ელიმილება ლოდებს კირიანს...
ხმადაბლა გალობს შატბერაშვილი
და ჩუმად მოთქვამს გაბესკირია -
და კანდელაკი დგება ქადაგად:
"და იყო დავით...
და არსუკიძე ...
ძლიერნი,
მხნენი.
ავის მგმობელნი...
და ეს ტაძარი ისე აკინძეს,
ვითარ ღვთისადმი საგალობელი...
მიტომაც ცხოვრობს სვეტიცხოველი!"

ბესიკ კეკელიძე

მცხეთას

გეფერები, ჩემო მცხეთავ,
ყოვლად ამაღლებულო,
სიწმიდეთა შემნახველო,
ვაზის ჯვარით ქებულო,
არაგვის და მტკვრის ნაერთში
მიწავ დავანებულო,
მთის ძახილო, ქართლის სიტყვავ -
ერთად შეზავებულო,
ბევრჯერ ცეცხლში დაფერფლილო,
მაინც გამარჯვებულო,
უფლის კვართი გაბარია,
ნათლით ზეაწეულო.
ქართველთ სულის საყდარი ხარ,
წმიდა მირონცხებულო,
გეფერები, ჩემო მცხეთავ,
ზეცად ამაღლებულო!

ოცნება სერაფიტაზე

არმაზ-სამთავროსეულ უძველეს სარკოფაგებში აღმოჩენილი ოქროს ქართული სამკაულები განცვიფრებას იწვევენ თავისი იშვიათი ოსტატობით. ისინი მიჩნეულია ქართლის პიტიახშის ასულის - უმშვენიერესი სერაფიტას სამკაულებად.

მსურს გცნო შორეულ წინამორბედად
დიდი თამარის და ნესტანისა,
ო, სერაფიტა, არ მერგო ბედად,
დამყროდა შუქი შენი ტანისა,
ანდა მენახა გრილო იმ ხეთა,
რომელთაც სუნთქვა არხევდა შენი, -
როცა არ იყო სატახტოდ მცხეთა
და არც სამთავროს დარბაზთა ბჭენი,
მაგრამ დარღვეულ სამარხში შლილი,
ათასწლეული ზღვარის აქედან
მეცნობა შენი შორი აჩრდილი,
ჩემს თვისტომიან მოქალაქედა,
შენი ბეჭდების ელვა-ნათელი,
დღესაც პირველი შუქითა ბრწყინავს
და განვლილ დროთა ქარით ნათელი
გზა არმაზისკენ იშლება წინა:
ეგებ, წარმართო ქართველო ქალო,
გამოგივლია არაგვისპირად,
ეგებ ჩემს ხმაში შენი ხმაც გალობს,
როცა წინაპრებს ვახსენებ ხშირად!

ეგ შენს დარბაზებს ამკობდა ერთხელ
ჩუქურთმა, როგორც ოქროს ჭაპანი
და ამ ჩუქურთმას ერთგულად ჰკვეთდნენ
ოპიზარების მამა-პაპანი!
მაშ რა ვიფიქრო, ვის შეუქმნია
ეს საგანძური და ნაძერწალი,
რასაც საფლავში ვერ მორევია
ვერც მიწისა და ვერც დროთა ძალი? -
მაშ რა ვიფიქრო, თუ არ მიგიჩნევ
ჩემს წინაპართა წინაპარ ძალად, -
მე ჩემს ტომობას ვერ გავემიჯნე
და გთვლი წარმართად და ქართველ ქალად!
საფლავშიც იქოს - ვინც რომ გაზარდოს
ისეთი შტო და შთამომავალი,
ვინც საამაყო საქმით განაგრძოს
დიდ წინაპართა ფესვი და კვალი!

ვახტანგ ჯავახაძე

* * *

აი ჯვარიც!..
ეს სიჩუმე მიხმობს,
მაინტერესებს,
გადავყურებ
მდუმარებით გაოცებულ ტერასებს.

და დუმილის გალავანი
ხელმეორედ შენდება,
ამ სიმშვიდეს,
ამ სიწყნარეს
არ სჭირდება შენდობა.
ამ დუმილთან
ხმას ვერ იღებს ჩურჩული და ტიტინი,
თხუთმეტსაუკუნოვანი -
დგას დუმილის ტიტინი.
ეს დუმილი -
დღეს თუ არა -
აყვირდება -
ხვალ თუ ზეგ,
და მე
ძველი ქართულიდან
ვთარგმნი
ახალ ქართულზე.

ნოდარ გურეშიძე

მცხეთის ზარებო,
ოშკის ზარებო,
გელათისა და
გრემის ზარებო,

ზარებო -
ჭირთა თანამგზავრებო.
ზარებო -
ლხინთა თანამგზავრებო.
ზარებო -
მტერთა რისხვით მზარებო,
თითქოს ნანგრევებს ზმანება უვლის,
რაღაც უცნაურ ჟრჟოლვით გუგუნებს, -
დღეს თქვენთან ერთად
რეკს ჩემი გული
და ხმები ესმის
საუკუნეებს
. . . . . .
მცხეთის ზარებო,
ოშკის ზარებო...

ელდარ კერძევაძე

ციკლიდან "მცხეთა"

1. ალბათ შეიგრძნო მიწამ პატრონი,
თორემ რატომ დგას ახალი გზნებით
ქარვისფერ დარში ეს თეატრონი
და ბებრის ციხე -
ბებერი მხრებით.

და მიხარია ილვიძებს მცხეთა...
წარსულისა და მომავლის ნებით,
მზისკენ ილტვიან ქალაქთან ერთად -
შემოჯარული ამაყი მთები.
ღმერთი და რჯული, არ ვარ სტუმარი,
სავსე ვარ შენი კამკამა ნამით,
შენი წარსულით,
შენი მომავლით
უკუნისამდე იცოცხლე,
ამინ!

2.

მე მინდა მაშინ მოვიდე შენთან,
როცა არავის არ ელოდები
და გაგახსენო ოქტომბრის მცხეთა,
ჭალა, ტყისპირი,
ყლალი კორდები...
ულამაზესი გაჩვენო ხედი,
ფიქრისგორაზე როცა დავდგებით,
ო, ჩემზე უკეთ ვერავინ გეტყვის
როგორ იწვიან ცაზე სანთლები...

3.

შეხედე, ძმაო, ილვიძებს მცხეთა, -
მარად ძველი და მარად ახალი,
ცას შესდგომია ვერცხლისფერ სვეტად
სასაქართველო ფიქრი მაღალი.
აქ ცასაც თითქოს სულ სხვა ფერი აქვს,
მთვარეც რაღაცა სხვაგვარად ბრწყინავს...
ვახტანგს ხოხობი გამოჰფრენია
და ფრთებით მოაქვს მცხეთაში დილა...

ოძელაშვილის საფლავთან ვდგავარ

ოძელაშვილის შთამომავალი
ოძელაშვილის საფლავთან ვდგავარ.
და ჰყვავის ლურჯი იასამანი,
რომელიც გულზე ებნია თამარს.

შენი ვიყავი, დღესაც შენი ვარ,
მეც ამ არაგვის ტალღამ მატარა.
აქ არსენას რომ აურბენია,
ვერ მიპოვნია ის გზა პატარა.
ოძელაშვილის შთამომავალი,
ოძელაშვილის საფლავთან ვდგავარ.

არსენ

მცხეთის გზაზე შუქად გპოვე,
აჩერებდი ყველა გამვლელს...
მე შენს ძეგლთან დღესაც მოველ,
არც სიტყვები დავინანე.

ვიცი, გაგყვა თან ჭრილობა,
სიყვარული, ხალხის კვნესა,
მაგრამ, არსენ, შენს ბიჭობას
ღმერთი როგორ წაახდენსა!
ქარს მოუსმენ ამბის მომყოლს,
ჩამოვჯდები მე შენს ძეგლთან.
ისევ ვნანობ, ხმალი როგორ
გადაგიტყდა კუჭატნელთან.

სერაფიტა

ქვაში ცრემლი ჩაბნეულა,
შენი ნახვით მზეც ატირდა...
ქვის კუბოში ადრეულად
რა გინდოდა, სერაფიტა!

ჟამთა ქუხილს უერთდები,
შენზე მღერის სიო დილის,
გაგიფანტავს სუროს ფრთებით -
დავიწყების დღეთა ჩრდილი.

ამოჰყევი ცვრიან ყვავილს,
ამოტეხე მძიმე ლოდი,
უცნობი და უნახავი
გულთან ასე როგორ მოდი?

მზის ჩასვლისა გადგა ბინდი,
ვერ დაგფარა რისხვამ წელთა,
მიკვირს, ქალღმერთ ასულისთვის
სიტყვა როგორ გამიძნელდა.

სად ჩაშლილა შენი თმები,
თავს დაგცქერი წერაქვითა,
სიყვარულის სიმღერებით
დაფერფლილო, სერაფიტა!

მზემ სხივები ჩაგაქსოვა,
ხალხის სულმა ამაისა...

ვინ გითხრა, რომ კაცთა ხსოვნას
ასამარებს სამარის ქვა.

ქვაში ცრემლი ჩაბნეულა,
შენი ნახვით მზეც ატირდა,
ქვის კუბოში ადრეულად
რა გინდოდა, სერაფიტა?

ნანა გოგუაძე

ჯვარი

შენი მარადი სიჭაბუკის
არ დაცვდა ქნარი,
ამაყი სული კვლავ გიზგიზებს
ვეფხვისფერ ქვაში,
უუშორეს საუკუნოებს
იყენებ მხარში
და მთის ერდოზე
სპას ისევ აშლი.
ჟამი-ჟამია,
მარადია კვლავ შენი სახე,
იმ უსახელო აღმშენებლის

სახება სახე.
ძველი საუფლოს მოულელი
ძლიერი ფრთა ხარ,
თვითონ ღმერთებსაც გაუჭირდათ,
შენ მტკიცედ დგახარ,
დაცაგლეწია მოშურნენი
მავანთ-მავანი
და ოქრო ტახტად ადგახარ მამულს, -
ჯვრისკიდურ ზეცის თავანი.
ყოფნა-არყოფნის წაშალე ზღვარი,
სამახი დადე,
თვითონ ღმერთივით ამაღლდი და
აღზევდი ცამდე.

გივი ნიჟარაძე

სვეტიცხოველთან

ვერ წარგიტაცა ჟამთა დინებამ
ან ვით შესძლებდა რომ წარეტაცე,
იგი ამაოდ ეცოდვილება
მონასტრებსა და ტაძრებს მძლეთა მძლეს.

თუმცა ჭალარა შენი გუმბათი
ისევ სავსეა იჭვით და რწმენით,
მაინც ამ ცა-მყარს აერთიანებ
ცა ღმერთთან ღმერთის საუბრობ ენით.

გიორგი შატბერაშვილი

იბერის ლექსი

ოდეს მამაცი იბერი,
ცისა და ქვეყნის ასაკის,
ლაღი და თვალებცისფერი,
მცხეთის მახლობლად დავსახლდი;
წელს ხმალი მერტყა ხალიბის,
ხელში გუთანი მეჭირა,
ქვის ტახტზე ვიწექ ყარიბი
ვარსკვლავების ქვეშ მეძინა.
ნათელ თუ წყვდიად ღამეში
ულრანში ვჩეხდი ახოებს,
ხარი მყავდა და კამეჩი
ვეძებდი საბალახოებს.

* * *

მივდექ, დასისხლულ თითებით
მცხეთას ავაგე ტაძარი,
გაღმა მთას ჯვარი შევაბი,
არმაზს ვაფრქვიე ნაცარი...
ოდითგან თრობის მომგონი
და მოყვარული სინათლის,
ურჩი არაბის, მონგოლის,
პარტახში ვაზებს ვწინდავდი.
ვახარე შავფხა თავთუხი,
კაჟით მოვხატე კევრები,
რთვლობას ვაჟურად დავდულდი,
ტკბილით დავავსე ქვევრები.

იეთიმ გურჯი

წინაპრებით ქართველი ვარ

წინაპრებით ქართველი ვარ
მე მცხეთისა კარიდანა,
მათი ცოცხალი ძეგლი ვარ
ვახტანგ მეფის გვარიდანა.

ცქვიტი გულადი შვილები,
ქართველები, ჩვენი ძმები,
ირგვლივ დარაჯად გვარტყია
მაღალი და დიდი მთები.

მეც ვდარაჯობ ჩემი კალმით,
მაგრა ვდგევარ, როგორც ბურჯი,
გაუმარჯოს საქართველოს,
ენაცვალოს იეთიმ გურჯი!

გიორგი ძიგვაშვილი

ზედაზნის ყვავილები

აქ ზამთარშიც ვერ ამოვა ალბათ,
ზედაზენო, თეთრ სუდარის მფენი,
არც გრიგალი დაუბერავს მძაფრად,
არც იტირებს უდედმამო შველი.
მზის მოყვარულს არც სიბნელე გზაფრავს,
ტკბილ შაირებს ჩაგმღერიან ტყენი...
ბრალი არი, რუსთაველის საფლავს,
არ ამკობდეს ყვავილები შენი!..

ნიკო სამადაშვილი

* * *

სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა,
ტაძრის ფრესკები ჟამთა სვლაში დაქვრივდებიან,
არმაზის კერპი კვლავ აღადგენს დანგრეულ ბინას.
ამოგიძოვენ მდორე თვალებს მცხეთის ქარები,
დაგაბრმავებენ, ვინ გიკითხავს, ნეტავი ვინა?
სვეტიცხოველთან გაიხსნება მეფის კარები
და ატირდება, ვინც სოფელი ამოირბინა.

ზაზა კაციაშვილი

მცხეთობა

არაგვის კართან შენ სამოთხის კარნი გახსენი,
გიწოდეს "მცხეთოს", და, აბა, რა გასაკვირია,
წარმართის კერპთან წინაპარი თუკი დახსენი,
ქვითკირი ესე - შენი სისხლის ქვა და კირია.

რაც წამოვზღუდეთ ისტორიით, მოშალა სპარსმა,
სამოციქულო ეკლესია სდუმს მონანავე...
პირველ ქალაქო, უწმინდესად გყო ზენაარსმა,
კვართმა უფლისამ აქ ნეტარი ჰპოვა სავანე.

სასწაულჰყავი სვეტიცხოვლის თეთრი გუმბათი,
არმაზისა და იმ ზე-ვნების აზრთა მტევანო, -
ჯვარით ნინოსი განანათლე ზეცა უმნათი,
ზედა-ძნისა და ზედა ძენის სატახტრევანო.

მთა სარკინეთის მორკინალთა სიმღერას გეტყვის,
აქ ილანდება ქართველოსი... მეფე აზო და...
შენ გახსოვს ადრეც აღზევება, დამსხვრევა კერპის,
ჯვარი ვაზობდა და არმაზი ფარნავაზობდა!..

სვეტთა დიადთა დიადემას ვერ წვდება ადლი,
ჯვარს გადაეგე სასწაულთა სრა-სამორინეს,
ლანგთემურებით იმუსრება თუმც დღესაც მადლი,
გორგასლის ხმალი - სამემკვიდრო - არავის მონებს.

P.S.
ნუგეშინს ვეძებ, შენთვის საფეროს,
ძევ ქართლოსისა, კვლავ შეგთხოვ, მცხეთოს:
აღარც რო მცხეთას, არც საქართველოს,
ასე, ასე კნინ-ყოფა აღარ ემცხეთოს.

საზედაო

"თაყუანის ეც შენ
სუეტსა ცხოველსა,
და მიერ განძლიერებული
მთად აღიწიე ზედაზადენისა".
მსხემი ზედაზადენელი

ცოდვის ნისლი განვიოტე,
საზეადო გავსდე ხიდი,
სიყვარულის ცა მეხურა
მართლმადიდის ხესა ვზრდიდი,
ვიფარე და შემეფარა:
ფარად-შვიდი, ფერად - შვიდი...
მარნის მადლი დამესხურა,
ზედაზენზე ანაზიდი...
ცოდვის ნისლი განვიოტე,
საზეადო ავდგი ხიდი.

ომარ შამათავა

ყვავილთა ეპიტაფია

მიხეილ მამულაშვილს

სიხარბე სჭირდა ისეთი, -
თავისად თვლიდა ყველა ფერს.
ბაღის ხელწერის მიხედვით,
ფერებში იჯდა ყელამდე...

პირველად ვნახე მცხეთაში,
როცა ვარდობის თვე იდგა.

ყანწი შემართა ზედაშით
ოსტატმა ფერთა რთველისამ:
- გულს არ გავიტეხ ჭაღარით,
გული ღვთის მოიმედეა.
სამოთხედ მინდა ბაღნარი,
სუნთქვად - ფერების იდეა!
აქ ყველგან უფლის სულია,
მიწა ცასავით კარგია,
ვიცოცხლებ, ვიდრე სრულიად
მცხეთა არ მომიქარგია...

მას შემდეგ წლებმა გვირილის
ფოთლებით გადიფათქუნეს.
ამშვენებს ცრემლით ტირილი
ვარდის ცირებს და ხათუნებს.
აქ სულმა გაიედემა,
აქ დაეხუჭა თვალები...
ქარი შეფერეს ქედებმა
ყვავილთა ნაფერთალებით.
აქ იდგა, აქ აღესრულა,
როგორც გრძნეული მინდია.
ისტორიაში შესულთან
თავდახრილები მიდიან.

სიკეთის სხივი ნეტარი,
ოცნებასავით სწრაფია,
სამშობლომ გაიცისკარა
მებაღის ბიოგრაფია.
დღეს მის საფლავთან ავსებულ
ვარდნარს "ცის სევდის ტბა" ჰქვია

ესალბუნება ასე გულს
ყვავილთა ეპიტაფია...

...

ვერ აკინძავდა პოეტიც, -
ვარდებით ნაწერ პოემას -
დაბადებული მხატვრადა,-
მცხეთას ფაფურჩქვნილს ნატვრადა.

მცხეთაში პოეტის საფლავთან

მორის ფოცხიშვილის ხსოვნას

იაიებით ლურჯით,
ცრემლით არმაზის კორდის,
შენი კალმით და ფუნჯით
აქ საქართველო მოდის
და სანამ მტკვარი მღერის,
სანამ სიცოცხლე ფეთქავს,
ზღაპრული ბაღის ფერი
არ მოაკლდება მცხეთას.

როცა აპრილი მოვა ქოლგით ალუჩის ხეთა,
ნუშის ღიმილის თოვა გადაგვითეთრებს მცხეთას,
განიბანება თქორით სვეტიცხოველის ხედი...
გერგო, პოეტო მორის, აქ დავანების ბედი.

აქ ნინოს ჯვარი გიცავს,
აქ ჯვრის მონასტერს უმზერ,
მცხეთის ნაკურთხი მიწა
გესალბუნება გულზე

და ჩამოდიან ციდან ანგელოზები მწედა,
ცრემლი უწმინდეს ცვილთა
მკერდზე გეღვრება მცხეთას.

მოჰყვება მცხეთის მირონს შენი ლექსების გემო...
იცი, რარიგად სწირო, როგორ ეომო დემონს.
ისევ ჩაჰბერავ ბუკებს მარადცოცხალთა შორის,
სიმღერის სიჭაბუკევ, ერის მგოსანო, მორის!

მერი ბარნაბიშვილი

მცხეთაში

ძე მეჩვენება, რომ ვიღაცას უზომოდ ვსურვარ,
ამ გაზაფხულით ევედრება
სამყაროს ჩემს თავს.
ეს მღერის მცხეთის სანახებში
ნაპოვნი სურა,
ან სერაფიტა, ჩემს უძველეს
ხსოვნას რომ შერჩა.
ვუნდივარ მცხეთის ახლომახლო
გაშლილ ყვავილებს,
ან იმ ფრინველებს,
ვის ყოფნასაც ვერ შევესწარი,
ვინც კი მცხეთაში ყოფილა და

სადმე წავიდნენ,
და ჩემი ხსოვნა აბოდებდა მთელი ზამთარი.
ვინც ვაზს სხლავდა და პატრონობდა
იმერ-ამიერს,
ვჭირდები ყველას: მცხეთას,
ბოდბეს, ზესკნელს და ქვესკნელს,
სვეტიცხოველი ისე იწყებს
მრავალჟამიერს,
რომ ალბათ, ჩვენ დიდ საქართველოს
დრო კიდევ მოგვწევს.

მარიამ წიკლაური

დგას მცხეთა

დგას მცხეთა... როგორც იოანე,
უფლისკენ გვიხმობს
და მოლოდინით ავსილა მტკვარი.
აქ მეცხრე ციდან
სულიწმინდის გადმოდის ძალა
და როგორც მტრედი,
მთის კორტოხზე შემჯდარა ჯვარი.

წმინდა სამების განცხადების
დაუდგამთ ძეგლი
არაგვისა და მტკვრის შესაყართან
ეჰაა... როდიდან,
მარადს სიკვდილის სიო დანებდა
და მეჩვენება სვეტიცხოველი,
ვით მაცხოვარი,
დგას ამოსული იორდანედან...

მურად მთვარელიძე

ერთი დღის მოგონება

გახსოვს მცხეთა?- როგორ გვსურდა
იქ ორივეს დარჩენა,
სვეტიცხოვლის დანახვაზე
რომ აგვტკივდა მარჯვენა...
გახსოვს? - რაღაც გვაწვალებდა,
სიყვარული კი არა,
ჯვარმა ერთად გაგვახსენა
მაშინ ყველა იარა...
ზედაზენზე მზეს ვკოცნიდით,
არმაზს ვკოცნეთ ირემი,

შემოგფიცე: - შენი ტრფობით
კვლავაც გადავირევი...
საგურამოს გზაწვრილებიც
ფართოდ გადაშლილია,
იმ ხეებთან ძველებურად
ისევ სუნთქავს ილია...
გახსოვს მცხეთა? გვაწვალებდა
სიყვარული კი არა...
ჯვარმა ერთად გაგვახსენა
ფერწასული იარა...

* * *

დგანან, ელიან ხეები ქარებს,
მინდვრებს ცის ნამი ადნება თეთრად,
ცის ტახტრევანთან მფეთქავი ჯვარი
წამოფრენია უბიდან მცხეთას...

* * *

რა მენატრება?
ახლა ვიყო ბიჭი ფხოველი,
რომ ხელმეორედ ავაშენო
სვეტიცხოველი...

ბიეტა აბშილავა

მცხეთა

ეამბორება არაგვი მცხეთას,
ლოცვით მზე სხივებს მტკვარში ასველებს,
იხსენებს ტანჯულ, ცრემლიან დედას,
კედლებით ჯვარი წარსულს ასვენებს...
ოხრავს წარსული ჩაფლული ბნელეთს...

ვაჟა კოზმანაშვილი

ქალაქი ჩემი

დილის ემბაზში
ბრწყინავს ვარაყით
ბაგინეთის მთის
კლაკნილი თხემი.
დღეს მცხეთობაა,
სინათლის მღვრელი,
მადლით მოსილა
ქალაქი ჩემი!

* * *

ბაგინეთის რკალს
ალმასად უჩანს
მარადისობის
გამძლები მცხეთა...
ამაყად მივდევ
დავითის ქუჩას,
სვეტიცხოველი
აღმავლენს ღმერთთან.

ნუგზარ ზაზანაშვილი

მცხეთის ჯვარს

მონუსხულივით ისევ შეგცქერი -
უშენოდ ჩემი ყოფნა ფუჭია,
მაღლა დგახარ და რკინის ფესვებით
სრულიად ქართლი ჩაგიბღუჯია.
კი არ აგაგეს, კი არ აღგმართეს,
ამოიზარდე თვითონ მიწიდან.
ისევ მოვდივარ მძიმე აღმართში -
ანდამატივით ისევ მიზიდავ.
და თუმცა თვალი გიჭირავს ცისკენ,
ბევრჯერ მაცდური იდგა ამინდიც.

შენ შეგიყვარდა ეს მიწა ისე,
რომ ველარ დათმე, ველარ გაფრინდი.
შენ ყოველივე ნახე და გესმის,
შენ ხატიცა ხარ და შემოქმედიც,
პატიებას გთხოვ, რომ ერთი ლექსი,
ულირსმა შვილმა, მეც შემოგბედე.
შემოგბედე და მუხლზე ვეშვები -
უშენოდ ჩემი ყოფნა ფუჭია,
მაღლა დგეხარ და რკინის ფესვებით
სრულიად ქართლი ჩაგიბღუჯია.

აკაკი ვასაძე

ზედაზენს

ციკლიდან - "გამხელა"

სულს შვება თუ სურს - ადი ზედაზენს
და გადაჰხედე ძირს გაშლილ ტაფობს,
და დარწმუნდები: მთელ ქვეყანაზე
მზის სხივი ასე არსად კიაფობს.
მთა თითქოს დასწყვეტს მიწის ჯაჭვებს და
გადაიქცევა მფრინავ ხალიჩად, -
თეთრი ღრუბელი ფეხქვეშ გაწვება,
ამოინთება გულში ხალისი

და ტაძრის ბჭედან შვიდფერი ხმები
შემოგეხლება - მლოცველი სულის...
იქ, როცა გვიან შემოდგომაზე
ხეებს ფოთოლი ზედ შეახმება
და ჩამოწვება გარშემო ბური -
მაშინაც გალობს ხმა ზედაზნური.

დიმიტრი კორძაია

* * *

თუ სიყმისეულს ისევ ვერძნობ ძალას
(მე უფალს შევთხოვ, ცოტაც მაცხოვროს), -
მსურს მცხეთის ჯვარზე გიძღვნიდე სალამს,
რომ მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

გადასახდელი მაქვს შენი ღალა
(ვინძლო, იმქვეყნად ღმერთმა მაცხონოს)...
მსურს ზედაზენზე გიძღვნიდე სალამს,
რომ მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

მალე ეს ძვლები მიწაში ჩავა,
სანამ ვარ - შენზე რითმა ვაცხოვლო...
მინდა მცხეთაში გიძღვნიდე სალამს
და მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო.

წამო, წავიდეთ წილკანში

წამო, წავიდეთ წილკანში,
მოვწყვიტოთ მარწყვი წითელი
ზედაზნის თეთრი ღრუბელი
თურმე აქ ბადაგს იწველის.
ლურჯი არაგვის კალმახი
თურმე მარტო იქ ყუჩდება,
ციდან ჩამოდის ვარსკვლავი
და იქ ლოცულობს ბუჩქებთან.
იქ თურმე მთვარის ბილიკზე
ოქრო და ვერცხლი იღვრება,
წამო, ვეწვიოთ, განთიადს
წინ შევაგებოთ სიმღერა.
ტყეში ფოთლების ნაჟური
მკერდზე ვისხუროთ პეშვებით,
მე გეტყვი გულის ხვაშიადს,
შენ - ვარდად გადამეშლები.
ეგ ბროლის ბაგე გახსენი,
ჩემს გულს აბა სხვა რა უნდა.
შენს სიტყვებს ქარი აკრიფავს
და დედა - თბილისს ჩაუტანს.
არ გვინდა, მერცხლებს ნუ ვეტყვით -
წამოვლენ აყალმაყალით.
მტკვრისა და არაგვის ტალღა
იქნება ჩვენი მაყარი.

ოლეგ გველესიანი

მატარებლიდან

მზის ჩქერალებში გამოჩნდა მცხეთა,
შემომსხვრეული ფარ-მუზარადით,
ვერ მოვასწარით უკან მოხედვა,
ჩამოგვეცალა გზიდან არმაზიც.

...და თვალებს შერჩათ ბებერი ჯვარი
ცისა და მიწის ერთგულ მსახურად...
უკან მოგვდევდა დაღლილი მტკვარი,
ქარმა არაგვის წვიმა გვასხურა.

ეკედლებოდნენ ფიქრები წარსულს,
ათასნაირი თეთრი ზმანებით,
შემოვდიოდით დილით თბილისში
და გვაცილებდნენ მცხეთის ზარები.

ღამე მცხეთაში

გადაუვლია აქ ათას ქარებს
ანგელოზების სხვა ლიტანიას...
ჩამოვარდნილა არაგვში მთვარე
და ფსკერზე ზეცა ჩაუტანია...
ზედაზენიდან კივის ხოხობი,
მთებს მდუმარების კაბა აცვია...

ვარსკვლავებიან სივრცეს მოხომლილს
ზეცაში ჯვარი გაუტაცნია...
მიძინებია ბაგინეთის მთებს...
ბებერ არმაზსაც მიეძინება
სვეტიცხოველი თეთრ ღამეს ათევს,
"ღმერთმა ინება"...
ტაძარს უნთია გულში ხანძარი,
ხელაპყრობილი კვლავ ილოცება,
გადაფერფლილა, როგორც ნაცარი,
მოჭრილ მარჯვენზე მძიმე ოცნება.

მცხეთასთან

რამ დაამშვიდა
არაგვი ასე?
ნაწრთობი, ნაბრძოლი
ღორღიან გზაზე,
მძვინვარე, ამაყი,
მშფოთვარე მარადის,
რამ გააჩუმა არაგვი ასე?
და თურმე ნუ იტყვით,
აქ რა ემართება,
რა მოუვიდა
მდინარეს რიხიანს?
არაგვი ქედს უხრის
მცხეთასთან მაღალ ჯვარს
და სვეტიცხოველის
უსაზღვრო რიდი აქვს.

ჯვრის მონასტერთან

ქარი მოდენის ღრუბლების ფთილებს,
მზე ნაიარევ ჩუქურთმებს კოცნის.
ღმერთო, მამულზე ლექსს ნუ მომილევ,
ღმერთო, ნუ დამღლი მამულზე ლოცვით!

გაცრეცილ ფრესკის იდუმალება
სულში ჩამწვდება და გამაჟრჟოლებს,
ქვათა დუმილში რა იმალება -
წელთა მიღმა და ჟამთა სიშორე.

და მიმორჩილებს შენი კედლები,
ეს სითამამე არ დაბერების...
მეც შენს სიმაღლეს მივეკედლები,
შენს ნაიარევს მოვეფერები.

"მორბის არაგვი, არაგვიანი",
ისევ შმაგი და ისევ ჭაბუკი,
სვეტიცხოველთან გრგვინვა დამცხრალა
და ზედაზენზე - ნისლის ქარბუქი.

თენგიზ ჩალაური

თებერვლის განთიადი მცხეთაში

ღამეს ცივ მკერდზე ესვენა ჯვარი,
ფრთებშემომსხვრეულ თეთრი გედივით
და ქვითინებდა თაღებში ქარი,
ვაჟებდახოცილ დედაბერივით.
ეხურა არმაზს მანტია მრუმე,
როგორც გარდაცვლილ ათასწლეულში
და მობობღავდა არაგვი დუნედ,
ვით სისხლი ჯვარცმულ ქრისტეს სხეულში.
ცხოველ სვეტს ეცვა ცარცნარევ ხავსის
თეთრი სუდარა, დამღა თარეშის,
სახით გარდაცვლილ მღვდელ მთავრის მსგავსი
უწმინდესი და უნეტარესი.
ღვთისმშობლის თვალთა ფერმა ჰქმნა ზეცა,
განჭვრეტილ სიზმრად იქცა სენაკი,
ხმამ ღაღადისმა ალხინა მცხეთა -
"შენ ხარ ვენახი... შენ ხარ ვენახი..."
დათოვლილ გუმბათს სხივი ავარდა,
გაინავარდა ქართლის ტყე-ველზე
და ღამე - ავი, შავი ავაზა,
მზის ლომმა დაბდღვნა საკურთხეველზე.

გახედე მცხეთას

წინათქმა

ამაღლებულა მწირ მთებზე ჯვარი,
დაუბერტყია მცხეთაზე კალთა.
ასე ტალღებზე მაღლდება ნავი
და ქარიშხლებზე ფრთებსა შლის აფრა.
თუ რამე მეთქმის, მე შენზედ მეთქმის,
ქართული სული შენ ჭერქვეშ ბუდობს
და არ გაქვს ნება, ბატონო, სევდის -
შენ ნახე უკუქცეული ურდო!

იწვოდა თბილის-ქალაქი, მცხეთა...
შენ გახსოვს, როგორ დაინგრა გორი,
ეკლესიებში ჭიხვინი ცხენთა,
ნაომარ ველზე - სვავი და ქორი.
ჩამოქცეული მტკვარზე ხიდები
და დადებული პირზე ლაგამი,
მოჭრილ თავების პირამიდები,
თავმოჭრილების შურის საგანი.
არმაზის ციხე და ზედაზენი -
ალმოდებული თივის ზვინები.
აქ გადიჩეხა მონღოლის ცხენი,
სვეტიცხოველში ნაჭიხვინები...

თუ რამე მეთქმის, მე შენზედ მეთქმის,
ქართული სული შენ ჭერქვეშ ბუდობს,
თელილო ფლოქვით, თელილო ჩექმით,
დღეს ჩამოიხსნი დუმილის ურდულს.

დასაწყისი

მცხეთაში, სადაც ცხოველი ხეა,
მტკვარზე არაგვი მოდის ჭენებით,
ჯვარი აღეპყრა ღვთისმშობლის მხევალს,
მხრებზე ეფინა ცისარტყელები.
- რისთვის მოსულხარ შორეთით მხარეს,
სადაც არავინ გყავს ახლობელი?
- უნდა დაემხოს არმაზ და ზადენ!
იყოს სვეტი და ჯვარი ცხოველი!

შეძრწუნებული უცქერს მცხეთელი,
ვით ესიტყვება მეფის მტევანი,
სკდება არმაზის ტაძრის კედელი
და ღრუბელს მოაქვს მუხისტეხანი

- მე მოსული ვარ შორეთით მხარეს,
წილხვედრილია ჩემი რომელიც,
უნდა დაემხოს არმაზ და ზადენ!
იყოს სვეტი და ჯვარი ცხოველი!

მიხეილ ლერმონტოვი

მწირი

(ნაწყვეტი პოემიდან)

სად მტკვარს არაგვი ტალღათა ტყორცნით
გადაჰხვევია, დასავით ჰკოცნის,
სად ორივ სჩქეფენ შერთულად მდენი,
ჯერ არ წასულა მრავალი წელი.
იქ მონასტერი ყოფილა ძველი,
რომლის დანგრეულ კარიბჭის სვეტებს
მთის ძირს გამვლელნი ეხლაცა სჭვრეტენ.
ქონგურ-ბურჯები, ტაძრის თაღები
მოსჩანან, მგზავრთა თვალის წამღები,
იქ ნელსაკმევლის აღარ დის ბოლი,
საცეცხლურიდან ხვეული რგოლი,
არ ისმის ღამით ბერთა გალობა,
რომ ღმერთსა სთხოვონ ჩვენთვის წყალობა,
ნანგრევთ დარაჯად ეხლა იქ არი
მხოლოდ ჭაღარა და ცოცხალმკვდარი,
მოხუცი ერთი მთლად ჩამომდნარი,
დამივიწყაო სიკვდილმა, ჰგოდებს
და მტვერს გადაჰგვის საფლავის ლოდებს...

თარგმანი ბ. ხოსიტაშვილისა

მიკოლა ბაჟანი

ზედაზენზე ასვლა

ირაკლი აბაშიძეს

წინ მიგვიძღვოდი, აკვნესებდი ტკბილად სალამურს.
ზედაზნის გზაზე შემოდგომა ზეიმს მართავდა.
ტაძრის ზღურბლამდე მიგვიყვანა მალე აღმართმა
და მოწიწებით მივეახლეთ კედლებს დაბზარულს.

უკან ჭრიალით მოიხურა ძველი ჭიშკარი
და სიჩუმეში სალამური ატირდა მწარედ,
თითქოს შროშანის ყვავილებმა დაფარეს არე
და საგურამოს მბრძანებელთა კერა მიმქრალი.

ძველი ტაძრიდან, სარკმლებში რომ შერჩა ლაჟვარდი,
გურამიშვილის წინაპართა აკლდამებიდან
აიჭრა ჰანგი, სიმაღლეებს არ დაერიდა,
აფრინდა ცაში, თეთრ მიმინოდ გაინავარდა.

ზედაზნის ტაძრის წახნაგებმა გვირგვინი დაწნეს,
თეთრი გუმბათი შეებრძოლა მედგრად უკუნეთს.
სალამურის ხმამ, ტყის შრიალმა, ქარის გუგუნმა
მხნე წინაპართა სიჩაუქის ამბები გვამცნეს.

შენი სიმღერა ციურ ჰანგთა დარად ისმოდა -
მარადი ხოტბა გმირობის და ბედნიერების -
და უძველესი ხალხის ენის მეღერი ბგერები
მდინარის ტალღად მიერთვოდა მარადისობას.

ხოროლის პირას მდგარ ხატაშიც ამგვარად ჟღერდა
ქართული სიტყვა - ერის სიბრძნის თავი და თავი,
როს ეწვეოდა შორეული სამშობლოს სევდა
აღსასრულის წინ სარეცელზე მიჯაჭვულ დავითს.

გურამიშვილი მირგოროდში სულს ლევდა, ალბათ,
აგვისტოს თვეში, სწორედ ასეთ ცვალებად დარში,
და ჭირ-ვარამზე, ქართველ მგოსანს რაც ერგო მაშინ,
ახლა ირაკლის სალამური ყვებოდა ამბავს.

არაგვის პირას ქარი ხეებს მიწამდე ზნექდა,
ბანს მოგძახოდნენ შორეული ქუხილის ხმები...
შენ მიაწვდინე სულთათანა ზედაზნის ზეგანს,
დავითის დარდი ძველ ტაძრამდე აზიდე მხრებით.

ეს იყო ცხრაას ოცდაცხრამეტს...
მალე, სულ მალე
სალამურის ხმა შენ შეცვალე მგზნებარე ლექსით,
სადაც გრიგალი მძვინვარებდა, ელავდა ალი
და გაისმოდა ომის მსხვერპლთა დრტვინვა და კვნესა.
ახლა გმირობას განადიდებ უხვი მელექსე -
თავად ვაჟკაცი, ხან მომლხენი, ხან სევდით მთრთოლი...
შენ საქართველოს მეხოტბე ხარ უპირველესი
და ხალხთა ძმობის სიმღერაშიც არა გყავს ტოლი.

გურამიშვილის თარგმნისას

გამოსცდა მცხეთას, ჯერ არ ენთო მთებში ცისკარი,
გამოიარა ხეობები და ტყის პირები,
მშვიდობიანად მინდობილი და უშიშარი
შემობაკუნდა ჩემს ეზოში ლაღი ირემი.
მე ვეფერები, რბილ კისერზე მივადებ ლოყას,
ღიმილით ვუწვდი ხელისგულზე დაყრილ ნამცეცებს,
მოშივებული ქვამარილის ნატეხებს ლოკავს
და თვალს დროდადრო შემკრთალივით ირგვლივ აცეცებს.
მისი აქ მოსვლა მატყობინებს, რომ საბურველი
უკვე აჰხადა ზეცას მთებში რიჟრაჟის შუქმა,
იმ გარიჟრაჟის მოჰყვა ჩემთან ირემს სურნელი,
ახლა მშვიდად რომ შეექცევა ამ მცირე ლუკმას.
მე დავეჩვიე მის სტუმრობას ადრიან დილით,
როცა თავს ვაღწევ ნებიერი ძილის ცდუნებას,
ჩამესმის ხოლმე სიზმარეულს ნაბიჯი ფრთხილი,
მაღვიძებს მისი აივანზე გაბაკუნება.
მოდი, ქორბუდავ, დაარღვიე იდუმალებით
სავსე სიჩუმე ჩემი სახლის, ამ მყუდრო ოდის,
მე მხიბლავს შუქი მოელვარე შენი თვალების,
ჩემკენ რომ ასე შორეული სიღრმიდან მოდის.
თვალს თვალში ვუყრით მინდობილად მე და ირემი
და თავდაპირველ არსთა სიბრძნით გავიმსჭვალებით,
ერთიმეორის ფიქრში უხმოდ ჩავიძირებით
და პირუტყვის აზრს ვწვდები მშვიდი კაცის თვალებით.
დავიწყებული კვლავ აღსდგება ის ჰარმონია,
ერთდროს ჩვენ შორის რომ ყოფილა, მას ვუბრუნდებით,
ცხოვრების იმ აზრს, სამყაროს რომ ერთდროს ჰქონია,

და ერთადერთი ის ყოფილა აზრი ბუნების.
რა პირველქმნილი, რა სინედლის ასდის სურნელი
დილას, მინდვრებზე მზის სხივების პირველ გაფენას,
მთის განთიადო, რა ტურფა ხარ, რა სასურველი,
ვსვამ შენს ცივ სუნთქვას, ვით სიხარულს და აღმაფრენას.
ბოლომდე შევსვამ გასაოცარ ამ ნეტარებას,
რომ შვება მივცე ჩემს გულს, დაღლილს დარდით თუ ურვით,
გამიგრილებენ შუბლს დაძრული მთიდან ქარები,
მთის წყაროები მომიკლავენ მოუკლავ წყურვილს.
მწვანე ბალახიც მაღლა იწევს ცისკენ ოცნებით,
მთიდან ბარისკენ მზე მხივების ისრებს მომართავს,
ვით ახლობელის სახლს, ჩემს მყუდრო სახლს ისევ მოძებნის,
მოდის ირემი ჩემთან ისევ, ვით მეგობარი.
ჩემო ირემო, შენი მზერა, მშვიდი და წყნარი,
უხმო ნუგეშს ჰგავს უსიერი ტყეების ხიზნის,
მზის ერთადერთი ოქროს სხივი, ვით ოქროს ზარი,
მოგაქვს მთებიდან ნობათად და ზედ რქაზე გიზის.
ეს სხივი არის მცხეთის ნათლის გამონაკრთომი,
დღის გათენების მახარობლად გამოტყორცნილი,
იგი მაღალ მთებს გადმოევლო ირმის ნახტომით,
რათა წყვდიადი ძირს დაეცა ბოძგამოცლილი.
მე მზის ყოველ სხივს თაყვანსა ვცემ მსგავსად წარმართთა,
წკრიალებს სხივი, ხმა ჩამესმის მრავალხმიანი.
ღვთიური ჟღერა ლექსის სტროფთა ჟღერამ გამართა,
თუ ტალღებს გააქვთ ჩვენს სიზმრებში სადღაც ჩხრიალი?!
მე მესმის ენა, როგორც გრძნეულ ვაჟას მინდიას,
ყველა ფრინველის, მცენარის და ყველა ცხოველის,
მესმის, ირემო, რაც უსიტყვოდ შენ გაგინდვია
ჩემთვის, და შენი საიდუმლო ვიცი ყოველი.

ჩავცქერ მდინარეს, როგორც თვალში ჩავცქერი ირემს,
მზის შუქზე რომ ჩანს წყალში, ჩემი ანარეკლია,
შევიცნობ ვაჟას სიმაღლეს და რუსთველის ძირებს
და დავითის გზას, შორს დაკარგულ გზას ნარეკალიანს.
ქართლს სიჭაბუკის ხანა უდგას; უხვად რომ მოსჩქეფს
მისი მთებიდან, უკვდავების ჩანჩქერებია,
დრო ისევ აწრთობს მის სულს, სიტყვას, მის ციხე-კოშკებს,
მაჯა და სუნთქვა არასოდეს გაჩერებია.
მე ვეწაფები უკვდავების ამ უხვ წყაროებს,
დაე, ჩემს სხეულს მათი ჟრჟოლა ჯანში უვლიდეს,
მე ვსვამ და მჯერა ამ წყაროსი, რომ მიწყალობებს
ძიების, სწრაფვის, ქვეყნის მოვლის წადილს უდიდესს.
წყურვილმოკლული წამოვდგები, და ვგრძნობ, ძარღვები
როგორ ივსება, სისხლი, ღონე როგორ გროვდება,
ხელში ავიღებ დავითის წიგნს და შორს წავყვები
მის მზიურ სიზმრებს, ნათელხილვას, მოთქმა-გოდებას.
გავყვები თერგის ტალღებივით მის მძლავრ სტრიქონებს,
მგოსნის სატრფოს ლანდს, შორეთში რომ ბევრჯერ ინატრა,
კავკასიონის მწვერვალებზე რომ გადიქროლებს
და დამკვიდრდება მის სიზმრებში მუდმივ ბინადრად.
უკვე შუადღის მზეს ზენიტზე დაუდგამს ტახტი,
ჩემი ირემი ისევ თავის მთისკენ წავიდა;
მე ვებრძვი სიტყვას, მინდა რითმა ვიპოვო ნაღდი,
ათჯერ დაწერილს ვშლი და ვიწყებ ისევ თავიდან.
ვხედავ აშკარად უღონობას ჩემსას, ვერ ვმალავ, -
ნუთუ ესოდენ უძლური ვარ სიტყვით, აზრითა?!
ნუთუ დავითის ლექსის ცეცხლმა ან სიცხის ძალამ
დაჩაგრა ჩემი სულის ცეცხლი, ასე დაშრიტა?
მაინც ვებრძოდი სიტყვას - ძალაგამოლეული,

მსურდა - დავითის ლექსსაც ვეცნე თავისიანად,
უცებ ჩამესმა ნაბიჯების ხმა შორეული
და ბალახებზე წამით ჩრდილმა გაისრიალა.
მეგობრის მოსვლა ამ დროს გულით უნდა ინატრო,
თითქოს მან ჩემი განსაცდელი უკვე იცოდა,
მოვიდა იგი, თვალდავსილი და უსინათლო,
და დახმარების ხელი ძმურად გამომიწოდა.
თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა

თარგმანი გ. აბაშიძისა

ედუარდას მეჟელაიტისი

მცხეთა

ო, ჩიტო, მჩატე გუნდავ ბუმბულის,
მთაც შენკენ, ზევით ისწრაფვის ურჩად,
სადაც აბრისი მარადი სულის
ძველი ტაძარი ირხევა ლურჯად.

ფრიალო კლდეზე, როგორც ნუგეში,
ოსტატის ხელით ამოტანილი,
უკიდეგანო ცის სილურჯეში,
ჩანს სამკუთხედის მახვილი ტანივით.

აქ, ვარსკვლავებთან, ჩიტებთან ცაში,
როგორც კოსმოსის გრაგნილის გაშლა,
პრომეთეს აზრის კოცონის ხმაში,
უსასრულობას ჰკიდია დაშნად.

ჩვენი გზა - ჭერი მასშია მხოლოდ,
უტყვ სიმღერათა ჩუმი ნაღველი,
ალფას საწყისი, ომეგას ბოლო
და ტრაგიკული ნიღბის ნახევი.

მასში ბავშვია, მაგრამ ყოველთვის -
ფარული სევდაც ვაკქანალიის
და ჭლექიანი მავან პოეტის
ნაოცნებარი ლურჯი ყვავილი.

ხოლო ტაძარი, როგორც ისარი,
ქორის საფრენზე არჭვია ქარაფს.
დემონმა შეხსნა დუმილის კარი
და მგრგვინავ ბანით სამყაროს ზარავს.

თითქოს ყაზბეგის სხეულს ეკვეთა,
ომეგას ხრამებს ქვითინით აკრთობს -
მოულოდნელად თუ შეეფეთა
თამარს, ყველაზე ბრწყინვალე მნათობს.

ქარი კი ნაჭედ კარებთან ახლოს,
უდრეკი სწრაფვით მკითხაობს უხმოდ,
შავ ანგელოზზე ტირის და ნაღვლობს.
და სევდიანი სიმღერით უხმობს.

და მრავალხმიან ჩვეულ სიმებით
იქით ჰქრის, სადაც უზარმაზარი,
ვით პირამიდა ანდა იმედი,
მთას იდუმალი ადგას ტაძარი.

ნეტა კვლავ როდის მიხმობს ჩინარი,
სიმზრების მხუთრში მთვლემი ყაყაჩო,
თამარ, ბნელში რომ გავუჩინარდე
და მელნისფერმა ფრთებმა დამახრჩოს.

თარგმანი ვ. დადიან

ვლადიმერ ბეეკმანი

ჯვარი

დგას ეს ქვის ბუდე ზედ არაგვთან,
გზაჯვარედინზე.
დასერილი აქვს თითქოს მჭრელი დანით სხეული.
ათასხუთასმა წელმა ლეწა აქაურობა,
მაგრამ ქვა იდგა,
ვითარცა ქვა - გაქვავებული.
ტაძრის გუმბათის ნაბზარები
ჰგავს კლდის ნაპრალებს.

მათ შეიწოვეს შადრევნები -
ზევით ატყორცნილ
საეკლესიო საგალობელთა -
ჩანან მცხეთური
შენობები, კვამლით ნაბური,
კვამლით - ჯიუტად რომ მიიწევს
მაღლა და მაღლა.
ჯვარი!
შეგარქვა ეს სახელი მქროლავმა ქარმა.
ხელი მიეცი კავკასიონს
და მხრიდან თოვლი ჩამოიყარეთ ათასხუთასი
წლის მზის წინაშე. ტაძრის ნაპრალებს
მზე ერჭობა, როგორც მახვილი,
ქარი ეჭრება უმოწყალოდ..
მოულოდნელად,
როგორც ჭკვიანი ღვთაებანი, -
თვალთუხილავად
მაღალ თაღიდან ჩურჩულებს ღმერთი.
განა ქართულად, ან რუსულად,
ან ესტონურად, -
რაღაც არსმენილ
მსუბუქფრთოვან ენით ღაღადებს,
რაც შენ თვითონვე უნდა გაიგო,
თუ გინდა მისწვდე
მარადიულ თოვლის მწვერვალებს.

თარგმანი ჯ. ინჯიასი

თქმულება ბებრისციხეზე

ბებრისციხესთან შემოგვაღამდა
რუსთველის ლექსით დამწვარ ჭაბუკებს,
დაღამდა, მაგრამ მთათა მაღალთა
გვიანი შუქი ისევ აშუქებს.
მხოლოდ არაგვი ისევ ღრიალებს,
ისევ ტრიალებს ბულის ალმური,
ბევრი ვიარეთ, ვიხეტიალეთ,
ვნახეთ ჟინვალი და ანანური.
აქ საოცრება იყო ყოველი
და როცა ქართველ მეგობრებს ვხედავ.
მომაგონდება სვეტიცხოველი,
დაუვიწყარი ჯვარი და მცხეთა.
ან ის შეხვედრა იმღამინდელი
რამ დამავიწყოს, ძველო არმაზო,
წყალი გვწყუროდა და მასპინძელი
ფიცით ამბობდა - წყალი არ გვაქვსო, -
გამოგვიტანა სავსე ხელადა,
ღვინოს კი არა, მზისნაწურს ვსვამდით
და მერე ცისკრის გასახსნელადა
ჩვენი სიმღერა ავიდა ცამდე.
მაშინ მიამბეს ერთი თქმულება,
იმას ფანდურზე მოთქმით მღერიან,
ბევრი თქმულება ჩამიწერია,
უფრო ლამაზი არ მეგულება.

ქართლს შეესია მტერი გულშავი,
მოაქვს სიკვდილი კბილებდალესილს,
ბებრის ციხეში სტირის შუშანი -
მეფის ასული ულამაზესი.
ასჩეხეს ვაზი, იწვის სოფელი
და ქალს გულს უკლავს ხალხის გოდება.
როგორც აფთარი, დაუნდობელი,
ურდო მცხეთის კარს უახლოვდება.
მოაქროლებენ უბელო ცხენებს.
და დედამიწა შიშით კანკალებს,
არ მოისვენებს, არ მოგასვენებს,
ჩვენი სწყურიათ სისხლი ხაზარებს.
მაშინ ასული ეტყვის საფიცარს
მიწას, რომელმაც გვშობა, გაგვზარდა,
- ციხეთა ციხე თუ ვერ დაგვიცავს
და უნდა გავხდე მონა ხაზართა.
თუ გვძლია მტერმა და ღვთის განგებით
მე სამარცხვინო ბედი მომელის,
მაშინ ქალი ვარ, ცრემლად დავდნები,
რომ შხამად იქცეს წვეთი ყოველი.
იქცეს ნარცეცხლად, შხამად, ნარეკლად,
რომ მტერს ყველა გზა დახვდეს შეკრული
ცრემლი ქარცეცხლად, ცრემლი ნარცეცხლად,
ეგებ გადარჩეს მცხეთა, ბედკრული.
მაგრამ ახლოა ჭიხვინი ცხენთა,
ბებრისციხესთან ავარდა მტვერი,
დაეცა ციხე, დაიპყრეს მცხეთა
და გამარჯვებას ზეიმობს მტერი.
გამარჯვებული და თავგასული

როგორც კალია მოედო ველად,
დატყვევებული მეფის ასული
სწრაფად მიჰგვარეს ხაზართა ბელადს.
როგორც თავის სწორს და არა მონას
წინ შეეგება მხედართმთავარი;
- მეფის ასულო, რამ დაგაღონა,
შენი სამშობლო, შენი მთა-ბარი,
თუ გსურს იხილო თავისუფალი
და შეწყდეს ჩვენი მტრობა და ბრძოლა,
ულამაზესი ქართველი ქალი
მინდა ხაზარეთს გამომყვე ცოლად.
მაშინ, ასულო, ბრძანებას შევცვლი
და რაც მომხდარა, აღარ მოხდება,
არ ავარდება მცხეთაში ცეცხლი,
  შენი სამშობლო არ აოხრდება.
ლაშქარს გავიყვან საქართველოდან
და შენ დაგადგამ დედოფლის გვირგვინს... -
გათენებამდე პასუხს ელოდა
და მოთმინებას ჰკარგავდა იგი.
- მე თანახმა ვარ, - უთხრა ასულმა -
ოღონდ აღსრულდეს ბრძანება შენი.
და ჰა, მცხეთიდან უკვე წასულან,
აღარ ჭიხვინებს ხაზარის ცხენი.
ცეცხლი არა ჩანს, შეწყდა თარეში,
ურჯულოებმა ჩააგეს ხმალი
მიდიან, მიჰყავთ უცხო მხარეში
დაღონებული ქართველი ქალი.
და როცა საზღვარს მიუახლოვდნენ,
დასასვენებლად შეჩერდა ჯარი,

გახედა ქალმა ქართლის მაღლობებს
თავს დასდგომია მზიანი დარი.
- თავისუფალი მიწა ხარობდეს,
ისევ აივსოს ხვავით, ბარაქით,
ისევ ამღერდეს და არასოდეს
ტყვედ არ მენახოს ჩემი არაგვი.
შენმა სახელმა მარად იდიდოს,
მე კი არ მინდა ოქროს გალია, -
სთქვა და ბეჭედი პირზე მიიდო
და სასიკვდილო შხამი დალია.
ასე დამთავრდა ძველი თქმულება.
თენდება, სადღაც ყივის მამალი,
ხალხის სიყვარულს და ერთგულებას
გამოუზრდია გმირი მრავალი.
ჩვენ გავაღვიძეთ მათი ლანდები,
ვინც არ გამქრალა ქვეყნად უკვალოდ,
ასჯერ მოკლული ისევ აღვდგებით,
რომ ისევ მოვკვდეთ შენთვის უკვდავო.

თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა

საგურამოს ცისარტყელა

ის ცისარტყელა ღრუბელთ
ბორცვებზე
იდგა სულ ახლოს, გაშლილი
ფრთებად,
ისე, ვით ხიდი ზღაპრულ ბოძებზე,
ძმა-მეგობრების შემაერთებლად.
ოქროსფერ წვიმის წვეთები
თბილი
სჩქეფდნენ ფოთლებზე,
ანამღერები.
თვითეულ ფოთოლს ათრობდა
ლხინი,
აფრქვევდა ცრემლებს
ბედნიერებით.
ღრუბლებს სიამე სწვეოდათ
მწველი,
მიჰკროდნენ მკერდით მთების მწვერვალებს,
შორით არაგვი ნათელი ხელით
თითქოს უხმობდა ადამიანებს.
ჭექა-ქუხილი გორს
სცილდებოდა, -
იქ ცა მოლურჯო ზღვასავით იწვა.
და ხოხბის ყელის ფერი ხდებოდა
ჩვენს ირგვლივ სივრცე და
დედამიწა.

და შუქი ცისა, შუქი ზვიადი
ცისარტყელების ფრთებს აჟღერებდა.
იგი ჩვენს გულთა შორის დიადი
და მტკიცე ძმობის ხიდს აშენებდა.

* * *

წყდება ხმები და სულ სხვა ხმებს
აჩენს,
ბგერა, რომელიც გაქრება, წავა.
და მე ამჟამად ვეღარც კი ვარჩევ
თუ ხმებს რანაირს ვეკუთვნი თავად.
დიდი ომები მებრძოლმა ვნახე,
მყუდრო ზღუდეებს არ შევტრფი
ძალზე.
თუ გაზაფხულის ქარი ხვდა
სახეს -
ლაღად გავდივარ მე ახალ გზაზე.
და კიდევ მინდა, რომ ვისაუბრო -
როგორ კრთის სხივი მყინვარის
წვერზე,
როგორ გიზგიზებს ხანძარზე
უფრო
წყნარი დაისი მუხრანის ველზე.
სალაშქრო ჩანთა თან მიმაქვს
ბარგად,
ჩექმების ლანჩას აკრია ნალი,
რომ სვლა შეეძლოს ჩემს ლექსებს
კარგად,
მძიმე ტვირთიც რომ დააწვეს
ძალით.

საგურამოში მე ვცხოვრობ
წყნარად,
თითქოს მომხიბლავ სიზმრების
ხლართში;
და ეს მიტომ, რომ მრისხანე ქარად
შორი ქუხილის ხმა მესმის ცხადში.
და ჩემი ლექსის ხმალს ხელით
სწვდება,
ვით ჯარისკაცი და მეომარი,
რომელიც მწყობრში ხელახლა დგება
და იერიშის მსურველი არი!

ზედაზნის მთაზე

ყვითელი ტყე და გაბრწყინებული
მზისაგან თოვლი - ლურჯი, ახალი,
და ვით ყივჩაღი ჩაძინებული -
ძველი ციხე და კოშკი მაღალი.

წითელი ფერი დაშაქრულ შინდის
და შემოდგომის ოქრო და ალი.
თოვლზე კი მოჩანს, მაგრამ სად მიდის
ახლად გავლილი ირემის კვალი.

თითქოს მზის ოქრო ტყეებზე მოდნა,
ვგრძნობ დაბრუნებას ზაფხულის დღეთა.
შორს, ქვევით, მოჩანს ზაჰესი ოდნავ
და ცისფრად გაშლილ სივრცეში - მცხეთა.

ივერთა მხარე აქ მევლინება
ზღაპრული ეშხით, მომხიბლავ ძალით
და ჟამთა ბრუნვას, ჟამთა დინებას,
თითქოს ვუცქერი საკუთარ თვალით.

ამ დროს ვერ არკვევ და გიძნელდება
სცნო - წლის რა დროა, რომელი ხანა.
ეგ მტრედისფერი ჩამოფერდება
და მთის კალთები ლექსებსა ჰგვანან!

ეგ სიმღერაა, მაგრამ მთის ტოლი,
ეს თავდაღმართიც ლექსივით მღერის.
ო, ამ ბილიკთა ვერცხლი და ბროლი,
ო, ამ ტყეების ბაჯაღლო ფერი!

მიხეილ სინელნიკოვი

ჯვარი

ბოლოს მშენებლებს მისცეს ყოველი...
ძირს მტკვართან იწვა ველი და ჭალა...
ცა ანთებული ცეცხლით ყოველით
ჯვარს მოეხვია ელვარე რკალად.

წამოიჩოქეს მიწაზე მტვერში,
მიიღეს ვერცხლი გამხმარ ხელებით...
წამოდგნენ მერე... ერში და ბერში
არსად დატოვეს გვარ-სახელები.

მათ განამტკიცეს ფიცარნი სჯულის...
გათავდა მათი ბედის თამაშიც...
და უგზო-უკვლოდ გაუსხლტათ სული,
თვითონ მიყუჩდნენ ცივ აკლდამაში.

ნატალია კაშჩუკი

სვეტიცხოველი

ოსტატო, მამცნე ეს საიდუმლო:
ჩუქურთმის მიღმა რა იმალება,
რომ შენი ფრესკა მკვიდრად ვიგულე
და გულისტოლის ვიცან თვალები.
მათ შემოდგომის ავსებდა სევდა,
ფერმიბნედილი იყო ყოველი,
მაგრამ ლურჯ ბაგეს კვლავ აცოცხლებდა
ნათელი სიტყვა - სვეტიცხოველი.

და მარმარილოც გაცოცხლდა უცებ
და ჩანჩქერებად იქცნენ სვეტები,
გადაურბინა სიცილმა ფურცლებს...
სატრფოს ხელები თავგამეტებით
თითქოს აიჭრნენ მაღლა მერცხლებად,
დააცხრეს გული - ცრემლთა მთოველი...
სატრფოს ხელებით მიალერსებდა,
მზისკენ მიხმობდა სვეტიცხოველი.
სვეტიცხოველო, მხოლოდ შენ განდობ
ჩემი რჩეულის სულსა და ლტოლვას...
შენს მშენებელთა ძმა არის სანდო,
მომავლის ფუძეს არ აკლებს მოვლას,
დნეპრისპირეთის ჭალიდან გიხმობს,
შენზე ოცნებას თავს შემოევლო...
გთხოვ, უწილადე ზამთარში სითბო,
მარად უნათე, სვეტიცხოველო!

თარგმანი ნ. აბესაძისა

ჯვარი

I.

ათასწლეულის შორეთიდან ჩუმი აჩრდილი
ამოვა ჯვარზე, შენთან ერთად მოაღწევს მცხეთას -
ქალის აჩრდილი თოვლიან გზას მოსდევს დაღლილი,
იმედის ნიშნად ვაზის ლერწი უპყრია ხელთა.
ღრუბელთა მიღმა სამყაროდან ეშვება თითქოს,
რომ მიუტანოს საქართველოს იმედი - ვაზი,
რომ უწილადოს წმინდა გულის გზნება და სითბო...

და უფრთხილდება თმებით შეკრულ ჯვარს ისე ნაზად,
ისე სათუთად, მხოლოდ ქალს რომ ძალუძს დაიცვას
ნაოცნებარი, ნანატრი და წმიდათა წმიდა...
ვაზი რაც უნდა გადათელონ, მტევნებს აისხამს
და მზით დაფერილ მტევნებს ვერას დააკლებს ბინდი.
ძველი ტკივილი დადუღდება, როგორც მაჭარი
და ღვინის ნაცვლად სიხარული აავსებს თასებს!..
...ღორღიან გზაზე მეც მრავალჯერ შემხვდა ავდარი,
ძველი ტკივილის მოგონება კვლავ სევდით მავსებს.
მაგრამ დრო დადგა! ჩემი ვაზი აყვავდა უკვე,
შენს შესახვედრად გაზაფხული უკვე მეძახის...
იქნებ, არც იცი: ვაზმა ცრემლი დაღვარა თუკი,
უფრო მკვრივ მტევნებს გამოისხამს მაშინ ვენახი.

2.

ქვემოთ - შორეულ მოჩვენებად ქცეული ველი,
აქ კი - მდუმარე აკლდამები, ძველი ტაძარი
მორუხო ჩრდილი ოდნავ წელში მოხრილი კედლის
და... ყაყაჩოთა უეცარი მწველი ხანძარი.
სიყვარულიც ხომ ასე უცებ აბრიალდება,
მეც შენთან შეყრის მოლოდინი ასე მალაღებს...
როცა მოდიხარ, გუმბათივით ცამდე ვმაღლდები,
ზეიმობს ჩემი მარტოობის ძვალთშესალაგი.

თარგმანი ნ. აბესაძისა

ფელიქს ბალჩინიანი

ეს იყო მცხეთა...

ღვთაებრივ მცხეთას
შევხვდით ერთურთს და შევიცანით, -
ჩვენთა წინაპართ
მოზიდული როგორც ისარი
მტრის დამლახვრელი
ერთი იყო ჩვენი მიზანი:
ვით ბნელ წარსულში,
არც აწ ვჭამოთ ჯავრი მტრისანი!..
ვეცით თაყვანი
უზენაეს ტაძარს წარსულის,
რომლის ქვებს
დღესაც ამჩნევია თურქულ-სპარსული
მურდალი სისხლის კვალი;
დღესაც ტკბილში მწარეს ურევს
ცხოვრების ჩარხი -
არ ქრის წალმა ქარი ავსული!..
ეს მცხეთა იყო...
სალოცავად ტაძრად შევედით,
რომ გარდასულის
ამოგვეგდო გულით შავეთი,
რომ დაგვიწყნოდა
საურჩხულე სავეშაპეთი,
სანთელთან ერთად
რომ დაგვენთო სული - აბედი...

რა ბედენაა,
თუ სხვადასხვა ენით ვილოცეთ,
ამას ხომ
ქრისტეს მიმდევარი არ გაიოცებს?!
შენ ალბათ ლოცვა
ოშკ-ხახულზე, საინგილოზე
თუ აღავლინე...
აურაცხელ ალბათ გმირობებს
თუ იგონებდი...
თვალწინ გედგა იქნებ თევდორეც -
შენი სულმნათი
წინაპარიც თანამედროვეც...
უფალს ნათელი მომავალი
ჩვენი შევთხოვეთ,
სული - ცხოველი, არასოდეს
- დუნე, მემდორე...
მერე ათასი რამ ვახსენეთ
გაშლილ ტაბლასთან;
საღვთო ტაძართან...
გალავანთა ძველთა ნაბზართა...
ცხოვრების ზღვაში
სამშვიდობოდ აშლილ აფრათა...
ვთქვით, სული ოდეს აღზევდა და
ოდეს დაფლასდა...
მერე ღვინოში ვაწეთ
წმინდა პური ნაკურთხი
და უცოდველთა
შეწირულთა სული სათუთი
ცოცხლად ვახსენეთ...

ვთქვით; მოსული მოყვრად აქ უთხრის
მტერი ჩვენს შვილებს საფლავებს...
შხამის, როგორც ნაფურთხის,
დღესაც აჩნია პროსპექტს კვალი...
შოთა ბატონო,
მოდი, მხარი მხარს
მივცეთ ერთურთს და დავატოლოთ
ერთმანეთს მხრები
მხოლოდ ასე, თორემ ატომობს
ნავენახარზე - ნაგუბარიც...
მთანიც - სათოვლო!..
მოდი, ჩავუდგეთ კვალში
ჰაოს, ქართლოსს, მარადის
მივყვეთ მათ სიბრძნეს! -
შორს, შორს ჩვენგან გიჟის ხალათი!...
ღვთის თვალი გვედგას
ნათლის სვეტად... ღმერთი გვფარავდეს,
თორემ... გამძაფრდა
მტრის მტრობაც და მოყვრის ღალატიც!..
წინაპრის ბრძნული ანდერძი
ეს აღტყინება
გადავცეთ შვილებს,
მომავალში ჩვენმა შვილებმა
რათა შეიძლონ
ოცნებათა დაგვირგვინება
თუ ჭეშმარიტად
ეს მაღალმა ღმერთმაც ინება...
ღვთაებრივ მცხეთას
შევხვდით ერთურთს და შევიცანით, -

ჩვენთა წინაპართ
მოზიდული როგორც ისარი
მტრის დამლახვრელი -
ერთი იყო ჩვენი მიზანი:
ვით ბნელ წარსულში
არც აწ ვჭამოთ ჯავრი მტრისანი.

ბელა ახმადულინა

სიზმრები საქართველოზე

სიხარულო საქართველოვ,
სიზმრად გხედავ მშვენიერს,
რასაც ცხადში წამართმევენ -
შენ მიბრუნებ შენმიერს.
მზე რომ რიჟრაჟს გადმოფურცლავს,
უბინდოს თუ ბინდიანს,
ბაგეებზე შენი ყურძნის
სურნელება მინთია.
მკურნავ ვნებადაუცხრომელს,
დარდიც ნიავს გავანდე,
ვეახლები სვეტიცხოველს

და კელაპტარს ავანთებ.
აქ მცხეთაში მცირე კენჭსაც
ვუძღვნი ქება-დიდებას...
ღმერთო ჩემო, ოღონდ შემრჩეს
მე ის ავლადიდება!
ნურასდროს ნუ ამარიდებ
ამ სიხარულს წამიერს,
დე, ეს განცდა სამარემდე
გამყვეს მრავალჟამიერ!
დე, მაღირსონ განკაცებულთ
ხვედრი უნეტარესი,
ჩემი ქვეყნის სიმტკიცე და
საქართველოს ალერსი.

ნარიმან ჰასანზადე

ძმები

მტკვარი,
არაგვი
გადავიარეთ
და შევაღწიეთ ძველთაძველ მცხეთას,
ყაყაჩოები წითლად ბრიალებს,

ხელებს გვიწვდიან ტოტები ხეთა,
ამღერებული გზებით ვიარეთ.
ჩაკარგულიყო ცის სილურჯეში
ჯვრის მონასტერი
ნაქანდაკარი,
ქართლის მეფეთა სიგელ-გუჯრებში
და მოვიკითხეთ ბევრი ამბავი
მრავალ გარდასულ საუკუნეთა.
საიათნოვას დაგვდევდა ლანდი,
საბუჰიც ჩვენთან გვყავდა ოცნებით,
ერთ ხმაზე ჟღერდა ჩონგური,
საზი,
ერთად ვმღეროდით ხალხის მგოსნები
გაბრწყინებული
ნათელი აზრის.
ჩვენ ღვინით როდი ვიყავით მთვრალნი,
ყანწით ვამბობდით თუმცა ალავერდს,
და ერთი გრძნობით გვიკრთოდა თვალი,
ჩვენი გულებიც არას მალავდნენ,
დახსნილი გვქონდა სუყველა კარი.
ერთი გზა გვქონდა
ძველთაგან დღემდე
და ერთმანეთსაც
ძმებივით ვენდეთ!

ციხესიმაგრე

ფოთლებში ცურავს ცა ღვთაებრივი
და ზედაზენი ტყის სურნელს აკმევს.
დაეშვნენ მთები კიბეებივით
თბილისისაკენ და მცხეთისაკენ.

დგას მონასტერი კლდეების ზემოთ,
შიგ ცხოვრობს ბერი, მლოცველი ძვირად,
წირვის არა სწამს, ო, ღმერთო ჩემო,
მხოლოდ-ღა ღვინოს უყენებს წირვას.

ძველ ბერებივით ის არ მარხულობს,
არც წმინდა ხატებს შეფარებია,
მხოლოდ ერთ გოგოს სიზმრად ნახულობს,
ვინც გულს სიყრმიდან შეჰყვარებია.

მივალ, მივდგები, ტაძრის კარებთან
და დიდ სიჩუმეს მივაყურადებ,
გულს რწმენის ჩრდილიც არ ეკარება,
თუმც კრძალვით ვუმზერ თაღებს, გუმბათებს.

და როცა მეხი ლაჟვარდებს ნაცრავს,
ტაძრის ჯვარს მურავს ღრუბლის ქულები -
ხატებისა და ფრესკების ნაცვლად
მეჩვენებიან სათოფურები.

ხავსიან სარკმელს გააქვს ზანზარი,
საცაა ქარი ბჭეებს მიანგრევს

და ამ ავდარში ეს ღვთის ტაძარი
მგონია ძველი ციხესიმაგრე.

თაღიდან თაღზე ექო გადადის
და მეუფლება სული მოლაშქრის,
თითქო მონასტერს შეხიზვნია ვიღაც წარმართი,
თითქო მხედარი გახვეულა ანაფორაში!

ოლეგ კაზაკოვი

მცხეთა

მცხეთაში წავალ,
ისევ ვნახავ ბებერ სამთავროს,
სვეტიცხოველთან
დაისვენებს სული დაღლილი,
სულგაკმედილი ეკლესიის მხურვალ ზეცაში
ჯვარს გადაიწერს
მეფური და გრილი სინათლე.
და ჩემს სხეულში
გაიჟრჟოლებს მიუწვდომლობა.

რიმა კაზაკოვა

ჯვარი

გზის გადალმა, სადაც ჯვარი
გარჭობია სივრცეს თითქოს,
მდუმარება იდგა წყნარი,
მწვერვალზე კი თოვლი იდო.

წამოშალა მიწამ მოლი,
თუ აღმოხდა ლოცვა მწვანე?
მომეჩვენა: მტვრით და ბოლით
შეფიფქული ეს სავანე,

ათას ოთხას წელს რომ ითვლის,
ყრუა ყოველივეს მიმართ,
რითაც ახლა სულს ვუთითხნით
ჩვენი დროის ადამიანთ.

მაგრამ უცებ ექოსავით
აგუგუნდა კორომ-კორომ
ტაძრის ზღურბლთან შემომსკდარი
უხსოვარი წლების ქორო...

და მრისხანე ჯვრის ტაძარი
იქცა ხალხის წმინდა ბინად;
ხმებს არ აჩნდა ციცქნა ბზარიც,
თითქოს ზეცა ცრიდა გრგვინვას...

ქვემოთ მდინარეთა შერწყმა
მოვლებოდა საყდარს ქობად

და ცად თრთოდა, ვითა ხვეწნა,
სვეტიცხოვლის აღნაგობა...

იქ, მწვერვალზე თოვლი იდო,
აქ სიჩუმე იდგა წყნარი
და ცისქვეშა ჯიხურიდან
გაჰყურებდა სივრცეს ჯვარი.

შენივთდა და ჩემად იქცა
იმ ერთ წამში ზღვარწაშლილი
ფერი ცის და ფერი მიწის, -
სინაზე და ყოფნის ჟინი!...

სლავა გოლოვანივსკი

საქართველოს სიყვარული

მიკვირს თვითონაც, არ ვწვევივარ არასდროს თბილისს,
ვიყავ ლონდონშიც, პარიზშიაც, ქართლში კი - არა!
მე მასზე ფიქრში გამკრთომია მრავალგზის ძილი,
მრავალგზის ფიქრში ტყვედ ვყოლივარ კლდესა და ქარაფს.
ვიყავ ჭაბუკი, - შინ მტოვებდნენ პატრიარქები,
გავხდი მათი ხნის, - ჭაბუკები არ მეძახიან.

მხოლოდ სიზმარში მტკვარს და რიონს ლანდად ავყვები
და დავინახავ, - ყოველ ზვირთში ჩემი სახეა.
ვინ იცის, იქნებ დამიწესა ასე განგებამ
და სურვილს ჩემსას ასრულება არ უწერია,
მაგრამ ის ცოცხლობს, ის არსებობს, არ იკარგება,
ის საქართველოს ლაჟვარდოვან ზეცისფერია.
სულს პოეტისას ვერას უზამს ბედი მზაკვარი,
ბედი ვერ შესძლებს გაანელოს სულში ტრფიალი,
მე მტკივა ქართლის ნასახლარიც და ნააკვნარიც,
ქართული სიტყვის მენატრება ორომტრიალი.
უკან მიბრუნებს მთაგრეხილი, როგორც რადარი,
ჩემი ხმის ექოს, გაიგონოს ვინმემ ეგება.
ვერ ამიხსნია, საყვარელი აგრე რად არი,
ენა, რომლისაც არაფერი არ გამეგება.
ჰე, სასწაულიც: მე მთაწმინდას ვცნობილობ შორით,
ქვევით მტკვარია და ნაპირთა კლდოვანი კიდე.
თუ არის სხვა მთა დუნიაზე, მთაწმინდის სწორი,
რომელიც ამდენ თაყვანსა და დიდებას იტევს.
ვით საკრავები, უსხეულო და უსიმონი,
მათბობს, მამხნევებს, დამატარებს წარსულის გზებით,
გოგლას ბუხუნი, მოზომილი სიტყვა სიმონის,
ჩემი ძვირფასი მეგობრების უკვდავი ხმები.
სულ წინ მიდგანან, როგორც ცხადად წინ მედგნენ მაშინ,
ნაზნი, სპეტაკნი, ვით ხეობის ცინცხალი ქარი,
ნატო ვაჩნაძე დაფერფლილი სამშობლოს ცაში,
წყნარი თამარი, ფუნჯით ხელში, წმინდანის დარი.
რა ერთგულებით ვაცილებდი მე მათ აქედან!

სარჩევი

ღვთის ემბაზის ქალაქი 3
ილია ჭავჭავაძე 5
ნიკოლოზ ბარათაშვილი 6
სიმონ გუგუნავა 7
გალაკტიონ ტაბიძე 8
გიორგი ლეონიძე 11
ტიციან ტაბიძე 14
ლადო ასათიანი 15
გიორგი ქუჩიშვილი 15
სიმონ ჩიქოვანი 17
ალიო მირცხულავა 23
გრიგოლ აბაშიძე 23
ირაკლი აბაშიძე 28
კოლაუ ნადირაძე 30
შალვა აფხაიძე 32
კარლო კალაძე 33
დავით გაჩეჩილაძე 35
ანა კალანდაძე 37
იოსებ ნონეშვილი 38
მუხრან მაჭავარიანი 42
ოთარ ჭელიძე 45
ჯანსუღ ჩარკვიანი 46
მაყვალა მრევლიშვილი 50
მიხეილ ქვლივიძე 54

შოთა ნიშნიანიძე 56
ხუტა ბერულავა 63
ზაურ ბოლქვაძე 66
შალვა ფორჩხიძე 68
მორის ფოცხიშვილი 69
ემელიან ქურდიანი 77
ოთარ ჭილაძე 78
ტარიელ ჭანტურია 79
თამაზ ჭილაძე 79
იორამ ქემერტელიძე 80
რეზო ამაშუკელი 82
გივი გეგეჭკორი 82
ნია აბესაძე 85
აკაკი გეწაძე 86
შარლოტა კვანტალიანი 98
არჩილ სულაკაური 98
სილოვან ნარიმანიძე 99
ჯანო ჯანელიძე 101
ენვერ ნიჟარაძე 102
გრიგოლ ჯულუხიძე 103
ირაკლი არაბული 104
გურამ კლდიაშვილი 106
თეიმურაზ აბულაძე 107
ტაგუ მებურიშვილი 108
ვაჟა ეგრისელი 109
ანზორ აბულაშვილი 111

ზაურ მოლაშხია 113
ილო ბერიშვილი 114
ლია ჭავჭავაძე 116
გიორგი ახობაძე 118
სულხან აბდალაძე 119
დავით მჭედლური 119
ვაჟა ხორნაული 121
ლალი ჯაფარაშვილი 122
ლილი ნუცუბიძე 123
დავით ნავდარაშვილი 124
ვალერიან მამუკელაშვილი 131
ნაზი კილასონია 138
მარიკა ბარათაშვილი 140
ნანა ღვინეფაძე 142
მედეა კახიძე 144
იზა ორჯონიკიძე 145
ილია ბარამიძე 148
ბერდია ბერიაშვილი 150
ბაღათერ არაბული 151
ალექსანდრე დიდებაშვილი 152
თამარ დაუშვილი 158
შოთა ხოდაშნელი 158
ზაალ ებანოიძე..... 160
ავთანდილ გაფრინდაშვილი 163
მთავარეპისკოპოსი თადეოზი
(მირიან იორამაშვილი) 164

ირმა მებურიშვილი 166
დილარ ივარდავა 167
თამარ შაიშმელაშვილი 172
ია ხასია 172
იულონ ტოლიაშვილი 173
სიმონ ბალახაძე 174
ქეთევან დოლიძე 175
მანანა ჩიტიშვილი 177
ვაჟა ოთარაშვილი 179
სოსო ნადირაძე 181
ტარიელ პაპავაძე 182
კახი თოდუა 183
გიორგი ყარაულაშვილი 184
ალმანზორ თავაძე 184
ნოდარ ადეიშვილი 185
მიხეილ ჩაჩუა 186
ალექსანდრე ტაბატაძე 188
სამონაზვნო დარია (ჩაკვეტაძე) 192
ემზარ კვიტაიშვილი 193
იმედა ჯახუა 195
გიორგი გიგაური 196
ოთარ შალამბერიძე 197
ავთანდილ ედიშერაშვილი 198
ოთარ კანდელაკი 199
ალიო ადამია 200
ბესიკ კეკელიძე 201

სიკო ფაშალიშვილი 202
ვახტანგ ჯავახაძე 203
ნოდარ გურეშიძე 204
ელდარ კერძევაძე 205
შალვა. ლორთქიფანიძე 207
ნანა. გოგუაძე 209
გივი ნიჟარაძე 210
გიორგი შატბერაშვილი 211
ეთიმ გურჯი 212
გიორგი ძიგვაშვილი 213
ნიკო სამადაშვილი 214
ზაზა კაციაშვილი 214
ომარ შამათავა 216
მერი ბარნაბიშვილი 219
მარიამ წიკლაური 220
მურად მთვარელიძე 221
ბიეტა აბშილავა 223
ვაჟა კოზმანაშვილი 223
ნუგზარ ზაზანაშვილი 224
აკაკი ვასაძე 225
დიმიტრი კორძაია 226
ვახტანგ გორგანელი 227
ოლეგ გველესიანი 228
თენგიზ ჩალაური 231
ბიძინა მინდაძე 232
მიხეილ ლერმონტოვი 234

მიკოლა ბაჟანი 235
ედუარდას მეჟელაიტისი 240
ვლადიმერ ბეეკმანი 242
ლუბომირ დმიტერკო 244
ნიკოლოზ ტიხონოვი 248
მიხეილ სინელნიკოვი 251
ნატალია კასჩუკი 252
ფელიქს ბაღჩინიანი 255
ბელა ახმადულინა 259
ნარიმან ჰასანზადე 260
ალექსანდრ მეჟიროვი 261
ოლეგ კაზაკოვი 263
რიმა კაზაკოვა 263
სლავა გოლოვანივსკი 265